
9
1924

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი.

**სოლსკი**—ევროპის პოლიტიკური მოღვაწენი და მწერლები ლენინზე. წერილები: პ. ლებესი, გ. ლედებურის, პ. ლევის, ემ. რაბოლდის, არტ. გოლლიტჩერის, ოტტო ბაუერისა და კ. კატსკის.
**იოგან ბეჰერ**—სალამი ერესეფესერს.
**ა. აროსევი**—რამოდენიმე სიტყვა ომისა და ზავის შესახებ.
**არჩილ მიქაძე**—ქართული სანახაობის შესახებ.
**ვ. ბაკურაძე**—სოსო ჯუღაშვილი—სტალინი.
**ქნარი**—გამოსალმება.
**სამსონ მგელაძე**—რაც იყო, მოკვდა.
**სანდრო შანშიაშვილი**—ლატავრა.
**ალ. მიქაბერიძე**—ჩვენი კულტურული ფრონტის გარშემო.
—ს. ს. რ. კ. კომისართა ახალი თავმჯდომარე.
**სტუდენტი**—პეტრე მელიქიშვილი.
პროფ. პ. მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის იუბილე.
—მაკდონალდი.
**ვან-დერ-ბან**—სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.
**ფორტუნა**—ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება.
—ქრონიკა და ილუსტრაციები.

დაიბეჭდა 1924 წ-ლ და გამოვიდა

კედლის კალენდარი და მოძრავი კალენდარი

გამოცემა სახელმწიფო გამომცემლობისა

შედგენილი პ. ი. ზუმბაძისა.

კალენდარში შეტანილია: სამეცნიერო საეკონომიო სამეურნეო სამხატვრო და სალიტერატურო მასალები

კალენდარი სუფთად და მხატვრულადაა გამოცემული.

ფასი ერთი მან. ჩერვ.

მოიკითხეთ ყველა კიოსკსა და წიგნის მაღაზიაში

საწყობი სახელმწიფო გამომცემლობა ლორის მელიქ. ქ. № 5.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

ორკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი.

| განცხადების ტარიფი: | ხელის მოწერა: | რედაქციის და კონტორის მისამართი: |
|---|---|---|
| ერთი გვერდი . . 100 მ. ჩერ. | სამი თვით . . . 1 მან. 20 კ. ჩერ. | რუსთაველის პრ. № 22. |
| ნახევარი გვერდი . 50 მ. „ | ერთი თვით . . . 40 კ. „ | მიიღება ხელის მოწერა დღის |
| მეოთხედი გვერდი . 35 მ. „ | ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. „ | 9—3 საათამდე. |

№ 9 კვირა, 2 მარტი 1924 წ. № 9

3167

## ევროპის პოლიტიკური მოღვაწენი და მწერლები ლენინზე.

### პატივისმცემლები და კრიტიკოსები.

„ს. ს. რ. კ. უწყებების“ რედაქციის დავალებით მე მივმართე მთელ რიგ გერმანელ და საერთოდ ევროპიელ პოლიტიკურ მოღვაწეთა მწერლებს და მეცნიერებს თხოვნით, რათა მათ გამოეთქვათ თავისი აზრი ილიჩის შესახებ მისი გარდაცვალების გამო. დღემდე მე მივიღე 30 პასუხზე მეტი; ამ პასუხთა შესახებ, განსაკუთრებით არა მეგობართა, ჩვენ მტერთა, ბურჟუაზიულ და სოც.-დემ. პოლიტიკოსების პასუხთა შესახებ, მე მინდა რამოდენიმე სიტყვა ვსთქვა.

მიღებულ პასუხების დაყოფა შეიძლება ხუთ კათეგორიად. პირველ კათეგორიას შეიძლება მივაკუთნოთ ის უცხოეთის მწერლები, რომელნიც ასე თუ ისე იდეოლოგიურად დაკავშირებულნი არიან ჩვენთან. მეორე კათეგორიას მე მივაკუთნებდი დასავლეთ ევროპის სოც.-დემ. ლიდერებს. მე, რასაკვირველია, არ მიმიმართავს იმ სოციალ-დემოკრატებისთვის, რომლების მოღვაწეობა ამოიწურება საბჭოთა რუსეთის და მისი ბელადების წინაალმდეგ მიმართულ ცილისწამების და სიცრუის კამპანიის წარმოებით. თუ რას ფიქრობენ ეს სოციალ-დემოკრატიის ბელადები – იმათ უკვე გამოსთქვეს „ფორვერტსის“ ფურცლებზე, სადაც ისინი ვერ იკავებდნენ სიხარულს ჩვენი ბელადის სიკვდილის გამო. მაგრამ არიან სხვა სოც.-დემ., რომელთათვის ილიჩი იყო არა მარტო პოლიტიკური მტერი, არამედ უდიდესი ადამიანი და უდიდესი გენიოსი. ზოგიერთ სოც.-დემ. ლიდერებს, როგორც ყოფ. ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანს ედო ფიმმენს, გეორგ ლედებურს, რეიხსტაგის პრეზიდენტს ლებეს, პაულ ლევის და პაულ ფრენკენს და სხვებს, გამოაჩნდათ იმდენი მოქალაქეობრივი ღირსება, რომ პროლეტარიატის უდიდეს გენიის გარდაცვალების მომენტში ზედმეტად ჩასთვალეს ყოველგვარი კრიტიკა. მიუხედავათ იმისა, რომ ლენინის მოძღვრებას ისინი ებრძოდენ და ახლაც ებრძვიან, მათ არ შეეშინდათ აშკარად ეღიარებინათ, რომ ისინი ლენინს სთვლიან პროლეტარიატის იმ უდიდეს ბელადათ, რომლის წინაშე მხოლოდ თავის დახვრა გვმართებს. მაგრამ მაინც სოც.-დემ. ყველა ლიდერებს არ განუცხადებიათ უარი კრიტიკაზე. კარლ კაუტსკიმ, ოტტო ბაუერმა და პრუსიის ლანდტაგის პრეზიდენტმა ლეინერტმა საჭიროდ დაინახეს გამოეთქვათ თავისი კრიტიკული აზრი ლენინის შესახებ. ეს კრიტიკა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი ავტორები, თავისდა შეუმჩნევლად, სასტიკ კრიტიკაში ატარებენ თავისავე თავს. ასე მაგ., კარლ კაუტსკი ლაპარაკობს, რომ ლენინის უდიდეს შეცდომას,—შეცდომას, რომელიც ამ მხრივ ლენინს ბისმარკზე დაბლა აყენებს, შეადგენს ლენინის იმედები ევროპის რევოლიუციაზე. „ყველამ იცის, ვინც იცნობს დასავლეთ ევროპას,— სწერს კაუტსკი, რომ ეს ილლიუზიაა“. სხვანაირად რომ ვსთქვათ, კარლ კაუტსკი ევროპიულ რევოლიუციას ილლიუზიად სთვლის, მას არა აქვს იმისი იმედი და სურს იმ მომენტს მაინც მოესწროს, როდესაც „მსოფლიო პროლეტარული მასები გაერთიანდებიან დალუპულ ბელადთა პატივისცემაში“. ეს „პატივისცემა“, ალბად, უნდა გადახდილ იქმნას არა პროლეტარიატის საბოლოო გამარჯვების აღსანიშნავად, არამედ ისე „თავის თავად“, პროლეტარიატის დამონების და საშინელ ექსპლოატაციის პირობებში, რადგან ევროპაში რევოლიუციის იმედები— ილლიუზიაა...

მეორე კრიტიკოსი, ავსტრიის სოციალ-დემოკრატების ბელადი ოტტო ბაუერი არ ამბობს იმას, რომ რევოლიუციის იმედი—ილლიუზიაა. სამაგიეროდ, ის ამბობს, რომ „ისტორიულ თვალსაზრისით“ აზრთა განსხვავება კომუნისტებსა და რევოლიუციონურ ს.-დ.-თა შორის, რომელთაც, ალბად, ბაუერი აკუთნებს თავის თავს, იმდენად უმნიშვნელო გამოდგება, რომ „ჩვენი დროის უდიდესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევოლიუცია“ გადავა ისტორიაში, როგორც კომუნისტების და „რევოლიუციონურ“ ს. დ. საერთო საქმე. ამრიგად, ბაუერს არაფერი აქვს საწინაალმდეგო იმისა, რომ რევოლიუციონური დამსახურება მიაწეროს იმათ, ვისაც არა თუ არა სწამთ რევოლიუცია, არამედ ყოველ დღე ებრძვიან მას. დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, მომავალი თაობა, რომელზედაც ლაპარაკობს თავის წერილში ბაუერი, შესძლებს ჭეშმარიტ რევოლიუციონერების ღირსეულ დაფასებას, იგი გაარჩევს საქმის რევოლიუციონერს „რევოლიუციონერიდან“ მხოლოდ სიტყვაზე. ამ დამსახურებას ისტორიაც დააფასებს.

ბოლოს, მესამე კრიტიკოსი, პრუსიის ლანდტაგის პრეზიდენტი ს.-დ. ლეინერტი ყველაზედ უფრო გულახდილად გამოდის. ის სწერს, რომ ლენინი დიდი ადამიანი იყო ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საზღვარ გარედ სცხოვრობდაო, ბევრი კარგი წიგნი დასწერა, ბევრი რამე ასწავლა გერმანელ სოც.-დემოკრატებსაცაო. მაგრამ ლენინის მოღვაწეობა მისი რუსეთში დაბრუნების შემდეგ ლეინერტს მეტად არ მოსწონს. ეს გასაგებიცაა. ლენინმა რუსეთში განახორციელა ის, რასაც სწერდა თავის წიგნებში. სოც.-დემ., როგორიცაა კაუტსკი და სხვები, ოდესღაც თითონაც სწერდნენ კარგ და რევოლიუციონურ წიგნებს, მაგრამ იმათ არასოდეს აზრადაც არ მოსვლიათ თავის ნააზრევის ცხოვრებაში გატარება. ლენინმა კი განახორციელა ეს. და განა საკვირველია, რომ ს.-დ. პარტიის ბელადები ამისათვის საყვედურს უთვლიან მას და იმავ დროს ცდილობენ დაგვამშვიდონ ჩვენ იმ მითითებით, რომ, შესაძლებელია, რუსეთში რევოლიუცია საჭირო და აუცილებელიც იყო, რომ იქ ის განხორციელდა სწორი მეთოდებით, და, რაც შეეხება ევროპას, „განსაკუთრებით გერმანიას“,—აქ საქმე სულ სხვანაირად არისო. „რაც რუსისათვის სასარგებლოა, ის გერმანიის ს.-დ.—სიკვდილია“—გინდა სთქვა...

მესამე კათეგორიას შეიძლება მივაკუთნოთ ვლადიმირ ილიჩის და ჩვენი კლასიური მტრები—-ბურჟუაზიული პოლიტიკოსები. ესენი რაღას ამბობენ? დაწყებული პროფ. შიუკინგისგან (დემოკრატიულ - ბურჟუაზიულ პარტიის წევრი) და გათავებული კ. ფონ-ოგეიმბით (სტინესის პარტიის წევრი),—ყველა ესენი აღიარებენ, რომ ლენინი უდიდესი ადამიანი იყო, რომ ის მთელ თავის სიცოცხლეში იღვწოდა არა მარტო პროლეტარიატის, მთელი კაცობრიობის განთავისუფლებისათვის (პროფ. შიუკინგი). მაგ. რა დამახასიათებელია კ. ფონ-ოგეიმბის წერილის ბოლო, სადაც ის ამბობს: „ღმერთმა მისცეს გერმანიის ერს ისეთი ადამიანი, როგორიცაა ლენინი“-ო. რით აიხსნება ბურჟუაზიულ პოლიტიკოსების ასეთი განცხადებები? სულ უბრალოდ შეიძლება ავხსნათ,—იმ ღრმეს პატივისცემით, რომელიც აქვთ ლენინისადმი ყველა მის პატიოსან მტერს,—იმ პატივისცემით, რომელთაც ეპყრობიან ყველა ჩვენი პატიოსანი მტრები ჩვენ დიად იდეას. დეე, ზოგმა ს.-დ. ლიდერებმა გულდასმით წაიკითხონ გერმანულ ბურჟუაზიულ პარტიათა წარმომადგენლების ეს განცხადებები...

მეოთხე კათეგორიას შეადგენენ ბურჟუაზიული მწერლები და ლიტერატორები. ამათ ეკუთვნიან ტომას და ჰენრიხ მან, ისე როგორც ალფრედ კერ. განსაკუთრებით დამახასიათებელი, საინტერესოა და დასასწავლი ჰენრიხ მანის განცხადება. უკანასკნელი მაჩვენებელია იმისა, რომ გერმანიის უდიდეს მწერლებს უკვე შეუგნიათ ჩვენი დიად რევოლიუციის დედა აზრი და რომ ისინი სულით უკვე ჩვენთან არიან. განა აღსანიშნავი არაა, რომ სულ ამას წინად გააფთრებული რეაქციონერი, ტომას მანი ეხლა ლენინზე სწერს?

უკანასკნელ, მეხუთე კათეგორიას მე მივაკუთნებდი გერმანელ პაციფისტებს. მე მივმართე გერმანულ პაციფიზმის ორ მამამთავარს: მაქსიმილიან გარდენს და ჰელმუტ გერლიახს. პირველმა გულწრფელი პასუხი გამცა, თუმცა ყველა მის დასაბუთებისთვის დასტურის მიცემა შეუძლებელია. მეორემ საჭიროდ მიიჩნია პაციფისტურ თვალსაზრისით გაშუქებული კრიტიკული აზრი გამოეთქვა, ის წინააღმდეგია ახალ წესწყობილების აღმშენებლობისა: „რკინითა და ცეცხლით“. მას შეიძლება მხოლოდ ერთი პასუხი გავსცეთ. ლენინს რომ ახალი ქვეყნის აღმშენებლობა პაციფისტურ მეტოდებით დაეწყო, ის ვერასოდეს ვერაფერს ვერ მიაღწევდა, და ის არ იქნებოდა ის დიდი ლენინი, რომლის სიკვდილმა ესოდენ ღრმად ააღელვა არა მარტო მთელი მსოფლიოს პროლეტარები, არამედ ყველა პატიოსანი ადამიანი ქვეყანაზე. მაგრამ მე მინდა ლენინის ყველა კრიტიკოსებს პასუხი გავსცე მაქსიმილიან გარდენის სიტყვებით: „მხოლოდ დაწვრილმანებულ გონების სიჩლუნგეს შეუძლია ლენინის საფლავის წინ იკითხოს—მართებს თუ არა არა—კომუნისტს, ყოველივე განმარტების გარეშე, თავი დაჰხაროს ლენინის წინაშე“...

მე ჯერ კიდევ არ მიმიღია პასუხი ყველა იმ პირთაგან, ვისაც მივმართე. მაგრამ უკვე მიღებული პასუხებიც გვიჩვენებენ, თუ რა ყოფილა ლენინი კულტურულ მსოფლიოსათვის.

ვ. სოლსკი.

ბერლინი, 2 თებერვალი.

P. S. მე მინდა კიდევ დავუმატო, თუ რა მიზეზით არაა აქ მოყვანილ პასუხებში ერნსტ ტოლლერის გამოძახილი. ეს გერმანელი მწერალი აქამდე დატყვევებულია ბავარიის ციხე ნიდერშენეფელდში. მე იქ მივმართე მას წერილით და დღეს მივიღე მისგან პასუხი, რომელშიაც მატყობინებს, რომ ჩემი წერილი წინადადებით, რომ ის გამოხმაურებოდა ილიჩის სიკვდილს, მას არ გადასცა ციხის უფროსმა „მისი სააგიტაციო შინაარსის გამო“...

ვ. ს.

## პაულ. ლებე.

ს.-დ. გერმანიის რეიხსტაგის თავმჯდომარე.

მე შემიძლია ვიამაყო იმითი, რომ პირადათ ვიცნობდი ლენინს. მე მას გავეცანი ომის დაწყების წინ. ლენინი მაშინ სცხოვრობდა კრაკოვში და ხშირად სარგებლობდა ბრესლავლის ს.-დ. გაზეთ „ფოლკსვახტ“-ის რედაქციის მისამართით კონსპირატიულ წერილების გადასაგზავნად. მე მაშინ ვმუშაობდი ბრესლავლში, როგორც ამ გაზეთის რედაქტორი.

თუმცა მე კომუნისტი არა ვარ, მაგრამ ყოველთვის უაღრესის ყურადღებით და თანაგრძნობით თვალყურს ვადევნებდი მუშათა სახელმწიფოს შექმნის იმ დიად ცდას, რომელიც დაიწყო ლენინმა. მისი მოღვაწეობა მე მიმაჩნია მარქსიზმის უდიდეს ცდად კაცობრიობის ისტორიაში. მარტო ეს აყენებს ლენინს ყველა სხვა პოლიტიკოს-

თა და სოციალისტურ მოღვაწეთა მაღლა. ამა თუ იმ პოლიტიკურ მრწამსის მიხედვით შესაძლოა როგორც გნებავთ ისე მიუდგეთ ლენინის მოღვაწეობას. მაგრამ შეუძლებელია არ აღიარო ის, რომ მისი მოღვაწეობა აკუთნებს მას ერთ ერთ უპირველეს ადგილს კაცობრიობის განვითარების და პროლეტარიატის განთავისუფლების ისტორიაში. მთელი მსოფლიოს სოციალისტები და რევოლიუციონერები, ყველა ქვეყნების პროლეტარული ბელადები, თავის ყოველდღიურ მუშაობაში ვერ აუხვევენ გვერდს ამ დიადი ადამიანის მოღვაწეობას, რომელმაც თავისი მოღვაწეობით გახსნა ახალი კარი მუშათა მოძრაობის ისტორიის წიგნში, რადგან დაგროვილი მისგან გამოცდილება ყოველ მხრივ წარმოადგენს უდიადეს ისტორიულ მაგალითს მომავალ მსოფლიო მუშათა მოძრაობის განვითარებისათვის. ევროპის და მსოფლიო მებრძოლი პროლეტარიატი არასოდეს არ დაივიწყებს ლენინს. ჯერ



ვლ. ი. ლენინი და მისი მეუღლე ულიანოვა-კრუპსკაია.

ნაადრევია ამ დიად ბელადის მთლიან გიგანტურ მოღვაწეობის შეფასება. განსაკუთრებით მძიმეა ეს ჩვენთვის, რამდენადაც გერმანიის პროლეტარიატი ჯერ კიდევ განმათავისუფლებელ ბრძოლის შუა ცეცხლში იმყოფება. მაგრამ ისტორია დააფასებს ლენინის ღვაწლს, ის იტყვის თუ რა დიდი როლი ითამაშა ამ უდიადესმა პროლეტარულმა ბელადმა პროლეტარიატის და მთელი კაცობრიობის განთავისუფლების ისტორიაში, კაპიტალისტურ წესწყობილების დამხობის და სოციალისტურ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

## გეორგ ლედებური.

გერმანიის ყოფ. დამოუკიდებელ სოც.-დემ. პარტიის ბელადი.

მე შემთხვევა მქონდა ლენინთან ერთად მემუშავა ომის წინა დროის ინტერნაციონალურ კონგრესებზე. თავის ნათელ და მთლიან აზროვნებით და აგრეთვე თავის მომქმედ გამბედაობით ლენინი უკვე მაშინ გვაჯერებდა ჩვენ, რომ მას დიადი გამარჯვება უწერია, როდესაც ამისთვის შესაფერი დრო დადგებოდა. 1915 წლის ზაფხულს ჩვენ შევხვდით ერთმანეთს კონფერენციაზე ციმერვალდში. იქ დაედო დასაწყისი იმ რევოლიუციონურ ხანძარს, რომელმაც შემდეგ სამეფო ტახტები დაამსხვრია რუსეთსა, გერმანეთსა და ავსტრიაში და რუსეთში კი, ამას გარდა, გამოიწვია სრული დამხობა კაპიტალისტურ რეჟიმისა.

რუსეთის პირველი რევოლიუციის მაგალითით გამოცდილებმა, ჩვენმა რუსმა მეგობრებმა 1917 წ. მეტის სიმტკიცით იმოქმედეს, ვიდრე ეს ვქენით ჩვენ გერმანიაში ორი წლის შემდეგ. უკვე ექვსი წელია, რაც ჩვენი რუსი ამხანაგები ძლევამოსილად იცავენ ყველა მტრულ ძალებისაგან თავის მონაპოვართ, მათ მოახერხეს აგრეთვე ანტანტის სამხედრო ინტერვენციების უკუგდება.

დიდი ლენინის კუბოს წინაშე საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, თუ რა გაკვეთილი უნდა გამოვიტანოთ ჩვენ ყველა ჩვენთაგანისათვის სანიმუშო და მისაბაძ ლენინის შემოქმედებისაგან. ჩვენში, ევროპაში, ჩვენ პარტიულ ბელადთა უმეტესობის მოღვაწეობა წელთა განმავლობაში გამოიხატებოდა საორატორო ტრიბუნიდან და გაზეთის ფურცლებიდან არსებულ წესწყობილების კრიტიკაში; და როდესაც მასების რევოლიუციონურმა მოღვაწეობამ უეცრად ხელში ჩააბარა მათ ძალა-უფლება, ისინი, ჩვენი „ბელადები“, ძველებურად ჰკარგავდნენ ძვირფას დროს კაპიტალიზმის ეგრედწოდებულ სახელმწიფო მოღვაწეთა საცოდავ მიბაძვაში. ამით ისინი არა თუ შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობას ართმევდნენ ნამდვილ სოციალიტს და რევოლიუციონერს, არამედ სახელიც კი გაუტეხეს სოციალიზმს თითონ მუშათა მასებში. მხოლოდ ლენინი თავის გაბედულ და გიგანტიურ შემოქმედებით გვაძლევს ყველას ჩვენ გაკვეთილს გადაჭრით და შეუპოვრათ შევქმნათ რევოლიუცია, ვაშენოთ ახალი მომწიფებულ და მოსაზრებულ გეგმით.

## პაულ ლევი.

გერმანიის მემარცხენე სოც.-დემ.

ლენინის საქმის მთელ გოლიათობას მხოლოდ მაშინ შეიგნებენ, როდესაც ის თავს იჩენს არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ თავის პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიურ გავლენას იქონიებს ევროპაზე და შემდეგ მთელ მსოფლიოზე. მაშინ ლენინის ნამოქმედარი საფრანგეთის დიდ რევოლიუციაზედაც უფრო მეტი გამოჩნდება. მსოფლიო რევოლიუციის მაშტაბით რუსეთის რევოლიუცია უფრო მაღალი საფეხურია საფრანგეთის რევოლიუციასთან შედარებით, რადგან მასში პირველად გამოდის პროლეტარიატი, როგორც შეგნებული კლასი, სხვა კლასებისაგან მძაფრად შემორკალული და ფეოდალიზმის დამძლევი არა ბურჟუაზიისათვის, არამედ ბურჟუაზიასთან ბრძოლაში; სამუდამოთ გაქრა ის დრო, როდესაც სხვა კლასები ყველაფრის მომთმენ პროლეტარიატის ზურგით აკეთებდნენ თავის რევოლიუციებს. სანამ ქვეყანაზე იარსებებს თუნდაც ერთი დამონებული და შეწუხებული პროლეტარი, მანამდე ყველა აღტაცებით მიმართავს პროლეტარიატის განთავისუფლების პირველ დიად რუსულ ცდას და იმ ადამიანს, რომელმაც ამ ცდას თავისი სახელი მიანიჭა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ემილ რაბოლდ.

(პრუსიის ლანდტაგის წევრი და „ფრაიჰაიტი“-ს ყოფილი რედაქტორი).

არც ერთი გერმანელი მუშა პირადათ არ იცნობდა ლენინს. ძლიერ ცოტას წაუკითხავს მისი ნაწერები. მისი სიტყვები და მისი საქმე ჩვენამდი განზრახ გადამახინჯებული აღწევდა. და მიუხედავათ ამისა გერმანელ მუშათა მილიონები აღტაცებული არიან ლენინით და თავს იხრიან მის წინაშე. რაშია ამისი მიზეზი? ამის მიზეზია—მისი პიროვნების დიადი ძალა, რომელიც შორ მანძილზედაც მოქმედობს. ამის მიზეზია—ჯადოქარი სულის ტრიალი, რომელიც მოჰქრის დიად ბელადისაგან, უდიდეს მოაზროვნისაგან, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა მადლი ურთულეს პრობლემათა სულ მარტივ სიტყვებში გადმოცემისა.

ლენინი ახალ ადამიანის, მომავალ ადამიანის ტიპი იყო. და, რასაკვირველია, შეუძლებელია მისი შედარება თანამედროვე გერმანიის იმ მეტიჩარებთან, რომლებმაც მილიონ გერმანელ პროლეტარების ზურგზე გაიტანეს ლელო. ეს თავის აგდება იქნებოდა. ლენინი იმ ჭეშმარიტად დიდებს ეკუთვნის, რომელთაც ბედი ხალხს ან კლასს ბელადათ არგუნებს ძლიერ ძვირად, ერთხელ ას წელში. მხოლოდ ასეთი ადამიანის, ასეთის ბელადის წყალობით, როგორიც იყო ლენინი, პროლეტარიატი შესძლებს თავის განთავისუფლებას მიაღწიოს.

## არტურ გოლლიტჩერ.

ვლადიმირ ილიჩის სიკვდილის დროს ერთის წუთით შეჩერდა კაცობრიობის გული, შეჩერდა მსოფლიო ისტორიის მაჯის ცემა. მისმა ცხოვრებამ დასასრული ჰპოვა, მაგრამ მხოლოდ ეხლა ჩრდილოეთის უსაზღვრო ნათელის მზგავსად ამოდის ჰორიზონტზე მისი სიცოცხლის ლეგენდა.

პროლეტარიატის ნებამ და ძალამ პირველად შეისხა ხორცი ლენინში. ეხლა შეუძლებელია მისი პიროვნების სიდიადის და მოხაზულობის ასახვა, მაგრამ უკვე ეხლაც ცხადია, რომ მის პიროვნებაში პიროვნული პირველად დასძლია კაცობრიობის დიდმა კოლლექტივმა. ტყუილად კი არ მიმართავდნენ ლენინის პირველი მანიფესტები „ყველას!“ ის იყო მაღვიძებელი და მყივარი სინიდისი კაცობრიობისა. და ეს ხმა არასოდეს არ შეწყდება.

## ოტტო ბაუერი.

(ავსტრიის გამოჩენილი სოც.-დემ. და მარქსიზმის თეორეტიკოსი, ყოფილ $2^{1}/_{2}$ ინტერნაციონალის ბელადი)

მე სიამოვნებით ვიღებ „უწყებების“ რედაქციის წინადადებას და ვეუბნები რუსეთის მუშებს, რომ ავსტრიის ს.-დ. პარტია მათთან ერთად დასტირის დიად რევოლიუციონერის კუბოს. ის ხშირად და მკვეთრად გამოსულა ჩვენ წინააღმდეგ. ჩვენ მას არ ვეთანხმებოდით იმაში, რომ ევროპის სულ სხვაგვარ სოციალურ პირობებში მისი საქმე არ განხორციელდებოდა იმავე გზებით, როგორც ეს მოხდა რუსეთში. მაგრამ ლენინის საფლავის წინ სდუმდებიან ეს უთანხმოებანი, ჩვენ დაბლა ვხრით ჩვენს დროშებს მისი ნების ყოფის გენიის წინაშე, მისი საქმის წინაშე, რომელმაც რევოლიუციონური სული შთაბერა მთელ მსოფლიოს.

ჩვენც მისი მოწაფენი ვიყავით. პროლეტარიატის მიერ გლეხობისათვის წინამძღოლობის გაწევა—აი ძალაუფლებისაკენ მიმავალი გზა. ამას გვასწავლიდა ჩვენ ლენინი. ჩვენის აზრით, ეს წინამძღოლობა დასავლეთ და შუა ევროპაში განხორციელდება სხვა გზით და სხვა საშუალებით ვიდრე რუსეთში, მაგრამ ის ხომ აქაც უნდა განხორციელდეს—აი რაშია დიადი გაკვეთილი ვლადიმირ ილიჩ ლენინის გამარჯვებისა.

დანტონი, მარატი, რობესპიერი, გებერი,—ყველა ესენი გაафთრებული ებრძოდნენ ერთმანეთს და ერთი მეორეს გზავნიდნენ გილიოტინაზე; მაგრამ ეხლა საფრანგეთის დიდი რევოლიუცია წარმოგვიდგება ჩვენ, როგორც იმათი საერთო საქმე. მზგავსად ამისა, დადგება დრო, როდესაც ჩვენი დროის დიდი რევოლიუცია ჩვენს შთამომავალთ წარმოუდგებათ როგორც ჩვენი საერთო საქმე, მიუხედავათ ყველა იმისა, რაც ეხლა ასე ანსხვავებს კომუნისტებს რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატებისაგან. აი ამ ერთობის გათვალისწინებით ჩვენც თავს ვიხრით თქვენი უკვდავ ბელადის ხსოვნის წინაშე.

## კარლ კაუტსკის წერილი.

დიდათ პატივცემულო ამხანაგო!

როგორც ხედავთ ამ ჟამად მე ვენაში ვარ. თქვენი წერილი მე მივიღე მხოლოდ დღეს და ამიტომ დროით ვერ შევსძელი თქვენი წინადადების აღსრულება. მე ძალიან ვწუხვარ ამას, რადგან მინდოდა ჩემი წვლილიც შემეტანა პროლეტარულ რევოლიუციის აწ გარდაცვლილ გმირის პატივისცემაში. მართალია, მე აღმეძრა დიდი ეჭვები ლენინის უკანასკნელი წელთა პოლიტიკურ და ეკონომიურ მეტოდების შესახებ. მართალია, იგი მძაფრად ილაშქრებდა ხოლმე ჩემს წინააღმდეგ ჩვენი არსებითი უთანხმოების გამო, მაგრამ უფრო მტკივნეული იყო ჩემთვის მისი გამოლაშქრება ყველა იმ სოციალისტურ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ ლენინის შეხედულებას. მაგრამ სიკვდილის ჟამს ჩვენ უნდა დავაფასოთ ადამიანი მთლიანად და არა რამოდენიმე წელი მისი სიცოცხლისა ან რამოდენიმე მხარე მისი მოღვაწეობისა—და ამასთან ყოველივე პირადი უნდა დადუმდეს. ჩვენმა უთანხმოებამ არ უნდა დაგვაბრმაოს ისე, რომ არ დავინახოთ გარდაცვალებულის სიდიადე. ის ვეებერთელა ფიგურა იყო, მეტად ძვირი მსოფლიო ისტორიაში. ჩვენი დროის დიდ სახელმწიფოების მმართველთა შორის მოიპოება მხოლოდ ერთი, რომელიც თავის ძალით რამოდენიმედ მაინც უახლოვდება მას. ესაა—ბისმარკი. რა თქმა უნდა, მათი მიზანი ერთი მეორის დიამეტრალურად წინააღმდეგი იყო. ერთის მიზანი იყო—გერმანიაში ჰოჰენცოლლერნთა დინასტიის ამაღლება, მეორეს კი პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვება. აქ ისეთი წინააღმდეგობაა, როგორც ცეცხლსა და წყალის შორის. ბისმარკის მიზანი წვრილმანი იყო, ლენინისა კი—კოლოსალური.

მაგრამ, რკინის კანცლერის მზგავსად, ლენინიც უდრეკელი და ყველაზე გაბედული ნებისყოფის ადამიანი იყო. ბისმარკის მზგავსად, მან შეიგნო შეიარაღებულ ძალის მნიშვნელობა პოლიტიკაში და შეუბრალებლად იცოდა მისი გამოყენება გადამწყვეტ მომენტში. ბისმარკმა განაცხადა, რომ ჩვენი დროის დიადი პრობლემები გადაწყვეტილი უნდა იქმნან რკინითა და სისხლითო. სწორედ ასეთივე იყო ლენინის შეხედულებაც. რა თქმა უნდა, არც ერთი, არც მეორე არ ფიქრობდნენ იმას, რომ მარტო



ლენინი ტელეფონთან.

ესაა საკმარისი. ბისმარკის მზგავსად, ლენინიც ოსტატი იყო დიპლომატიაში, გზას არევის ხელოვნებაში. და ისევე, როგორც ბისმარკი, ლენინი ყოველთვის მზად იყო იმ წუთშივე, როგორც კი აღებული გეზი მი-



ლ ე ნ ი ნ ი.

ზნისაგან აცდენილ გზათ ეჩვენებოდა, უყოყმანოთ და დაუყოვნებლივ უკან დაეხია და სხვა გზით ეარა. ისევე იოლად, როგორც ბისმარკი 1878 წელს თავისუფალ ვაჭრობიდან პროტექციონიზმზე გადავიდა, ამას წინად ლენინი წმინდა კომუნიზმიდან ნეპ-ზე გადავიდა.

მაგრამ, რასაკვირველია, მათ შორის საერთო ხაზებთან ერთად არის განსხვავება, და არა მარტო მათ მიზანში: უკანასკნელი თავის თავადაც იგულისხმებოდა და უკვე აღნიშნული იყო ჩემ მიერ. ლენინი მეტად შორს სტოვებს ბისმარკს თავის ინტერესით თეორიისადმი, რომელსაც ის



ლენინი თავის პატარა დისწულით.

თავგამოდებით სწავლობდა, და აგრეთვე თავის უანგარობით. ბისმარკს სრულიად არ აინტერესებდა თეორია და თავისი სახელმწიფოებრივი ძალა—უფლება პირად გამდიდრებისათვის გამოიყენა.

მაგრამ ლენინი ჩამორჩა ბისმარკს უკანასკნელის მიერ საზღვარ-—გარეთის ცოდნაში. ბისმარკი გულმოდგინეთ შეისწავლიდა ხოლმე იმ სახელმწიფოებს, რომელთანაც თავის საგარეო პოლიტიკაში საქმის დაჭერა მოუხდებოდა, მათ ძალას და მათში მყოფ სხვა და სხვა კლასთა ძალასაც. წინააღმდეგ ამისა, ლენინი, მისი პოლიტიკა სავსებით შეგუებული იყო რუსეთის ფიზიონომიასთან, და საზღვარ გარეთის მიმართ კი იგი ეყრდნობოდა მსოფლიო რევოლიუციის მოლოდინს—და ეს მოლოდინი კი, ყველა იმისთვის ვინც იცნობს დასავლეთ ევროპას, იმ თავითვე უნდა ყოფილიყო ილლიუზია. *) აქ ჩვენ ვპოებთ ულრმეს განსხვავებას ბისმარკსა და ლენინს შორის. ბისმარკმა თავისი ძლევამოსილება განამტკიცა თავის გამარჯვებით საგარეო პოლიტიკაში, ლენინმა კი —თავის გამარჯვებით შინაგან პოლიტიკაში. ეს არა მარტო ამ ორ პიროვნებათა ნიჭის განსხვავებიდან გამომდინარეობდა, არამედ იმ გარშემო პირობების განსხვავებიდანაც, რომელშიაც ისინი მოქმედებდენ.

ბისმარკი ძალა—უფლების მესაჭე შეიქნა ისეთ ქვეყანაში, სადაც დიდი საფრანგეთის რევოლიუციის, ნაპოლეონის ომების და 1848 წლის რევოლიუციის წყალობით მასსები უკვე დაწაფებული იყვნენ ინტენსიურ პოლიტიკურ ცხოვრებას. თავის ძლევამოსილობის მათთვის ძალად თავზე მოხვევა დამოუკიდებელ პოლიტიკურ აზროვნების და გამოსვლების მათთვის წართმევა შეუძლებელი შეიქნა. ამაზე ბისმარკმა ფეხი მოიტეხა. ლენინი კი შეიქნა ხელისუფალი ისეთ ქვეყანაში, სადაც მასები, მართალია, მეტად ამოძრავებული იყვნენ ომის შედეგის წყალობით, მაგრამ

*) ამის შესახებ ჩვენ მივუთითებთ მკითხველს ამხ. სოლსკის ზემოდ მოყვანილ წერილზე, რომელშიაც მოცემულია ს. დ. და ბურჟუაზიულ გამოძახილთა შეფასება; იქვეა კაუტსკის არგუმენტაციის პასუხიც.

რედ. შენიშვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მათ წინ არ უძლოდა რამოდენიმე თაობის დამოუკიდებელი პოლიტიკური აზროვნება და მისწრაფებანი, და ამიტომ, როდესაც აღელვება დაცხრა, ისინი ადვილად დაემორჩილენ ყველაზედ უფრო გამოჩენილ ლენინის პიროვნების და მისი თანამშრომლების ძლევამოსილობას.

აი აქაა ლენინის გამარჯვების ულრმესი ფესვები და აქვე იწყება ჩემი დიდი დაეჭვება მისი სისტემის წინააღმდეგ, რადგან პროლეტარიატის განთავისუფლება პირველ ყოვლისა ნიშნავს მის აზროვნების და მოქმედების სრულ დამოუკიდებლობას. ამისი საგრძნობელი და გამარჯვების მომასწავებელი ჩანასახი აშკარა იყო რუსეთის პროლეტარიატში 1917 წლის რევოლიუციის წინ. ლენინმა მიიყვანა პროლეტარული რევოლიუცია რუსეთში, მაგრამ იმავე დროს გადააქცია იგი უნაყოფოდ მომავალში. მაგრამ რუსეთის რევოლიუცია ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენ არ ვმარხავთ მას ლენინთან ერთად.

მუშათა კლასის მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი ბოლოს და ბოლოს მონახავს თავის გზას რუსეთში და მაშინ მომწიფდება ყველა ის ნაყოფი, რომლითაც ესოდენი სიუხვით მდიდარია რუსეთის რევოლიუცია.

მაშინ რუსეთის ყველა მშრომელი ხალხი განურჩევლად მიმართულებისა მადლობით გაიხსენებენ ყველა თავის დამწყებ მებრძოლთ, ვინც ათეულ წლების ბრძოლით და ვარამით მოამზადა რუსეთის რევოლიუცია და შემდეგ



ლენინინი ტრიბუნაზე.

დაიწყო იმით, რომ პროლეტარიატს სრული თავისუფლება მიანიჭა, მაგრამ მისი მეტოდის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა შედეგებმა აიძულეს ის თანდათან შეემცირებინა ეს თავისუფლება.

მე მეტს არ შევჩერდები ამაზე, რომ არ გადავსცდე განსვენებულის დაუასების ფარგლებს და არ გადავიდე პოლემიკაში. მხოლოდ აღვნიშნავ კიდევ იმას, რომ მიუხედავად ჩემი იჭვებისა ლენინის მეტოდების შესახებ, მე არ მიმაჩნია იმედ გარდაწყვეტილად რუსეთის რევოლიუციის მდგომარეობა. მართალია, ჩემი თვალსაზრისი შეიძლება ისე ახსნას ვინმემ, თითქოს ლენინმა გამარჯვებამდე გამარჯვებით დააგვირგვინა იგი. და ლენინის სახელი არ გამორჩებათ პანთეონში იმათ, ვინც დღეს კომუნისტურ პარტიის მოწინააღმდეგეებათ გამოდიან.

სანამ მეც გავყვები ლენინს იმ ქვეყანას, საიდანაც დაბრუნება არ არსებობს, მანამდე მე კიდევ მინდა დავინახო მთელი ქვეყნის მუშათა დაძმობილება თავის გარდასულ ბელადთა საერთო პატივისცემისათვის, მათი გაერთიანებული თავისუფალი მუშაობა სოციალისტურ საზოგადოების აღმშენებლობისათვის.

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სალამი ერესეფესერს.

გერმანელ პოეტის ექსპრესიონისტის.

ალმოსავლეთით მზე ამოდის. აღტაცებული
მიჰქრის პოეტი შესახვედრათ. დაიმალება
წყვდიადი—ციურ სხივნარებით დამარცხებული.
და სიყვარულის გაიმარჯვებს აქ ბრწყინვალება.

ოქროს ნამგალი! და ჩაქუჩი მოოქროვილი!
აისის ცეცხლი! და ხორბალთა თაიგულები!
ო, ფილისტერო, მუხლმოდრეკით სცანი ყოველი:
ხანძარი ბრძოლის—საზეიმო ცეცხლთა მთოველი,
დაღვარე ცრემლი მწუხარების და უძლურების!

დე! თქვენი მკერდი—ულმობელი იყოს გრანიტი.
თავისუფლებას მოიპოვებთ თქვენი ბრძოლებით,
და მხოლოდ მაშინ თქვენ დასტკბებით სხვა სავანეთი;
აღსდგება ხალხი ღვთაებრივი და ნაქროლები.

ოი ჭაბუკნო! დედაკაცნო! ხართ მშვენიერი!
თავისუფლების ბაირაღი წითელი არი.
მომავალ რასის აქ მოისმის ხორო ხმიერი.
შენი სიუხვით იკვებება მტერ-მეგობარი.

იყავ მაგარი, შეუდრეკი, ისე ვით გრდემლი.
მოღალატენი ეხვევიან შენს მგრგვინავ დღეებს.
მაგრამ ყოველთვის გაბედული, სისხლით და ცრემლით
ანოყიერებ შენს მინდვრების მარად სივრცეებს.

იყავ მაგარი! არ შეკრულა შენი იარა!
ნუ დაივიწყებ ძველ წამებას! სისუსტე კმარა!
უნდა განკურნო, დიდებულო, ქვეყნიერება,
მისცე ერების ოკეანეს სხვა ძლიერება,
წმიდათა-წმინდას და მწვერვალებს რომ აზიარო!

ღვთის ქალაქისკენ ყველასათვის გზა გახსნილია.
თვითონ ტოლსტოიმ გვიანდერძა ჩვენ სიყვარული.
მოდის მნათობის ელვარება ნიაღვარული.
და არის მხოლოდ აღტაცება, სხვა კი-ტყვილია!

მოგართმევ სალამს, ო რუსეთო, ნორჩო, მედგარო!
დემოკრატია დასავლეთის ცეცხლით აღჭურვე.
წყლიან ინგლისზე აიმართა ხმალი ბედქარა.
გამარჯვებაში საფრანგეთმა იხილა ურვა.

ბრბო ჯალათების სირცხვილისგან თვალს ვერ გაახელს.
სისხლიან ომთა გამომწვევნი ვერ ნახვენ სახელს,
ჟამთა სრბოლაში იქნებიან ისინი კრული,
თუმცა კავშირი დღეს-დღეობით აქვთ რკინეული.
მძლავრი მონები უფსკრულიდან უკვე დგებიან,
ძველ სიმაგრეებს სასიკვდილოდ ემუქრებიან.

ო, სიგიჟეთა მარადისი ჭეშმარიტება!
იგრძნეს ქარხნებმა ცეცხლფრთიანი აზრის დიდება
და საბრძოლველად შეუპოვარ რაზმით მოდიან.
ბარრიკადებზე ანგელოსი დადგა ფრთიანი,
მაგრამ ნაზია ზარბაზნების ხმა რიხიანი,
როგორც ამ ქვეყნის აძახილი და მელოდია.

**იოგან ბეჭერ.**

# რამოდენიმე სიტყვა ომისა და ზავის შესახებ.

(ლენინის წინადადებები).

დამფუძნებელ კრების შემდეგ, რომელიც უნდა გახსნილიყო და არ შესდგა, ვგონებ, 5 ნოემბერს 1917 წელს სმოლნში გაიელვა რაღაც არეულმა ხმებმა:—ვლადიმირ ილიჩი აპირებს გამოსვლას ისეთი წინადადებით, რომელიც ყველას გააოცებსო.

სმოლნის ბნელ კორიდორებში მე არა ერთს და ორს ამხანაგს შევეკითხე თუ რაზედ ილაპარაკებს ლენინი. ყველა მიპასუხებდა: „ომზეო", მაგრამ გარკვეული პასუხის მოცემა იმის შესახებ, თუ სახელდობრ რა წინადადებით გამოვიდოდა ამხ. ლენინი, არავის არ შეეძლო.

ჩვენ შევიკრიბენით ერთ-ერთს ოთახში. შუაში მრგვალი მაგიდა სდგას. მას მიუჯდა ი. მ. სვერდლოვი. კედლების გასწვრივ შეჭედილან ამხანაგები. ბევრი თითქმის იატაკზე ზის. ბნელ თაღის სიმაღლიდან ბჟუტავს უსინათლო ელექტრონის ლამპა.

და დაიწყო თავისი მოჭრილ წინადადებათა ხან ზეპირად თქმა და ხან ქაღალდებიდან ამოკითხვა.

საჭირო იყო ლენინის გამბედაობა და რწმენის ძალა რომ ასე უცებ ხარისთვის რქებში ხელი წაგევლო და ისიც ისეთ აუდიტორიის წინაშე, საცა ის ვერ იფიქრებდა უმრავლესობის გადაბირებას.

და მართლაც, მას არა თუ უმრავლესობა არ გაჰყვა, მან 35—40 კაცისგან შემდგარ კრებაში სულ შვიდი ხმა მიიღო.

მის წინადადებათა წინააღმდეგ წამოყენებულ იქნა ფრაზა: „ზავს ხელს არ მოვაწერთ, მაგრამ არც ვიომებთ".

უმრავლესობამ უარჰყო წინადადებები და გაჰყვა ფრაზას.

სწორედ ამ დროს შინ აწვებოდა გერმანელი ორშას. ლენინგრადსაც საფრთხე მოელოდა.



მსოფლიო 7 მნათობი.

და, აი, შემოვიდა ისიც წითურ ფიჯაკში, იღიმებოდა, სჩანდა, რომ მასთანვე შემოსულ ორ-სამს ამხანაგს რაღაც სახუმროს უაშბობდა. მაგრამ როგორც კი ი. მ. სვერდლოვმა თავის შემზარავი ხმით გამოაცხადა:

სიტყვა ლენინსო—უკანასკნელი მყისვე შეიცვალა. მის სახეზე რაღაც ჩრდილმა გადაირბინა. თვალები ცოტათი განზე გაეწია რის გამო უეცრად გამომეტყველი და ბრძანებელი გახდნენ. გულის ჯიბიდან ამოიღო რამოდენიმე, უხაზო ფოსტის ქაღალდის ოდენა ფურცელი, კარანდაშით ნაწერი და მოჭრილად, სწრაფად, უყოყმანოდ დაიწყო:

ამხანაგებო, მე აზრადა მაქვს მოგმართოთ თქვენ წინადადებით იმ ზავის შესახებ, რომელიც მზათა აქვთ ჩვენთვის გერმანელებს. სრული სისწორის დასაცავად ჩემს წინადადებებში, მე შევეცადე ისინი ჩამომეყალიბებინა ტეზისებში. აი ის ტეზისები!

ლენინის დამშვიდება მოინდომეს: ეს არაფერია, ვინ მოდის ჩვენ წინააღმდეგ, ვინ?—გერმანელების ნამდვილი არმია კი არა, ლანდშტურმისტები და ლანდვერტისტები (ჩვენებურად, უწინდებურად—მოლაშქრენი).

ლენინი არ იღებდა ამ დამშვიდებას და უპასუხებდა:

ნუ თუ თქვენა გგონიათ, რომ დღევანდელი ჩვენი ჯარის წინააღმდეგ საჭიროა პრუსიის გვარდია!?

ჩვენ ჯარს ეხლა ლანდვერტისტებიც მოსკოვამდე გარეკენ.

და აი მოსკოვში გადასვლის შემდეგ ლენინმა მოიწვია სამხედრო პირთა თათბირი. მაშინ არ იყო არც გენ—შტაბის აკადემია, არც კურსანტები, არც პოლიტგანყოფილებები, არც წითელი გენერლები ან კომანდირები.

ჩვენ ვსინჯეთ გაგვეჩინა ორიოდე სპეცი, რომელლაც მეტად დემოკრატიულ გენერალს მივმართეთ ჩვენთან მუშაობის წინადადებით და მან ასე გვიპასუხა:.

ეროვნული ბიბლიოთეკა





ლენინის მეუღლე ულიანოვა-კრუპსკაია.

— მე თუმცა მოხუცი ვარ, მაგრამ თუ თქვენ მაიძულეთ თქვენ სასარგებლოთ მუშაობა, მე თავს გავწირავო.

ერთი, ორი, შეიძლება, სამი სპეცი მაინც გვყავდა. ისინი თავის დროზე დაღვრემილნი გვატყობინებდნენ, რომ მდგომარეობა თანდათან უფრო რთულდებოდა.

ალბათ, მაშინ გადაწყვიტა ვლადიმირ ილიჩმა თავის სამხედრო პირების კომუნისტებისთვის რჩევა ეკითხნა.

ჩვენ ხუთმეტიოდე კაცი დილით ადრე შევიკრიბენით ყოფილ „სამოსამართლო უწყების“ ერთ-ერთი პატარა ოთახში. ლენინს ხელი სტკიოდა და შეხვეული ჰქონდა.

პალტო არ ჩაეცვა, ისე მოეგდო, ქუდიც კეფაზე ჰქონდა. გვთხოვა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი.

დაიწყო აზრთა გაზიარება.

ამხანაგი X ამბობდა:

— ყველაზედ უსაჭიროესია — ავაფეთქოთ ხიდები და მტერი კავალერიის იერიშებით შევაწუხოთ.

ლენინმა მარცხენა ხელიდან მარჯვენაზე გადასდო დიდი თავი.

ამხანაგი Z ამტკიცებდა:

თანამედროვე ომის უმთავრეს საფუძველს შეადგენს დაზვერვა და პოლიტ.— მუშაობა. ამისათვის ჩვენი აგენტურის გაძლიერებასთან ერთად საჭიროა გამოუშვათ გერმანელებისადმი მოწოდებები.

ლენინმა ამოიხვნეშა და კიდევ ერთხელ გადასდო თავი მარცხენა ხელიდან მარჯვენაზე. ქუდი კეფაზე თითქმის მთლათ გადაძვრა და გამოაჩინა ფართოი შუბლი — ყვითელი გუმბათი.

შემდეგი მოლაპარაკე უნდა ყოფილიყო ამხანაგი A. მაგრამ ლენინმა ჩაახველა. მისწია სკამი მაგიდისაკენ.

— მოითმინეთ, ამხანაგებო, მე კიდევ შვიდი კაცი მყავს ჩაწერილი. და თუ ჩაწერილ ამხანაგებიდან თვითეულმა იმგვარადვე ილაპარაკა, როგორც წინანდელმა,— ჩვენ ერთიც ნაბიჯითაც კი წინ ვერ წავიწევით. საკითხი იმაში კი არ მდგომარეობს, თუ როგორ უნდა გაუწიოთ წინააღმდეგობა გერმანელებს. ჩვენ რაც არ უნდა მოვიმოქმედოთ, იმათ მაინც ვერ გავაჩერებთ. იმათი გაჩერება შეუძლია მხოლოთ ზავის დადებას. აი აქედან უნდა გამოვდიოდეთ ჩვენ. აქედან და არა სხვა რამესაგან. სწორედ ამიტომ მე ვფიქრობდი, რომ ჩვენი თათბირის ამოცანას შეადგენდა განსჯა იმისა, თუ როგორ გადაგვერჩინა პურის, ტანისამოსის, სამხედრო მოწყობილობათა საწყობები და სხვ. რა გზით გადაგვერჩინა ჩვენი ნივთიერი მომარაგება და არა ისე თუ როგორ გაუწიოთ წინააღმდეგობა გერმანელებს. აი რა საკითხი სდგას ჩვენს წინაშე.

კრება, სადაც უკვე მრავალი მშვენიერი სიტყვა და საგმირო ჟესტები დაიხარჯა, ცოტა არ იყოს, სახტად დარჩა. მომარაგების დაცვის მარტივმა და მძლავრმა რკინასავით საკითხმა როგორღაც უეცრად გაგვაოცა. და მასთან ერთად თვით პატრონის, მომჭირნე, ანგარიშიან პატრონის მიერ — საკითხის ასე დაყენებამ ჩვენ ყველანი გაგვამარტივა. ჩვენ ვიგრძენით, რომ მან თვითეულ ჩვენგანს ხელი ჩასჭიდა და მიგვიყვანა ყველაზე უსაჭიროეს, პრაქტიკულ ჭეშმარიტებასთან, რომელიც ფაქტიურად იყო რუსეთის გემის მოძრაობის მთავარი ღერძი.

აქ კი აზრთა გაზიარება როგორღაც შენელდა. ყველა სწონიდა გამოთქმულ სიტყვას. ყველა თავის თავში ეძებდა ფაქტიურ ცნობებს. ერთმანეთს ეკითხებოდნენ „ფაქტიურ ცნობისათვის“. და საერთოდ, ყველამ გადაიწია სახელოები, ხელი ჩაჰკიდეს, გასვრილ პრაქტიკულ „კოჩეგარკას“ და დაიწყეს საქმიანი, რეალური სჯა-ბაასი.



ლენინის დაი მარია ულიანოვა.

ცოტა უხერხულად გრძნობდნენ თავს უკვე ნალაპარაკევი ორატორები, მაგრამ ისინიც მოლბნენ, გაიზიარეს საქმიანი კამათი და კრება დასრულდა თუმც, არა დიად გადაწყვეტილებათა მიღებით, მაგრამ დიდის პრაქტიკულის შედეგით.

და მხოლოდ მას შემდეგ რაც ამნაირ მუშაობას მიჰყვეს ხელი ბევრი გმირი მეომარი დარწმუნდა, რომ სინამდვილეს ფრაზით ვერ დასძლევ, რომ ფრაზის გაყოლა შეუძლებელია.

ა. აროსევი.

# ქართული სანახაობის რეფორმა.

„ეს „ფერხულის და სამაიას“ პერიოდიც გავიდა. ყვეღიერისა და ბერიკაობის დროც მალე განქრა. დაიწყო დიდი მარხვა. პირველმა შავმა ორშაბათმა ისევ ისე ყაბლუ ფლავისა და ერბო კვერცხების თამაშზე თავს დაათენა ამ მხიარულ საზანდარებისა და ყეენმა ხარჯი და ანგარიში მოსთხოვა წინაპართ და იმათ საკუთარ შეცდომებსა“ („დროება“ 70, უცნობი ავტორის წერილები მიუნხენიდან, არჩილ ჯორჯაძე ტ. V 146 გვ).

გაზეთ „დროების“ ერთ ძველ ნომერში ეგ უცნობი კორესპონდენტი მიუნხენიდან 70-ან წლებში მწუხარებით ითვალისწინებს ხალხურ ფერადოვან სანახაობის გადაგვარებას. ის მაინც შვილია ნიჰილისტური საუკუნის, რომელიც მოითხოვდა ხელოვნებისაგან „სარგებლიანობას“ და როგორც ასეთი ის წინასწარმეტყველობს ნატურალისტურ,—„ცხოვრების გადამღებ“, რეალისტურ ხელოვნების შექმნას, რომელიც გამოისყიდის წინაპართა და თანამედროვეთა შეცდომებს.

და მთელი წარსული ხელოვნება უკანასკნელ წლებამდი გაიყინა ყოველდღიურობის სარკეთ და ის კმაყოფილდებოდა ისტორიის ნასუფრალით.

ასეთმა ხელოვნებამ სავსებით შეასრულა თავისი დროის სოციალური ფუნქცია—სწავლებისა, პატრიოტიზმის ხელის შეწყობისა და გართობისა.

ეს მოძველდა.

**ფიზიოლოგიური განცდანი ისტორიის ნაოჭებში...** „ნატურალისტურ თეატრის ფიზიოლოგიურმა განცდებმა მიიყვანა თეატრი მიმბაძველობამდის ყოველდღიურ წვრილმან ცხოვრებისა. არტისტი გარდაიქცა თითქო ფოტოგრაფიულ ფირფიტად; ნატურალისტური თეატრი მოითხოვდა მისგან, რაც შეიძლება, ცხოვრებასთან დაახლოვებას. ფსიქოლოგიური თვითჩიჩქნაში არტისტმა დაკარგა ოსტატობა, დაკარგა წარმოდგენა თავის სხეულზედ; აწეული გრძნობა ხურდავდებოდა უბრალო ყოველდღიურ ცხოვრებაზე, დაკარგა ნამდვილი თეატრალური პათოსი და ისწრაფოდა მხოლოდ ერთისაკენ: ჟესტით, მიმიკით, პლასტიკით დამსგავსებოდა ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ადამიანებს. თეატრი მივიდა წვრილმან ზნეჩვეულების მეშჩანურ განსახიერებამდე, და იმ დროს, როდესაც მსოფლიო შეარყია ახალმა იდეებმა, ნატურალისტური თეატრი თავისი ფიზიოლოგიური განცდებით გატაცებული იყო ან ადიულტერით (საფრანგეთი), ან კიდევ ისტორიულ, არქეოლოგიურ აღდგენით ძველი თეატრისა (გერმანია—მისტერია რეინჰარდის; რუსეთის—ევრეინოვი და დრიზენი „უძველესი თეატრი“), ან კიდევ ფუტლიარულ კაცუნების ასახვით (რუსეთი—სამხატვრო თეატრი). ჩვენი თეატრი, როგორც პირდაპირი მიმბაძველი რუსეთის თეატრის იყო განსახიერება ავლაბრის მეშჩანების, ან კიდევ პროვინციელ ტიპებისა. ამდაგვარად ცხოვრებამ, რომელიც გიგანტური ნაბიჯებით მიისწრაფოდა წინ, გადაისროლა უკან ძველი ნატურალისტური თეატრი,—და სადღა აქვს ადგილი ფიზიოლოგიურ განცდებს, თუ არა ისტორიის ნაოჭებში“. კითხვა დასმულია კათეგორიულად.

ნოემბრის 25... **ქართული თეატრი აუქციონში**.

შემოსავალი ეკუთვნის „დურუჯის“ კორპორანტებს.

29 იანვარს წარსულის დამსხვრევა გამოაცხადა „დურუჯმა“ ქართული თეატრის გაბედული მანიფესტით.

თეატრმა მტკიცედ გამოსთქვა თავისი ნება და მისწრაფება ჩამდგარიყო სხვა ხელოვნებათა (სიტყვისა და მხატვრობის) რიგში, რომელთა რენესანსი გამოცხადებული იყო გრიგოლ რობაქიძისა და ახალი პოეზიის და მხატვრობის ფალანგის „ცისფერი ყანწების“ მიერ.

ეს მოძრაობა კანონზომიერია და სასაცილოა მეოცე საუკუნეში გამორჩენილ და გაქვავებულ ხელოვნებისა და მისი მომხრე წვრილფეხა-აზნაურთა (შ. დადიანი) და წვრილფეხა—ბურჟუათა (ქიაჩელი, კოტეტიშვილი) ცდა გამართონ თუნდაც „კომედია ბრძოლისა“ (თქმა ტიციან ტაბიძისა—ცისფერი ყანწები № 1). ეს მხოლოდ მოწმობს, რომ ისინი საოცრად ჩამორჩენ ევროპისა და რუსეთის ბურჟუაზიული ხელოვნების მიღწევებს.

**ჩრდილოეთიდან მოვარდნილი კენტავრი** კოტე მარჯანიშვილი თავის წერილში (ქართული ხმა № 13) გაკვირვებას გამოსთქვამს ამ საზოგადოების კულტურული ნაწილის ჩამორჩენილობის შესახებ, რომელიც იბრძვის უმიზნოთ ობმოკიდებული ენერგიით, მაშინ როდესაც ეს მოძრაობა ნაწილობრივად იცავს იმავე საზოგადოების ინტერესებს.

ამ საზოგადოებას დიდხანს ეჭირა ხელში სადავე ხელოვნებისა, განსაკუთრებით თეატრი, როგორც ყველაზე უფრო ქმედითი ოსტატობა.

და მხოლოდ საქართველოს გასაბჭოებამ მოხსნა ბორკილები თეატრს და მისცა მას თავისუფალი გაქანების საშუალება. ისე რომ არ წაუყენებია მისთვის იდეოლოგიური მოთხოვნილებანი.

აქედან არის იმპულსი თეატრის რეფორმისაკენ, რომლის მიზანია იმავე საზოგადოებისათვის შესრულება ახალი შეკვეთის გასახიერების უფრო გამახვილებული ფორმებით.

მაგრამ რაშია განსხვავება?

ნატურალისტური თეატრი მოსაწყენ სინამდვილეს გვაწვდიდა, როგორც გამოგონებას-და ამავე დროს გაკვრით ამხილებდა წინარევოლიუციურ საზოგადოების სენებს და იარებს და მაინც ფატალურად ამარცხებს მას. ეხლა კი ახალმა თეატრმა არჩია გამოგონება განასახიეროს, როგორც ბრწყინვალე სინამდვილე.

მიზანია დაშორება, განთავისუფლება მაყურებელის უხეშ სინამდვილიდან „ჭეშმარიტი სილამაზის“ შთაბეჭდილებათა დაპირისპირებით.

ამიტომ 25 ნოემბრის თეატრი გამომჟღავნდა, როგორც ილლიუზიების თეატრი, რომელიც გამართლებულია როგორც „თვითმიზნობრივი სანახაობა“ („ინტერესთა თამაშის“ და „გააზნაურებული მდაბიოს“ დადგმა და სხვა). ხერხი დადგმისა არის ხელოვნებათა სინთეზი: პლასტიკით, მუსიკით, ფერადი დეკორაციებით, ანსამბლით და სცენიური ტეხნიკის გამახვილებით.

მართალია, ყველაფერ ამაში არის განცალკევების და თვითკმარი ესთეტობის გაბატონება, რომელიც ილტვის ცხოვრებიდან. მაგრამ კარგია, რომ ამან შესცვალა მეშჩანური მორალის და ვითომდა სასიცოცხლო წვრილბურჟუაზიული ყოფისა და არქეოლოგიური პატრიოტიზმის კმაყოფილი ცოხნა.

მაგრამ მაინც უნდა მივცეთ უპირატესობა „დურუჯის“ თეატრს. ის თანდათან ემორჩილება ახალი მაყურებლის ძალას. სდგამს იმისათვის ტოლერს და კაიზერს—თუნდაც არა სავსებით გამოჭედილ ფორმაში. მაგრამ ახა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი საშუალებანი მოდიან თავის თავად.. დრამა „გმირის“ თარგმნითი ენაც კი ცოცხალია, როგორც ენა სოციალური წრის და ქუჩის. წინადმოყვანილი ციტატა დურუჯის „განმარტებიდან“ იძლევა მოძრაობის პროგრამას, თუმცა ეს მაინც არის პროგრამა მინიმუმი.

ახალ თეატრში, რომელიც ამ ჟამად იქმნება ჩვენთვის უეჭველია მხატვრულ ზედმომქმედ ფორმების ჯერ კიდევ ხელუხლები შესაძლებლობანი. ისინი გვესაჭიროება ჩვენ—მაგრამ ზედმომქმედი ფორმის განსახიერებით ისინი შეასრულებენ საბჭოთა საზოგადოებრიობის შენაკვეთებს

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ წასისინებული დღეს „დურუჯის“ ახალგაზრდა ფალანგა კოტე მარჯანიშვილის მეთაურობით მიხვდება, რომ თავისი ენტუზიაზმის შემოქმედებისა და მუშაობის გამართლებას ნახავს და უნდა ნახოს ამომავალ კლასში—პროლეტარიატში, რომელიც გაიგებს, დააფასებს და გზას მისცემს მათ.

დე, საშუალო მაყურებელმაც დალურსმოს უკანასკნელი ლურსმანით შალვა დადიანის „დღეინდელობის“ თეატრის კუბო.

იმის თავდები, რომ ჩვენ გვექნება თეატრი საბჭოთა ტენდენციით მარჯანიშვილის სახვითი შესაძლებლობაში არის დადგმა იმის მიერ კომინტერნის მეორე კონგრესისათვის—სამი ინტერნაციონალის ინსცენიროვკისა—„ორი ქვეყანა“ (3.500 არტისტის მონაწილეობით, სულ კი 70.000 მომქმედ პირით ლენინგრადის ბირჟის მოედანზე): 26 იანვარს კიტფილისში მის მიერ შექმნილი შთაბეჭდილება ლენინის ცხადი გასვენებისა.

შორს არ არის ქართულ ხელოვნებაში ოქტომბერი.

**არჩილ მიქაძე.**

# სოსო ჯუღაშვილი-სტალინი.

(მოგონება).

თუ ვინმე ოდესმე შეუდგება ამიერკავკასიის რევოლიუციონურ მოძრაობის ისტორიის შესწავლას, ის უეჭველია, არ დაივიწყებს ტფილისის სასულიერო სემინარიასაც.

ეხლა ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ ტფილისის სემინარია ოთხმოცდამეათე წლებში შეიქმნა რევოლიუციონერთა სანერგედ. მარქსის უკვდავი დიალექტიკა სემინარიის ცხოვრებამაც გაამართლა. მართლაც და რა მიზნები ჰქონდა დასახული ამ სასულიერო სასწავლებელს და რას მიაღწია!

ჩვენმა სემინარიამ საქართველოს და ამიერკავკასიისთვის ითამაშა ის როლი, რაც რუსეთში უნივერსიტეტმა.

მთელი რიგი ქართველ გამოჩენილ რევოლიუციონერებისა ამ სემინარიიდან გამოვიდენ. მათ იცნობს არამარტო ამიერკავკასია, არამედ რუსეთი და ევროპაც. ეს პირები უბრალო ჯარის-კაცები არ არიან პოლიტიკურ პარტიების, ისინი ყოველთვის რევოლიუციების მოწინავე რიგებში დგანან, პოლიტიკურ პარტიებს ხელმძღვანელობენ.

მართლა და უცნაურია, სად სასულიერო სემინარია, სად რევოლიუციონერები!?

ცნობილი გერმოგენი, *) რომ ჭკვიანი კაცი ყოფილიყო, რამოდენიმე ხნით რევოლიუციონერი გახდებოდა და სემინარიას ძირიან-ფესვიანად ამოაგდებდა. მაგრამ ბერები ჭკუაზე სუსტად არიან, ნამეტნავად, გერმოგენი. ის თავის შეხედულებით და მოქმედებით ყოველგვარი გონიერების წინააღმდეგი იყო და ამას ქრისტეს სწავლით ასაბუთებდა.

გერმოგენის დროს საშუალო საუკუნეების ინკვიზიციური დევნა იყო გამეფებული სემინარიაში გონიერების, თავისუფალი აზრის და, მით უმეტეს, თავისუფალი მოქმედების მიმართ. ამიტომ გერმოგენს მოსწავლეებმა ინკვიზიციის მამათმთავრის ეგნატე ლოიოლას სახელი უწოდეს.

სხვა რო არა ვთქვათ, ისეთი წიგნები, როგორც „Преступление и Наказание“ დოსტოევსკისა აკრძალულად გამოაცხადეს. ბელინსკის, ჩერნიშევსკის, პისარევის და სხვა ამისთანა ნაწარმოებზე ხომ ფიქრიც არ შეიძლებოდა. გარყვნილ ქალებთან სტუმრად წასვლას უფრო მოთმინებით ეკიდება სემინარიის ადმინისტრაცია, მხოლოდ მოსწავლეების გონებრივ ვარჯიშობას და გრძნობამოქმედებას ვერ ითმენდა და ცოფ-მორეული სასტიკად ებრძოდა. ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოშხამა ამ ატმოსფერამ. ბევრი ენერგია დააჩლუნგა სემინარიის რეჟიმმა. მაგრამ ბევრმა ბუნებამაც გაუძლო მას და არამც თუ მოუშხამელი გამოვიდა ამ დამპალ ჭაობიდან, არამედ უფრო გაკაჟებული, მეტად გაფოლადებული ხასიათით, მხნეობით, დიდათ განვითარებული გონებით და გამოცდილი პრაქტიკულად... ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

სემინარიის ცხოვრება თავისდაუნებლიედ იძლეოდა დიდ პოლიტიკურ გამოცდილებას. აქ თავი მოეყარათ ორ მოპირდაპირე ბანაკს,—ერთის მხრივ, მეფის თვითმპყრობელობის და ველიკორუსულ კაცი-ჭამია ნაციონალიზმის ქურუმთ-ჩინოვნიკებს სერთუკებში და ბერებს კუნკულებში; მეორეს მხრივ,—აქ იზრდებოდენ ქართველი ხალხის დემოკრატიული ნაწილის ახალგაზრდობა პროვინციიდან. იმ დროს, როდესაც „მასწავლებლებს“ შეგნებული ჰქონდათ მოქმედების გეგმა საქართველოში, მოსწავლეები პროვინციელის გულუბრყვილო ნდობით და ამასთან საღი, შეურყეველი გონებით სწრაფად და აშკარად ხედავდენ წინააღმდეგობას „მასწავლებელთა“ სიტყვას და საქმეთა შორის.

„მასწავლებელ“—მოსწავლეთა ურთიერთობა დამყარებული იყო არა საღ პედაგოგიურ საფუძვლებზე, არამედ იგი წარმოადგენდა განწყობილებას დამპყრობელების დაპყრობილებისადმი. ერთი სიტყვით, აქ მინიატიურაში განმეორებული იყო თვითმპყრობელობის ის უხეში პოლიტიკა, რაიც სამასი წელიწადი სულსა ხუთავდა რუსის ხალხს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენ ქართველები ვიყავით და, მაშასადამე, ორმაგ წნეხის ქვეშ ვგმინავდით.

*) სემინარიის ყოფილი ინსპექტორი, შემდეგ მისი რექტორი და ბოლოს სარატოვის ეპისკოპოსი.

პობედონოსცევის და კატკოვის სახელმწიფოებრივობის ფორმულა: „თვითმპყრობელობა, მართლ-მადიდებლობა და რუსული ხალხოსნობა“ სემინარიის პრაქტიკაში მტკიცედ და თავგამოდებით ტარდებოდა.

გარდა ამისა, იმ დროს, როდესაც კავკასიის ადმინისტრატიულ-პოლიტიკური ცენტრი-ტფილისი—მცხოვრებთა შემადგენლობით წარმოადგენდა ინტერნაციონალურ ელემენტთა რეაქციონურ სატახტოს, სადაც თავდავიწყებულ ვაკხანალიას ეძლეოდა ფუფუნება-სიამოვნებით გაბრუებული მცხოვრებთა ზედაპირები, საქართველოს პროვინცია, იყო რა სულგანაბული მძიმე ეკონომიურ-პოლიტიკურ უღელ ქვეშ, სტიქიურად იჟღინთებოდა შეურიგებელი, უკმაყოფილო და რამოდენიმედ რევოლიუციონური სულით. აი ასეთი პროვინციის შვილებს მოეყარათ სემინარიაში სასწავლებლად თავი და, უეჭველია, მათ თან დაყოლილი ექნებოდათ დედის ძუძუსთან ერთად უკმაყოფილებაც პოლიტიკურ და სოციალურ უკუღმართობის გამო.

სემინარიის მოსწავლეები, რასაკვირველია, ვერ შეურიგდებოდენ იმ აზრს, რომ მას ამზადებენ საზიზღარ პოლიტიკის განსამტკიცებელ იარაღად გალატაკებულ ხალხში, და ეს გრძნობა ახალგაზრდობაში უფრო აძლიერებდა შეურიგებლობას, უნდობლობას, ზიზღს, რაც თანდათანობით, შეგნებულ ხასიათს იღებდა. ის უფსკრული, რომელიც არსებობდა საქართველოს პროვინციასა და ტფილისს, ერთის მხრით, და მოწაფის მისწრაფებების და სემინარიის მთავრობის ყოფა-ცხოვრების შორის, არ რჩებოდა შეუმჩნეველი სალი გონების ახალგაზრდობისთვის, ამის გამო უკმაყოფილო მოსწავლე ან სასოწარკვეთილებას ეძლეოდა და ითვისებდა ნილილისტის თუ „ბუნტარის“ ბრძოლის მეთოდებს, რაც ზოგჯერ ხულიგანობაში გადადიოდა, ან არა და, უკეთეს შემთხვევაში, უნდა გამხდარიყო, თუ სხვა ხელშემწყო პირობებსაც ჰქონდა ადგილი, შეგნებული რევოლიუციონერი, რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი. ეს ასეც ხდებოდა.

სიმართლეს დავშორდებოდით, თუ ვიტყვით, რომ სემინარიის მოსწავლეთა მთელი შემადგენლობა აღწერილ უკუღმართობას უარყოფით ექცეოდა. პირიქით, უმრავლესობა ეგუებოდა ამ პირობებს. მისი მისწრაფება წმინდა მეშჩანურ იდეალებისაკენ იყო მიდრეკილი. ეს უმრავლესობა „კეთილგონიერთა“, ასე ვთქვათ, დასს ეკუთვნოდა. ის მხარს უჭერდა და ამართლებდა სემინარიის რეჟიმს. მას ახალგაზდური ზეციური გატაცება, კეთილშობილური იდეალები არ ამოძრავებდენ. მათი მიზნები ან ანაფორა, ან მცირეთ ხვედრი აკადემიელის ფრაკი იყო. და სამწუხაროდ ამ მიზნების მისაღწევად ხშირად მდაბალ უზნეო საშუალებებით სარგებლობდენ. ასეთ საშუალებებს სასწავლებლის მთავრობა ამართლებდა, აქეზებდა, რითაც შეჰქონდა მოსწავლეებში გარყვნილება, გათიშვა და ერთი ნაწილის მეორეზე ამხედრება. პირველობა მთავრობის მეთოდის აქტიურად გატარებაში ეკუთვნოდათ რუს ის და ბერძენ მოსწავლეებს. ასეთ, უკაცრაული სიტყვაა, ნაგავში თვალსაჩინო მარგალიტებიც ბრწყინავდენ; ასეთს შავს ქარგაზე სქელი წითელი წინწკლებიც სჩანდენ. აი ერთი მარგალიტთაგანს, ერთ წითელ წერტილს წარმოადგენდა ის პირი, ვინც შეადგენს საგანს ამ მოგონებისა.

მე ვლაპარაკობ სოსო ჯუღაშვილზე, იმ ჯუღაშვილზე, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უკავია საბჭოთა ხელისუფლების შექმნა-განმტკიცებაში.

სწორედ რევოლიუციონური ცეცხლით აღგზნებულ ბუნებას შეეძლო ზიზღით შეეფურთხებინა ამ აყროლებულ ნაგვისთვის, ამ უკუნეთის სამყაროსთვის და შეგნებულად გადაელახა ის „ბედნიერი“ მომავალი, რომელსაც უმზადებდა ჯუღაშვილს სასულიერო ასპარეზზე კარიერა და დასდგომოდა ეკლიან რევოლიუციონურ გზას, როდესაც გარკვევით არ იცოდა, სად მიიყვანდა ეს გზა, ან კიდევ კარგად იცოდა, რომ ამ გზით მავალთ კისრის მოტეხაც ეწერათ. მაგრამ ჯუღაშვილის ბუნებამ დაბრკოლება არ იცოდა. მას შიში არ სჩვევოდა.

ჯუღაშვილი გავიცანი სემინარიის პირველ კლასში 1894 წელს და უნებლიედ დაუმეგობრდი მას. მე მიმიზიდა მისმა დამოუკიდებელმა ხასიათმა, რასთანაც წონასწორობით შეზავებული იყო გამჭრიახი გონება, მახვილი მეტყველება, კეთილი და უბრალო განწყობილება ამხანაგებისადმი, მუდამ მოკისკისე—მხიარული ხასიათი, მოსწრებული ხუმრობა, ხშირად დამცინავი კილოთი, მოხდენილი, ტკბილი ქართული სიმღერა და, რაც ყველაზე ძვირფასი, იშვიათი იყო იმ დროს მისი მდგომარეობისთვის, როგორც საუკეთესო მოსწავლის, მთავრობის გავლენის გარეშე დგომა მისდამი უნდობლად მოპყრობა.

სემინარიელის ნიჭი მაშინ მეშჩანური თვალსაზრისით ფასდებოდა, როგორც ქართველ საზოგადოებაში, ისე სემინარიის ამხანაგობაში. ამა თუ იმ ნიჭიერ მოსწავლეზე ამბობდენ: „ის საუკეთესოდ გაათავებს სწავლას, სახელმწიფო ხარჯზე წავა სასულიერო აკადემიაში და მისი „ბედნიერი“ ცხოვრება უზრუნველყოფილიაო“, ასეთი აზრისა ვიყავით ჩვენ სოსოზედაც პირველ კლასებში. ვინ წარმოიდგენდა მაშინ თუ ჯუღაშვილი ოდესმე ჩაუდგებოდა რევოლიუციონური გზით დიდი რუსეთის სახელმწიფოებრივ საქმეს სათავეში. ჩვენ მაშინ შეჩვეული ვიყავით იმ აზრს, რომ სახელმწიფოებრივი პირები პატარაობიდანვე ემზადებიან, ან, უკეთ, მათ ამზადებენ დიდი საქმისთვის სხვა გზით და ამისთვის შესაფერი სოციალური მდგომარეობაც იყო საჭირო.

სოსო, რასაკვირველია, თავის მდგომარეობით ასეთი საქმისთვის ვერ მოემზადებოდა და ეს ფიქრადაც არ მოუვიდოდა მას, ვინაიდან ის იყო ერთი ღატაკი მეჩექმის ქვრივის შვილი, გამოზრდილი ყოველგვარ ნაკლულევანება-გაჭირვებაში, და ამასთან ისეთ დაქვეითებულ ქალაქში, როგორიც იყო მაშინდელი გორი. მაშ ის, რასაც მან შემდეგ მიაღწია, მისი ნიჭის და უნარის შედეგია, აქ არაჩვეულებრივი ნახტომია. ამ მოვლენას რევოლიუციის დაღი აზის.

მართლაც, სოსო დიდად დაჯილდოებული იყო ნიჭით. მას რო მოესურვებია პირველ მოსწავლეთ გაათავებდა სწავლას და, როგორც ასეთი, სახელმწიფო ხარჯზე წავიდოდა სასულიერო აკადემიაში, მაგრამ „ბედის ვარსკვლავმა“ სხვა გზა უჩვენა მას. მისი ბუნება ვერ შეეგუებოდა იმ მყუდრო ცხოვრებას, იმ ფლიდობას, რისთვისაც ამზადებდა სემინარია თუ აკადემია. და, ვინც დააკვირდებოდა მის ხასიათს, უეჭველად უწინასწარმეტყველებდა, რომ ის სასულიერო სამსახურისთვის არ ივარგებდა. მიუხედავათ იმისა, რომ სოსო საუკეთესოდ სწავლობდა, მისი ყოფაქცევა, მისი მისწრაფება ვერ აკმაყოფილებდა სემინარიის იეზუიტურ მოთხოვნილებებს. უკანასკნელთა შორის პირველ ადგილზე იდგა ეგრედწოდებული „ეკლესიური მიდრეკილება“, სწორედ ეს მიდრეკილება არ ეფარდე-

ბოდა სოსოს საერო კაცის ბუნებას. მართალია, ის არ მისდევდა სემინარიელების ქეიფს, დროს ტარებას, ქალების დევნას, უმიზნო ხეტიალს ქუჩებში და ბაღებში, მაგრამ არც ბურსაკული ბუტუსურა იყო. ის უფრო თანამედროვე ზნის და ქცევის, ვიდრე სემინარიელის უხეშობის და უზრდელობის ტიპს წარმოადგენდა.

ყურადღების ღირსი არის, რომ სოსო, როგორც პირველი მოწაფე, გარეგნულად მაინც უფრო მშვიდი, წყნარი და რეჟიმის მორჩილი, გამამართლებელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ არც ერთი ეს თვისება მას არ უდგებოდა. ის მაშინვე სტიქიურად რევოლიუციონერი და დემოკრატი იყო და ასეთ ამხანაგებთანაც იკავებდა კავშირს. ტიპები, რომელნიც სანიმუშო მაგალითს იძლეოდენ „ეკლესიურ მიდრეკილების", როდესაც ისინი წირვა-ლოცვის შემდეგ საყდარში რჩებოდენ, საათობით მუხლმოდრეკილი გულწრფელად თუ ფარისევლობით თვალცრემლიანი წმინდანებს შელალადებდენ და ლოცავდენ მათ, სოსოს თვალში, მსახურებიც კი ქართველ მოწინავე პირთ, ჩვენს ზნე-ჩვეულებას მასხრად იგდებდენ და ქართულ ენას მოურიდებლად ძაღლის ენას უწოდებდენ. ამაზე ჩივილი კი არამც თუ არ შეიძლებოდა, არამედ თითონ მომჩივანი გამოვიდოდა გამტყუნებული და შეინიშნებოდა კიდეც, როგორც არა საიმედო პირი. სამაგიეროდ რუს მოწაფეებს აქეზებდენ ჩვენს წინააღმდეგ, იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ქართულ გვარებს და სახელებს იძულებით რუსულად აკეთებდენ „ბაგრატას" პანკრატად, „იაშვილს" იაევ:დ და სხვა. ვინც ამას ეწინააღმდეგებოდა, მას ნიშანში ამოიღებდენ და არ ახეირებდენ. ბოლოს დროს ადმინისტრაციამ ჟანდარმერიასთანაც დაიჭირა კავშირი და რამოდენიმე მოწაფეც, როგორც გამოირკვა 1917 წ. „ოხრანკის" აგენტურის ქსელში ჩაება.

ასეთ პირობებს ჯუღაშვილის რევოლიუციონური სული ვერ შეურიგდებოდა და უსათუოდ მას ასე თუ ისე პროტესტით შეხვდებოდა. მისი პირველი ლექსებიც ამ




**ჯუღაშვილი სტალინი**

„ოხრანკი"ს არქივიდან·

ფაქტს ადასტურებს. სოსოს ლექსები შედარებით შინაარსიანი და ლამაზები იყვნენ. საუბედუროდ, არც ერთი ასეთი ლექსი არ შემრჩა, რომ ჩემ მოგონებისთვის დამერთო. ამ დროს ჯუღაშვილი გატაცებული იყო სააკაძის ვაჟკაცური სარდლობით და ტარიელ-ავთანდილის რაინდობით.

ვისაც ტფილისის სემინარიის ცხოვრებისთვის მეოთხმოცდაათე წლებში უდევნებია თვალი, ის შეამჩნევდა, რომ მოსწავლეები, რომელნიც შემდეგ რევოლიუციონურ გზას დასდგომიან, მესამე კლასში უკვე ემშვიდობებიან პატრიოტულ გრძნობებს და გადადიან სოციალისტურ ბანაკში. ხშირად მესამე კლასშივე ესენი შედიან ფარულ რევოლიუციონურ წრეებში და აქ ითვისებენ ახალ მსოფლშეხედულებას.

ჯუღაშვილის ცხოვრებაც ამ მოვლენის დამამტკიცებელია. ის მესამე კლასში შედის ასეთ წრეში, რომელ-

მისივე სიტყვით „ქრისტეს მიერ დაფლეთილ" საპყაროებს (Христа ради юродивые) გვანდენ.

ჯუღაშვილის რევოლიუციონერობა, როგორც შემჩნეულია სემინარიელების ცხოვრებაში, დაიწყო პროტესტით რუს შავრაზმულ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც გამეფებული იყო მაშინ სემინარიაში. და ეს ასეც უნდა ყოფილიყო. სემინარიის მთავრობა, პირველ ყოვლისა, გარუსების პოლიტიკას ემსახურებოდა. იქ იყრიდენ თავს „გარუსების კომიტეტის" წევრები: ვოსტორგოვი, დემენტიევი და სხვები (ეხლა ყველას გვარები არ მახსოვს). ყოველი მისწრაფება ქართველი მოსწავლეების, თუნდაც ეს ბავშური გატაცება ყოფილიყო ყაზბეგის ან აკაკისადმი, დიდ დევნას და უკიდურეს ზიზღს იწვევდა მთავრობის და მასწავლებლების მხრივ. ხშირად მასწავლებლები მათთან ერთად რუსი მოსწავლეები და, წარმოიდგინეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ხელმძღვანელობს ლ. კეცხოველი (მოკლულია მეტეხში) და აქ ეცნობა მესამე დასელების მიმართულებას და მუშათა მოძრაობას. ამ დროს ეკუთვნის მისი რამოდენიმე ლექსი, დაბეჭდილი მაშინდელ, თუ არ ვცდები, სემინარიელების ფარულ გამოცემაში. ეს ლექსები გვეუბნებიან, რომ სოსოს სულში დაიწყო ახალი ძიება.

აი ერთი ამ ლექსთაგანი:

„ამ ქვეყნად იგი ვით ლანდი“
„კარის კარ დაწიალებდა“
„ხელთ ეპყრა მუხის ფანდური“
„ხმა ტკბილად აწკრიალებდა“
„ბევრს აუძღერა ამა ხმამ“
„გული ქვად გარდაქცეული,“
„ბევრს გაუბრწყინდა გონება“
„ბნელ უკუნეთად ქცეული.“
„მაგრამ სად ჩანგმა ძლიერად“
„მჭექარედ დაიგრიალა,“
„განდევნილთ იქ ბრბომ გაბედვით“
„დაუდგა შხამის ფიალა“
„და უთხრა: შესვი, წყეულო,“
„ეგ არის შენი ხვედრიო,“
„შენი არ გვინდა სიმართლე“
„არც ეგ ციური ხმებიო“...

**სოსელო.**

სოსოს, მიუხედავათ მისი სერიოზული მუშაობის და მისწრაფების, ბავშვური მოუსვენრობა და ლაზლანდარობა ჰქონდა დაჩემებული. ერთ წუთს მას ვერ ნახავდით დადგრომილს. რაც უნდა ღრმად ყოფილიყო გატაცებული რაიმე სერიოზული საგნით, უმნიშვნელო საბაბი იყო საჭირო, რომ ის გამოგეწვიათ საოხუნჯოთ, მეტადრე, თუ მისი განუყრელი ამხანაგი მიშა დავითაშვილი („Чорт“) გვერდით ჰყავდა. მაშინ უნდა გენახათ მათი „წარმოდგენები“. ვაი იმის ბრალი, ვისაც ეს ორნი ყბად აიღებდენ, მას უნდა სადმე მივარდნილი კუთხე მოეძებნა სამოსწავლო ოთახს გარეთ და იქ ემეცადინა, თორემ მისი დასვენება შეუძლებელი იყო. ხშირი იყო ამ ნიადაგზე უთანხმოება მათთან, მხოლოდ უთანხმოება ზერელე ხასიათის და მალე შერიგებით თავდებოდა. ან ვის რა ჰქონდა სოსოსთან გასაწყრომი, როდესაც ყველა ჰხედავდა, რომ მას ქვენა გრძნობები და უკანა აზრები არ ამოძრავებდენ— აქ მარტო ბავშური ცელქობა იყო, მეტი არაფერი.

ჯუღაშვილს ძალიან ეხერხებოდა ქართული სიმღერები, ხმაც ტკბილი, მუსიკალური ჰქონდა, სიმღერებში უყვარდა „ჭონა“ და „გლესავ და გლესავ, ნამგალო“. სიმღერაში ან პირველს, ან მეორეს ამბობდა... კარგი ხმის გამო ის ერთი ხნობით საეკლესიო მგალობელთა გუნდშიაც იყო.

მასთან ყველაზე ძალიან იყვნენ დაახლოვებულები მიშა დავითაშვილი (მოკლული 1916 წ. საფრანგეთში გერმანეთის ომის დროს), პეტა კაპანაძე (ეხლა მღვდელია ხაშურში თუ ცხრამუხაში), გიგუცა პარკაძე. (უზენაეს სასამართლოს სამოქალაქო განყოფილების წევრი), გრიშა გლურჯიძე (სოფლის მეურნე) და რამოდენიმე სხვა. ეს ხუთი კაცი შეადგენდენ პირველ სამ კლასში განუყრელ ჯგუფს. ჯგუფის სული და გული იყო სოსო. ჯგუფმა პირველად დაიწყო მეცადინეობა ფიზიკაში და სხვა საბუნების-მეტყველო საგნებში, შემდეგ მან მიჰყო ხელი კრიტიკა-პუბლიცისტიკას, ბოლოს კი გადავიდა სოციოლოგიაზე უკანასკნელ დარგში ჯგუფი მარქსიზმმა გაიტაცა, მხოლოდ მარქსიზმს ბოლომდის ყველა წევრები არ შერჩენ. მარტო ჯუღაშვილი, დავითაშვილი და რამოდენიმედ პარკაძე გაჰყვენ ამ სწავლას.

ამ განუყრელ ჯგუფს ჩვეულებად ჰქონდა ხუმრობის დროს ერთი მეორის ზურგზე შეხტომა. თაოსნობა ამგვარ ვარჯიშობაში, როგორც ყველაფერში, სოსოს და დავითაშვილს ეკუთვნოდათ. შეახტებოდა რა ვისმე სოსო ზურგზე, დაიკრავდა გულზე ხელს და მამლაყინწასავით შესძახებდა: „ფოლადი ვარ, ფოლადი!“ სწორედ აქედან აუღია მას ის პარტიული სახელი **Сталин**, რომლითაც იცნობენ მას რუსეთში. როდესაც ცნობილ ციმბირელ რევოლიუციონერ კოსირიოვს მის შეკითხვაზე: „იცნობ თუ არა სტალინსა“-ო? უარყოფითი პასუხი მივეცი, მან შემნიშნა: „მაშ რა ქართველი ხარ, თუ სტალინს ვერ იცნობო“. დიახ მე „სტალინს ამ დრომდის (1917 წ. კერენსკის მთავრობის დროს) ვერ ვიცნობდი, თუმცა ჯუღაშვილის ახლო მეგობარი ვიყავი სემინარიაშიც და შემდეგაც. სემინარიის შემდეგ მას მთელი რევოლიუციონური საქართველო იცნობდა სხვა სახელით. ეს სახელი იყო „**კობა**“ ეს სახელიც სოსოს აუღია იმ ანეკდოტიური არაკიდან, რომლის მოთხრობა მას უყვარდა სემინარიელ ამხანაგებში. არაკში ნაამბობია მოსულელო მეცხვარე კობაზე, რომელმაც პანტის გულისთვის მთელი თხის ფარა გაუწყვიტა თავის უფროს ძმას და ადუღებული წყლით გაუფუფქა დედა....

გადავიდა თუ არა სოსო მეოთხე კლასში, მან უცებ შესწყვიტა მეცადინეობა და ხუთებიდან ჩამოვიდა ერთებზე. მასწავლებლები და ამხანაგები განაცვიფრა ასეთმა ცვლილებამ და ვერ გამოერკვიათ, საქმე რაში იყო. მხოლოდ ბოლოს მიხვდენ, რომ ის სემინარიას აღარ ეკუთნოდა. უნდა წასულიყო. წავიდა კიდეც, 1899 წელს ის მეოთხე კლასიდან გამორიცხეს ცუდათ სწავლის და ცუდი ყოფა-ქცევის გამო სხვებთან ერთად. სწორედ ამ დროიდან იწყება სოსოს წმინდა რევოლიუციონური მოღვაწეობა.

სემინარიიდან წასვლის შემდეგ ის შევიდა სამსახურში ტფილისის ობსერვატორიაში და აქედან იღებს მონაწილეობას ტფილისის ს.-დ. ორგანიზაციის მუშაობაში, სადაც განვითარებით და საქმიანობის უნარით მალე იქცევს დიდ ყურადღებას. ობსერვატორიაში სოსო ღრმად სწავლობს მარქსის მოძღვრების და ხელმძღვანელობს სემინარიელთა ფარულ სოციალისტურ წრეს. მისი ჯგუფიდან მას ჩამოშორდენ თითქმის ყველა, გარდა მ. დავითაშვილისა და ესეც მალე მოსკოვში მიდის საბუჰგალტერო კურსებზე რამოდენიმე თვით. მათ ნაცვლად ჯუღაშვილს დაუახლოვდენ სემინარიის „წრიდან“ ახალგაზდობა: სვანიძე ალ., ბერძნიშვილი ვასო, ბერიშვილი ალ. გურგენიძე მიტა, ელისაბედაშვილი გიორ., ტოროშელიძე მალ. და სხვები. ამ ხანაში სოსომ ბევრ ახალგაზდას უხელმძღვანელა რევოლიუციონურ ასპარეზზე. ცნობილი კამო მისი მოწაფე და იდეური მიმდევარი იყო ბოლომდის. თითქმის არც ერთი იმ დროის სემინარიელი, ვისაც კი მოუსურვებია ს. დ. პარტიაში მუშაობა, სოსოს უშუალოდ, არ შესულა ორგანიზაციაში. დიდი პოპულიარული პიროვნება იყო სოსო რევოლიუციონურად განწყობილ ახალგაზდობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მგონია შესაფერისი იქნება მოვიგონოთ, თუ რა მასალას ურჩევდა ჯუღაშვილი სემინარიის მოსწავლეთა თვითგანვითარების წრეს შესასწავლად. იმ დროს, როდესაც ს. დევდარიანი მომხრე იყო ყოველნაირ წიგნების კითხვის ბელეტრისტიული ნაწარმოებებიდანაც, ის ამის სასტიკი წინააღმდეგი იყო და მოითხოვდა მხოლოდ და მარტო მარქსისტულ და მუშათა მოძრაობის შესახებ ლიტერატურის კითხვას. ის ორტოდოქსალობა და უკიდურესი რევოლიუციონერობა, რაც მას ბოლომდის შერჩა, თავიდანვე ეტყობოდა მას, ოთხმოცდამეათე წლების დამლევს და ცხრაას პირველ წლების დასაწყისს. ის უკვე გამოცდილი და მოწინავე პროპაგანდისტ-ორგანიზატორია და ფართო მაშტაბით მუშაობს მთელ საქართველოს ორგანიზაციებში—ტფილისში, ბათუმში, გურია ჭიათურაში და სხვაგან.

1900 წელს ის ხელმძღვანელობს ტფილისის **მეთუთუნეთა** გაფიცვას, რომელიც მუშების გამარჯვებითი თავდება.

1901 წელს ობსერვატორიაში სამსახურს თავს ანებებს, გადადის არა ლეგალურ მდგომარეობაში და მთლად ეძლევა პარტიულ მუშაობას. ვინაიდან მაშინდელ ტფილისის ორგანიზაციას ჯერ არ აქვს საბეჭდავი მანქანა, სოსო ან თვითონ ბეჭდავს ფურცლებს გექტოგრაფზე, ან აბეჭდვინებს სხვა ამხანაგებს მ. დავითაშვილს, გ. პარკაძეს კამოს და სხვებს.

ამავე დროს ეტყობოდა, რომ სოსო ლენინის წმინდა რევოლიუციონურ მარქსისტობას უფრო მაღლა აყენებდა, ვიდრე პლეხანოვის, მიუხედავათ იმისა, რომ ამ უკანასკნელის ნაწარმოებების „Монистический взгляд на историю“ და „Наши разногласия“-ს საშუალებით უკეთ გაეცნო მარქსის მსოფლ-მხედველობას. ქართველ მარქსისტებში ყველაზე მაღლა აყენებდა ალ. წულუკიძეს, ლ. კეცხოველს და ს. ჯიბლაძეს.

1903 წ. ჟენევის პარტიულ ყრილობაზე ის ემხრობა მეუმრავლესეთა რეზოლიუციას და შემდეგ შაუმიანთან ერთად ხელმძღვანელობს მთელ ამიერკავკასიის მეუმრავლესეთა ფრაქციის ორგანიზაციებს.

1906 წელს სოსო ირთავს ცოლად ალ. სვანიძის უმცროს დას, რომელიც ქალიშვილობისას ირჩეოდა სილამაზით, წყნარი ხასიათით და შრომის მოყვარეობით. სოსოს ცოლი ერთი წლის შემდეგ უკვდება და, თუმცა ეს გარემოება თავზარსა სცემს მას, ის მაინც რევოლიუციონურ მუშაობას ერთი წუთითაც არ ღალატობს და ჩვეულებრივი მხნეობით განაგრძობს მუშაობას. მას ნახავთ ყველა რევოლიუციონურ აქტში ტფილისში თუ სხვაგან თვალსაჩინო მომქმედ პირად. დისპუტებში ანარქისტებთან თუ ფედერალისტებთან შეუდარებელი ორატორია, რასაც ხელს უწყობს მისი მდიდარი მეხსიერება და განვითარება. თუმცა სოსო უკიდურესი კონსპირაციის დამცველია, მაგრამ ხანდისხან ებმება „ოხრანკის“ ქსელებში, საიდანაც მას მიაძუნძულებენ ციმბირისკენ. ციმბირში ჯუღაშვილი „უმუშევრობას“ ვერ იტანს, მალე იპარება და ისევ უბრუნდება თავის საყვარელ მუშაობას. 1910 წელში, როდესაც მე ტომსკის გუბერნიაში ვიყავი, სოსო იპარება ნარიმიდან.

1907 წ. მუშაობის ასპარეზი საქართველოდან ბაქოში გადააქვს, იქიდან კი რუსეთის სხვა სამრეწველო ცენტრებში.

ჯუღაშვილი—სტალინი რევოლიუციის ხანაში ხდება ლენინის ერთ-ერთ საიმედო მარჯვენად. და ოქტომბრის რევოლიუცია სამართლიანად აყენებს მას საბჭოთა ქვეყნის და პარტიის სათავეში.

**ვ. ბაკურაძე.**

# გამოსალმება

(ჯორჯიაშვილის ხსოვნას)

მშვიდობით ძმებო!.. ჯალათის ბრჭყალებს
ვერსად წაუვალ როგორცა ვხედავ,
ხვალ უნდა მომკლან, უნდა მაწამონ...
ნუ მიგლოვ მებრძოლს, მშობელო დედავ!..

—

მე მით ვამაყობ, რომ პირნათლადა
სახრჩობელიდან გადმოვიხედავ
და ერთხელ კიდევ განთიადისას,
უკანასკნელად ზეცას შევხედავ.

—

მე შევასრულე, რაც რომ მეწადა...
მაშ შორს, ფიქრებო, შორს ჩემგან, სევდავ!..
არას ვინაღვლებ, ოღონდ ნუ მიგლოვ,
ჩემო ძვირფასო, მშობელო დედავ!..

**ქნარი.**

# რაც იყო, მოკვდა!

რაც იყო მოკვდა, აწ ძველი დრო არ დაბრუნდება,
წინსვლაში ბუდობს მხოლოდ სული გამარჯვებისა;
ეს ამოცანა ვინც ვერ ახსნას ვერ შეითვისოს,
ის მსხვერპლი გახდეს დაცემის და დამარცხებისა.

—

მე უძლებ ქინით წინ მივდივარ, სულ წინ მივილტვი
უსაზღვრო არის ჩემ წინ სივრცე ცად გადაშლილი,
სულს აცისკროვნებს, თვალს იტაცებს სამომავლისო,
წითელი დროშა, ძლევის დროშა ათასად შლილი.

—

ბრძოლით დავიპყრობთ, ავაშენებთ შრომის სამეფოს,
ჩვენ თვით გამოვსჭედთ, ჩვენ მომავალს დიად ომებით.
ჩვენ გავაახლებთ, ავაყვავებთ კაცობრიობას;
ნიჭით ძლიერით, ახალ-ახალ გამოგონებით.

—

უნდა დაინგრეს განადგურდეს ძველი ქვეყანა,
მის ნანგრევებზე ჩვენ დავიწყებთ ახლის შენებას;
ძრწოდეთ!.. სტიროდეთ... ძველი ქვეყნის, ძველო ღმერთებო!
თქვენ ჩვენებ შორის, ვერა ჰპოვებთ აქ შებრალებას!..

**სამსონ მგელაძე.**

# ლატავრა

## ტრაგედია

ძღვნად ნინო ჩხეიძეს.

**მომქმედნი პირნი.**

ლატავრა, სახე იდეალის.
**სამი სარდალი.**
Inkubus, სახე ბოროტების.
**ენგიჩარ**, აზიელი ბატონი.
**დედა.**
**გამდელი.**
**მოურავი** რესპუბლიკისა.
**მწიგნობარი.**

მგოსანი. მსაჯულები. ელჩები. ხალხი. სხვადასხვა დარგის მუშები. დარაჯები. ამალა. შეთქმულები. გზირი. ჯარისკაცები და სხვა.

ხანა მოქმედების განუსაზღვრელია.

### მოქმედება პირველი.

ფარდის ახდამდე ისმის საყვირის ხმა. სცენაზე მრავალი ხალხია: გლეხები, ხელოსნები და ყოველნაირ დარგის მუშები—ქალი და ვაჟი. იქვე სდგას გაიძვერა, დემონიურ სახის ადამიანი—Inkubus. ციხის გალავანზე სდგას გზირი საყვირით ხელში. დარაჯები გუშაგობენ. ხალხი ჯგუფებად დაყოფილა და ერთმანეთში საუბრობენ.

#### I

**გზირი, ხელოსანი, მჭედელი, დურგალი, მგოსანი, ზეინკალი, ხალხი და** Inkubus.

**გზირი.** ჩემი საყვირი ქვეყანას შესძრავს!...
**ხელოსანი.** ჩვენს ხელისუფალს რამე ამბავი ეცნობებოდა!
**დურგალი.** მოულოდნელი რამე ამბავი!...
**ზეინკალი.** უეჭველია, რამე იქნება,
თორემ ჩვენ ასე.... ასე სასწრაფოდ
არ შემოგვკრეფდა ..

სჩანს, უჭირს რამე!
**მჭედელი.** მე ცრუმორწმუნე არა ვარ, მაგრამ
ეს ორი დღეა ცხვირს მაცემინებს
და ისიც თითოს და ან სამს ერთად!...
უთუოდ კენტზე ვჩერდები ხოლმე!
ჩაქუჩს გადვისვრი, აღარ ვმუშაობ,
ვკეტავ დარაბებს და შინ მოვდივარ!
ამ დროს უთუოდ თავს გადამივლის შავი ყორანი
და თან დამჩხავის...
**დურგალი.** მაგით რა გსურს სთქვა?
**მჭედელი.** ცუდს მოასწავებს!..
**დურგალი.** შენ, მეგობარო! ბებრებთან მჯდარხარ
და მკითხაობა შეგისწავლია!
მაშ გამოიცან: რას ვფიქრობ ეხლა?
**მჭედელი.** შენ რას იფიქრებ? ქუშტარისაგან
თავში ტვინი გაქვს გალაყებული!
შენ მხოლოდ ერთი გწამს მატერია!
**დურგალი.** შენ ხომ ჭინკაც გწამს და ეშმაკებიც!
**მჭედელი.** უკაცრაოდ ვარ!
მე მჭედელი ვარ...
და ჩემს ქურაში დავწვი ეგენი!
მე ეშმაკებზე არა მითქვამს-რა!
ვამტკიცებ მხოლოდ:
რომ ჩვენს გარეშე, ჩვენს უნებურად
რაღაც სხვა ძალა თითქოს არსებობს,
რომელიც გრძნობებს შეეპარება
და შთააგონებს, რაც უნდა მოხდეს.
აი, მე ეხლა რაღაც საშიშის მოლოდინი მაქვს!
**დურგალი.** შენს ჩონჩხსა რომელ მუზეუმში ჰქონდა ადგილი?
ეგ „რაღაც ძალა“ სიდან შეგიძვრა?
მაგ გრძელ ცხვირიდან, თუ ყანყრატოდან?
ან შემდეგ სიდან გაუშვებ-ხოლმე?

საერთო სიცილი. Inkubus ხალხში დაძვრება და რაღაცას ჩურჩულებს.

**მჭედელი.** მასხარა უნდა მასხარად მოკვდეს!..
**გზირი.** ჰე! ჰაა!..
ჩემი საყვირი ქვეყანას შესძრავს!..
**გლეხი.** რომელიც აქამდე მგოსანს ესაუბრებოდა
მაშ დღეს პირისპირ ვნახავთ ლატავრას?
მე არ მინახავს... არც ჩვენს სოფლელებს...
ამბავს წავიღებ...
მართალი არის, როგორც აქებენ?
**მგოსანი.** ხომ გაგიგია ზღაპრებში თქმული
მზეთუნახავი ქალი პირიმზე...
გრძნობის წამლები და მომხიბვლელი?
აი იმ ქალზე ლატავრა უფრო ლამაზი არის...

შემოეხვევიან და ყურს უგდებენ

როს ოქროს სურით ის წყლიდან მოდის,
მას უკან მოსდევს ქალთა ამალა.
გინდა რომ მხოლოდ მას ერთს უყურო...
როცა ჰხედავენ, იკრეფენ ძალას მოხუცებულნი.
იმედს ჰპოვებენ გულგატეხილნი.
დავრდომილები ჯანსაღდებიან.
სასტიკი ლბება, მრისხანე სცხრება.
ვნება დამშრალი ინთება გრძობით.
ლატავრას ნახვით სული მშვიდდება...
მისდიხარ სახლში ხალისიანი და გარდაქმნილი.
იმედით სავსე ებრძვი ცხოვრებას!..
**ხმები.** ლატავრა ჩვენი ხორცშესხმული ღვთაება არის!
**მჭედელი.** ის ღვთაებაზე უფრო მეტია!
ის მოვლენილა რაღაც განგებით
რომ შეემოსა ყოველი კარგი, რაც ჩვენს ხალხშია
და წინ გვდგომოდა ვით სულის სარკე.
**მწყემსი**, უთქვამთ: თუ ფარას თვალი გადაჰკრა,
ცხვარს აღარ მოსდის მაშინ ზარალი
და ისე მრავლობს, ვით ფუტკრის ჟოლი!
**ხელოსანი.** ერთხელ მოვიდა სახელოსნოში;
ნახა ყოველი იქ მომუშავე.
ჩვენ ის შევიგნეთ, შევისისხლხორცეთ
და იმის შემდეგ დრო-ხანმა განვლო.
აღარც ერთს დარდი არ მოსწოლია.
მუდამ იმედი უცხოველდებათ.
მუშებმა შეჰქმნეს მისდამი ჰიმნი
და ყველა გულში იმას ღიღინებს.
დრო ისე მიჰქრის, რომ ვერ იგებენ!

სალამო მოდის, დილა ჰგონიათ!
იმ ქარხანაში მუშავდება ხალხის სიმდიდრე.
და ჩვენს ქვეყანას ყველგან აოხებს...
**ხალხი:**
— ჩვენ დავანგრიეთ ცივი კერპები!
— ხალხის საუნჯეს ტახტი დავუდგით!
— ლატავრა არის სულის საუნჯე!
— კეთილშობილი ჩვენი მიზანი!
— თავისუფლების ემბლემა არის!
**გზირი.** ჰე, ჰე, ჰაა!
ჩემი საყვირი ქვეყანას შესძრავს!
**ხმები.** მგოსანმა გვითხრას ლატავრას ლექსი!
ჩვენმა მგოსანმა კიდევ გვიმღეროს.
დასხედით! დასხედით!
**მგოსანი.** ჩანგზე რეჩიტატივით ამბობს
ის აღმოზრდილა თეთრ ზამბახად, დილის მზის სატრფოდ.
კდემით ჩაუცვამს შუქის კაბა ჰაეროვანი.
ზღაპრული მძივი ყელს უმშვენებს, მკერდს უამბორებს.
სხივის სარტყელი დაჰფრიალებს, წელს უნარნარებს.
გულის საბამი ვარდის ძუძუს ჩაჰკონებია.
სიბრძნის უშრეტი სიხარული შემოუბურავს.
სიამოვნების ოქროს ფლოსტი ფეხზე ჩაუცვავს.
ხელში უჭირავს რტო სიმშვიდის და სათნოების.
ჩვენს სულში დადის ღვთაებრივის დიდებულობით.
დილეო ლატავრა!
წმინდაა, როგორც სიყვარულით მიმქრალი გრძნობა!
ტკბილია, როგორც უიმედო მიჯნურის კვნესა!
ტკბილია, როგორც ჩუმი ნატვრა შეყვარებულის.
მის სადიდებლად ვმღერი ლოცვებს, როს თვალს ვარიდებ
და საღამოთი ვეხუტები მის მოგონებას.
ვმღერი და ვიმღერ: გიხაროდეს სინათლის რძალო!
დილეო ლატავრა!

ხალხი სასოებამ შეიპყრო. სიჩუმეს არღვევს Inkubus.

**Inkubus.** გრძელი მოგრეხილი ცხვირით. სატანური თვალები და გამომეტყველება აქვს. თავზე ჰხურავს მაღალი ქუდი, რომელიც არც ცილინდრს მოგაგონებს და არც ბუხრის ქუდს. განიერი და ჩაშვებული შალვარი აცვია.
იგი ლატავრა ის არ არის, რაც თქვენ გგონიათ!
მისი მშვენება მოგაჩვენათ მხოლოდ მგოსანმა.
თქვენ არ შეგფერით ფანტაზიას ბრმად თან გადაჰყვეთ!

ხალხს შეატყობს უკმაყოფილებას.

თუმცა კი უნდა გამოვტყდეთ რომ დიდებულია,
მაგრამ რომ კერპად გაიხადოთ...
**მოქალაქე.** აწყვეტინებს შენ, ჰეი ძმობილო!
ჩვენ წრეს არ უნდა ეკუთნოდე, გატყობ ქაჩაჩში!
**ზეინკალი.** ორჭოფი სიტყვა!..
**მუშა.** შენ მას ახსენებ სიძულვილით, ვინც კი ჩვენ გვიყვარს!
ნებას არ მოგცემთ!
**Inkubus.** ნებას არ მომცემთ?!
საკვირველი ამბავი არის!!
ნებას არ მაძლევთ თავისუფალ რესპუბლიკაში!?
**მჭედელი.** ხალხის საუნჯედ აღიარა ის რესპუბლიკამ!
ვინც მას შებღალავს, ის მტერია უმრავლესობის...
და შენ მტერი ხარ! ან მოსული პროვოკატორი!
**Inkubus.** მე მაგ სახელს რით ვიმსახურებ?
გითხარით მხოლოდ: მოგეჩვენათ! ეს მართალია!
ხელს დაკოჟრებულს მუშაობით, გულმკერდს გ მურულს
და შუბლს გაოფლილს არას არგებს მშვენიერება!
**ხალხი.** — სწორედ ჩვენ გვარგებს! ჩვენ!.. ჩვენ!..
— ის დრო წავიდა, თქვენს ხელში რომ ის დააჭლექეთ!
— გატყობთ, მტერი ხარ!

აღელვებული ხალხი გარს შემოეხვევა და სურთ გაუსწორდნენ. Inkubus გამოუსხლტებათ, ახტება მაღლობზე და რიხიანად

**Inkubus.** მომითმინეთ!
სათანადოთ თქვენ არ აფასებთ!
მე მას შევწირე მთელი ქონება!
მე ავუშენე ხელოვნების დიდი ტაძარი!..
ქალაქი მისი გავამშვენე მარმარილოთი!
ავაგე ჩვენი რესპუბლიკის საშიშს საზღვრებზე
ციხე-კოშკები, სანგრები და სიმაგრეები...
**ხალხი.** არა! არა! ჩვენ ავაშენეთ!..
ჩვენის მარჯვენით!
**Inkubus.** ფული ხომ ჩემი იხარჯებოდა...
ბაჯაღლო ოქრო!..
**მუშა.** ის ფულიც ჩვენი, ხალხისა იყო...
ზედმეტი ოფლი...
**Inkubus.** დიახ! ხალხისა!
ფულიც ხალხისა! (თავისთავს)
— თუ მათ ყვირილით არ ვაჯობე, შუა გამგლეჯენ! —
მაგრამ გეგმა ხომ მე შევადგინე?
მე ავაშენე ობოლთათვის თავშესაფარი!
უმუშევართა კასსა მე გავხსენ!
სახალხო სახლი!
და დღეს ჩემს ამაგს აღარა აფასებთ?
ან რად გგონიათ მძულდეს ლატავრა?
როდესაც ფიცი დამჭირდება, მასზე ვფიცულობ!
აბა უყურეთ, აი, ამ გაზეთს!
ჩამოთვლილია მისი ღირსება!
ქება-დიდება რჩეულ სიტყვებით!
ეს მე დავწერე, ვამცნე ქვეყანას...
მე ვარ ერთგული...
**ხალხი.** ჩვენი ყოფილა! ჩვენი ყოფილა!
**დურგალი.** მე კი მეგონა, გრძელი ცხვირი სხვისკენ მიჰქონდა!
**Inkubus.** ამხანაგებო! როგორ იქნება?
ჯერ არ მოუსმენთ, კაცს მისცვივდებით
და ლამის არის შუა გაჰგლიჯოთ! ოფლს იწმენდს
ეხლა დარწმუნდით, რომ ვარ მოყვარე!
კაცს რომ იმეტებთ, განა კიტრია
მეორე ზაფხულს ისევ მოვიდეს?..
იცით რა გითხრათ? თქვენ ეს არ იცით!
ცნობის მოყვარეობით გარს შემოეხვევიან
მე გეტყვით ისეთს საყურადღებოს,
რაიც ლატავრას... არა, ჯერ დარჩეს...

ცივად სწყვეტს ლაპარაკს.

**ხალხი.** გვითხარ! გვითხარ!
**Inkubus.** ხა! ხა! ხა!
**გზირი.** ჩემი საყვირი ქვეყანას შესძრავს...
თქვენ ემანდ სჩხუბობთ და არ კი იცით,
ჩემი საყვირი აქ ვის მოუხმობს!
დღეს თქვენ გაიგებთ ისეთს დიდს ამბავს,
ჯერ არ გსმენოდეთ თქვენს სიცოცხლეში!
ჩემი საყვირი ქვეყანას შესძრავს!
**ხალხი.** სთქვი, რას გავიგებთ?
— თადე, ვის უხმობ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რად სცემ შენს საყვირს ასე მქუხარედ?
**გზირი.** როცა ქვეყანა ცხოვრებით სტკბება,
ხალხი სთვლემს მაშინ... მტერი კი ფხიზლობს!
ჩემმა საყვირმა უნდა უყივლოს
და განუფვანტოს თავდავიწყება!
**ხალხი.** შენს ლაპარაკში იმალება რაღაც საშიში!
თითქოს გვიმალავ საიდუმლოს... გაგვაგებინე!
**გზირი.** აქეთ მოდიან ხელისუფალნი! ალბად გეტყვიან!
**Inkubus.** როდის იქნება მოგიღოთ ბოლო...
დაგადგათ ფეხი!...
გაიდგეს ბურჯი, თავს მეფედ გრძნობენ!
მათ დაივიწყდათ, მონებად მყავდნენ...
ეს სულ ლატავრას სიყვარულმა ჰქმნა!
მე უნდა კერპი მათ დავუნგრიო,
და დავუკარგო მისდამი რწმენა...
დავანაწილო და დავეუფლო!
მათ ბატონობას როგორ ავიტან!
**გლეხი.** ვინმე გყავს განა კიდევ ბატონი?
**Inkubus.** ჩუ! ყურს მიგდებდი?
ჩუმად! ჩემს თავზე ვსჯავრობდი მხოლოდ!
დიდებულია ჩვენი ქვეყანა!
მისი მშვენება ლატავრაც ხომ დიდებულია;
ხა, ხა, ხა!

III

იგინივე, **მოურავი, მწიგნობარი და მსაჯულნი.**

**მოურავი.** ხალხო გვისმინეთ!
სამი დღე არის ვმსჯელობთ ერთს საგანს
და ჩვენ, თქვენ მიერ ამორჩეულნი,
ვერ დავადექით ჯეროვან დასკვნას!
თქვენმა მთავრობამ მარტო ვერ იდო პასუხის გება!
და გადასწყვიტა მსაჯულთა კრებამ:
თქვენვე მოგმართოთ!
თქვენ იცით: მტერი გვყავს ჩვენ მრავალი.
იმათ ჰშურთ ჩვენი ბედნიერება,
რომ გარდავქმენით ძველი სამეფო
და დავამყარეთ სრულად ახალი,
სად ზენარია ხალხის უფლება
ხალხის სურვილი და ნებისყოფა!
ეს ჩვენს მეზობელს უცხო მოსისხლეს,
ვის ქვეშევრდომად ჰყავს ველურები,
არ ასვენებდა და ძილს უფრთხობდა.
რომ ჩვენი ხალხი კეთილდღეობით წინ მიდიოდა.
მიზეზი კიდეც მოუძებნია,
რომ შარი მოგვდოს და შეგვებრძოლოს.
დაამხოს ჩვენი ოქროს ქალაქი!
ვითომც თხოულობს, მაგრამ ეს თხოვნა
ცივ მუქარაზე გარდამეტია!
**ხალხი.**—რას ითხოვს?
— რა ჰსურს?
— ვინ არის იგი?
**მოურავი** მეფე ენგიჩარ!

Inkubus სიამოვნებით იღიმება და უხარიან

**ხალხი.**—მეფე ენგიჩარ!—მრისხანე მეფე!
**მოურავი.** იგი თხოულობს ასულს ლატავრას!
**ხალხი.** არ შეიძლება! არა! არა!—ის ჩვენ დაგვცინის!
—ლატავრას იგი მონად გაიხდის!
**მუშა.** ხალხო! მისმინეთ!
მეფე დასცინის ჩვენს წმინდა გრძნობას!
ველურ დათვს უნდა საჯიჯგველად ჩვენი დიდება!
არაფრად აგდებს ლატავრას სურვილს!
არ შეიძლება!..
**ზეინკალი.** დაე ლატავრამ თვით გადასწყვიტოს!
**მჭედელი.** თუ მან უარი უთხრა აზიელს,
მაშინ ჩვენ გავცემთ ღირსეულს პასუხს!
**Inkubus.** მინდა ვსთქვა, მაგრამ ჩამაქვავებენ...
არ ვსთქვა, ვუმტყუნებ დასახულს მიზანს...
ჰეი მისმინეთ!
იცით ვინ არის ის აზიელი?
იცით, რომ ჯარი ჰყავს მას ძლიერი?
**დურგალი.** ჩვენ ეგ გვაშინებს: მას ჯარი ჰყავსო!
**Inkubus.** კი არ გაშინებთ! მე რჩევას გაძლევთ!
მეფე თხოულობს ასულს ლატავრას?
მერე რა მოხდა? თქვენ უნდა დასთმოთ!
**მჭედელი.** შენ ხომ იმისი აგენტი არ ხარ?
**Inkubus.** მიჰყე და მოჰყე ამ ოხერს სოფელს!
თქვენ გყავთ ცოლშვილი... რისთვის უნდა გასწიროთ
თავი?
**ხალხი**. ჩვენი მიზნისთვის!..
— ლატავრა ჩვენი მიზანი არის... ჩვენი დიდება!
— ის სიმბოლოა ჩვენი სიწმინდის!
— მისი მშვენებით ყველანი ვსტკბებით!
**ხელოსანი.** ვინ ხარ, ძმობილო! რატომ ვერ გიცნობთ?
რად უმხედრდები მუდამ ჩვენს გრძნობას?
**Inkubus.** როგორ ვერ მიცნობთ!?

მაღალ ქუდს კეპკასავით იკეთებს.

აი. მეც თქვენებრ... მიცან? ხა, ხა, ხა!
ან რად ჰკითხულობ გვარსა და სახელს?
ალბად რასსიულს დასაბამს ეძებ!
ჰხედავ, თქვენებრ ვარ ადამიანი!
ამხანაგი ვარ!..
მე ვარ **Inkubus!**
აქ, აზიაში და ევროპაშიც!
კარგი ნაცნობი სამი სარდლისა!
მეც ვეთანხმები თქვენს მოსაზრებას:
დაე, ლატავრამ თვით გადასწყვიტოს: გლეხს ჩაავლეს ხელს
—მოდი, სთქვი რამე!
შენც თავს გასწირავ?
დასთმობ ცოლშვილსა?
თუ წინაალმდეგს პირველად იტყვი,
მე გავამაგრებ ოპოზიციას!
უპირველესად შენ გეკითხება: შენა ხარ ბურჯი!
**გლეხი.** აზიელ ბატონს აქ არ მოუშვებთ.
თუ თქვენ არ გეყოთ ტყვია-წამალი,
სოფლად ბევრია: ბარი, წერაქვი,
ფიწალი, ცელი და ბასრი ხმალი!..
**Inkubus.** ვაშა! ვაშა!
ეგ იარაღი საუცხოვოა!
კაცი თუნდ ტყვიას გაუხვრეტია
და თუნდა ფიწალს, რა გარჩევაა?!
**მწიგნობარი**. ჩვენ ეს ამბავი ვამცნეთ ლატავრას
და განაცხადა სრული უარი!
**ხალხი.**— განა ლატავრა ჩვენ დაგვაობლებს?
— წაშლის ჩვენს სახელს, ჩვენს სიამაყეს?
**ხელოსანი.** ამას ლატავრა რომ არ იზამდა,
თქვენ უნდა ყველას კარგად გცოდნოდათ!
**მწიგნობარი.** უარი ჰნიშნავს ომის დაწყებას!

თადეს საყვირი სარდლებს უძახის...
მალე ისინიც აქ გაჩნდებიან!
ლატავრა თუნდაც მსხვერპლად შევწიროთ,
რაც არ მოხდება ეს არაოდეს,
მაინც ის მიზეზს სხვას გამოჰნახავს,
რადგან ჰსურს მტარვალს თვით ჩვენი ხალხის
დამორჩილება, დამონავება!
რის თანამგრძნობნიც ჩვენშიც ბევრი ჰყავს!

ყველანი Inkubus-ს გადაჰხედავენ.

ჩემი რჩევაა და მსაჯულნიც მეთანხმებიან:
ან უნდა დავთმოთ ჩვენ ყველაფერი,
ხელი ავიღოთ ჩვენს ქვეყანაზე
და მონაპოვარს დიდს უფლებებზე,—
ან იარაღი უნდა ავისხათ,
ბრძოლაში მოვკვდეთ, მხოლოდ არ ვნახოთ
მონის უღელი ხალხის კისერზე!
**ხალხი.** შეურაცხყოფას სჯობს დავიხოცნეთ!
**მწიგნობარი.** ვით საბერძნეთში ერთს დროს პალლადა, *)
ეგრევ ლატავრა მფარველობს სიბრძნეს,
თვით ჰარმონიას და პოეზიას!
და რომ ლატავრა ტყვედ გაიხადონ,
სხვა რაღა იყოს თავისუფალი?
უნდა ატირდეს ყველა ჩვენგანი!
უნდა ჩავიცვათ შავი ძაძები!
მგოსანმა უნდა ჩანგი გასტეხოს!
გრძნობა სევდისგან დაავადმყოფდეს!
უნდა, ურწმუნო შეგვექნეს გული!
უიმედობამ დაისადგუროს!
**მუშა.** ლატავრა ჩვენი სიხარულია!
თავისუფლების ცოცხალი სახე!
ვინც მას უსურვებს შეურაცხყოფას,
ხალხს შეურაცხყოფს!..
აბუჩად გვიგდებს იგი მტარვალი!
მიზეზს ის ეძებს ჩვენს შესამუსრად,
მაგრამ მიზეზი ჩვენ უფრო ვპოვეთ,
რომ იგი დავცეთ, მის ქვეყანაში
ავაფრიალოთ სიმართლის დროშა!
**Inkubus.** უყურეთ ამათ ვათამამებას!
აქ ხომ ძალიან მეჭაშნიკებით,
იქაც გაგიშვათ და არ მოგტეხოთ გზაში კისერი!
**მოხუცი მსაჯული.** ჩვენი შეგნება თუმც ომს უარს ჰყოფს,
არ ჰსურს დაღვაროს ადამის სისხლი,
მაგრამ თავდაცვის ალლო დიდია!
შვილებო! არ ჰქმნათ, რომ ჩემმა თეთრმა
იხილოს ისევ მონის ბორკილი!
უნდა იბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე!
**ხალხი.** აღტაცებული
უნდა ვიბრძოლოთ! ვფიცავთ თავს დავდებთ!
**დარაჯების ხმა ყოველ მხრით:**
— ეჰე ჰე ჰეე! თვალი ადევნეთ!
— აგერ გამოჩდნენ!
— მათი მერნები მოჰქროლავენ ფასკუნჯებივით!
— ჩვენი სარდლები ახლოვდებიან!
**ხალხი.** ჩვენი სარდლები ახლოვდებიან!
**გზირი.** ლატავრა მოდის მათს შესახვედრად!

*) ღვთაება ძველს საბერძნეთში სიბრძნის, ხელოვნებისა და მეცნიერებისა.

III

იგინივე და **ლატავრა** ამალით.

**მოურავი.** ჩვენო ამაყო და თამამო თავისუფალო!
**ლატავრა.** შორსა თუ ახლოს, მუდამ თქვენთან ვარ!
ჩემი სალამი!
თქვენს ფიქრს და ზრუნვას ჩაქსოვილი ვარ!
და დიდად გმადლობთ თავდადებისთვის!
**მწიგნობარი.** ჩვენი ზრუნვაა განვამტკიცოთ ბედნიერება!
**ლატავრა.** რა დიდებული სანახაობა!
ჩემსა ძახილზე შემოკრეფილან
და ყველას სახე გაბრწყინვებია!
თვითეულს ვიცნობ სულის თვისტომებს!
თუმც აქ არ ვიყავ, მაგრამ მესმოდა
თქვენი ჩემდამი თავის განწირვა!
მადლობას გიძღვნით!
ენგიჩარ მეფე ჩემს თავს მოითხოვს,
მე ვსთქვი უარი!
მაგრამ თუ თქვენი სურვილი არის
წავყვე მას მხევლად, დაგმორჩილდებით!
მე ხალხის ნებას არ გადაუვალ!
**ხალხი.** ჩვენ გადავწყვიტეთ: არ შეიძლება!
**ლატავრა.** დღეს მზის დღე არის.
ალორძინების! ჩვენი ხალხის დღესასწაული!
ამ დღემ არგუნა გამარჯვება ჩვენსა წინაპრებს
და დაგვიტოვეს მათ ანდერძად: ვუძღვნიდეთ ქებას!

მზისკენ აღაპყრობს ხელებს

მზეო ნათელო!
შენა ასულდგმულებ მთელს სამყაროს მხურვალე სხივით!
შენ ჰქმნი ყოველ წამს ახალ სიცოცხლეს!
შენ ათბობ გრძნობას, შობავ ნათელ აზრს.
აწ შენს წინაშე წარმომსდგარვარ სულით შიშველი.
შენ ერთს გადიდებ! შენ გამო ვცოცხლობთ
შენ ხარ წყარო უშრეტი ძალის!
რაიც სივრცეში გაფანტულა შენის სხივებით
და რომელთაგან აღმოცენდა ნორჩი ბუნება,
ხოლო ბუნებამ შენი ძალით შვა ერი ჩვენი.
მოვესწრაფებით შენს დიდებას, სამყაროს სულო,
რომ ჩვენ, ნაწილმა, შევიმოსოთ შენი სრულყოფა,
და, როგორც უწინ, კვლავ გადიდებდეთ!

ამალა გალობს მზისადმი, ლატავრა სიმღერის რიტმზე ცეკვავს ჯერ მძიმედ, შემდეგ მხურვალეთ. აპოლონის რიტმიდან გადადიან დიონისის გატაცებაზე. ხალხი აღტაცებულია. ზეიმია. ბალეტ Inkubus შურით სავსე კედელთან ატუზულა. გარედ ისმის ხალხის აღტაცებული ძახილი:

— ჩვენი სარდლები! გაუმარჯოს! სამს ძმას, სამს რაინდს! ვაშა ჩვენს მცველებს!

— უკვე მოსულან!
— რა რიგად ვღელავ!
— სამი ძმა ჩემთვის თავდადებული!
— სამი დარაჯი!

VI

იგინივე და სამი სარდალი: **გურამ, რატი, ბექარ.**

**მოურავი.** ჩვენთან არიან ძლევა-მოსილ ჯარის უფროსნი!
მოგესალმები გურამ! რატი! ბექარ ლომგულო!
**გურამ.** თადეს საყვირი მოგვიწოდებდა.
თავი ვანებეთ ბანაკს სამივემ.
და გამოვქროლეთ ელვის სისწრაფით:
რა მოხდა განა მოულოდნელად?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიფიქრეთ: მტერი თუ თავს დაესხათ,
ჯერ ხომ ჩვენ უნდა შემოგხვედროდნენ.
მაგრამ საზღვრებზე მშვიდობა არის.
**რატი.** ბედნიერნი ვართ, ლატავრას ვხედავთ!
**ბექარ.** ლატავრა იგრძნობს ჩვენს აღტაცებას!
**ლატავრა.** მუდამ მესმოდა თქვენი საქმე ესდენ საგმირო!
თქვენთან ვცხოვრობდი სულის ღელვით, ჩემის ოცნებით!
**სამნი.** ჩვენ სამნი ძმანი ერთგულნი მარად
შენც და ჩვენს ხალხსაც ვემსახურებით!
**ბექარ.** რადგან სამივეს შენ გვიყვარხარ წმინდა ოცნებით
ვერ დაიკვეხოს ჩვენ წინაშე ვერც ერთმა მტერმა..:
**გურამ.** თუმც შორს ვიყავით, მაგრამ ფიქრი შენს ახლოს
იყო...
**რატი.** და იგი ფიქრი ჩვენ მარად ჟამს გვასულდგმულებდა!
**ბექარ.** ერთხმად ვამბობდით: ნეტარებდეს სინათლის რძალი!
**ლატავრა.** ბედნიერი ვარ, ოცნება რომ ჰგავს სინამდვილეს!
**მწიგნობარი.** სიხარულისგან ჩემი თვალი ცრემლით ივსება!
მოხუცი ვხედავ შენთან ახლოს ესრეთ ჭაბუკებს!
შენსა მომავალს რკინის ხელით განამტკიცებენ!
**ხალხი.** ვაშა ჩვენს სარდლებს! ვაშა ლატავრას!
**Inkubus.** თქვენი ერთგული ველარ მიცანით!
მოხარული ვარ; ხა, ხა, ხა, ხა! მოხარული ვარ!
იქნებ თუ მართლა გამოვიცვალე?
აი ეს ხალხიც სალამს მოგიძღვნით....

ანიშნებს და ხალხი იძახის: ვაშა ჩვენს სარდლებს!

ვით უწინ, ეხლაც თქვენთვის მე მზად ვარ!...

ბექარს ცოტა განზე გაიყვანს და ჩუმად

ბექარ! შენ მათზე უმცროსი ხარ, და გაგიბედავ...
როცა აქ მორჩეთ, გთხოვთ მობრძანდეთ ჩემთან სადილათ...
ეს ორი დღეა თქვენ გელოდებით
და თადარიგიც მიცემული მაქვს...
ვფიცავ, ვერ ნახოთ ჩემზე ერთგული!
**მოურავი.** რომელიც გურამს ელაპარაკებოდა.
....და მოგახსენებთ!
ეს სამი დღეა ელჩნი გიახლნენ...
იმ ელჩებს ეხლავ აქ წარმოვადგენ...
თვით მოუსმინეთ...
აი, მიზეზი რომ ხალხი შევძარ
და თქვენც სამნივე აქ დაგიბარეთ ერთს მხლებელს
— წარმოადგინე ელჩნი ხალხის წინ.—
თქვენ კარგად იცნობთ ჩვენს მოსისხლე ენგიჩარ მეფეს.
და არა ერთხელ ამ ქვეყნიდან განგიდევნიათ.
დიდი ხანია ჩუმად იყო, არას გვერჩოდა,
და თქვენ ამ ხანად ააყვავეთ ჩვენი ქვეყანა.
მაგრამ დღეს ისევ ხარბი გული შურით ავსია
და მიზეზს ეძებს....
**ბექარ.** ლატავრას ხელზე ეამბორება.
შენს ნათელ სახეს ცხადად ვხედავ უსაზღვრო გულში!
შენის ცხოვრების სუნთქვით ჩვენც ვსუნთქავთ!
**რატი.** და გვამოძრავებ!
**ბექარ.** და გვამოქმედებ!
**ბექარ. გურამ. რატი.** ერთ გაზაფხულის მხიარულს დილას
გამომიქროლე, თან წარმიტაცე
— და შემიყვანე სულის წალკოტში
სად უთვალავი განძი ელაგა.
— მითხარ: აკრიფე იგი საუნჯე
და მეც ავკრიფე, თან წამოვიღე.
— და ის საუნჯე მე ხალხს გარდავეც.
— მაგრამ როს მწუხრის ბინდი მოვიდა,
შენს სამსხვერპლოს წინ ლოცვად წარმოვსდექ...
— და რა ვიხილე? იგი საუნჯე
მე რომ ხალხს ვუძღვენ, შენგან მოძღვნილი,
— კვლავ შენს წინაშე მწყობრად ელაგა!
**სამნი.** შენი საუნჯე ჩვენი არის, ჩვენი კი-შენი,
ხოლო ყველასი—ჩვენი ხალხისა!
**ლატავრა.** ო, თქვენთან ერთად რარიგ ვნეტარებ!

## V

იგინივე და **ელჩები** აზიურად ჩაცმულნი.

**დარაჯი.** გზა მეფის ელჩებს:
**ხმები.** როგორ ეტყობათ მონის ბეჭედი!
— მათ ქვეყანაში ალბად ხალხიც უბედურია!
— როგორც წინა დროს ჩვენი მამები!
**I ელჩი.** მგზავნის ენგიჩარ მზის ქვეყნების დიდი მპყრობელი,
რომელიც უკვე საზღვარზე სდგას ურიცხვი ჯარით,
და მოუთმენლად ელის პასუხს თუ რას გადასწყვეტ.
**II ელჩი.** მხოლოდ შენ ჰსუსხარ, ერთად-ერთი მთელს
ქვეყნის ზურგზე,
შენ ერთს გიმზადებს სადედოფლო იშვიათ გვირგვინს.
თან დაგვაბარა: სურვილს ნებით თუ არ დაჰყვები,
დაუყოვნებლივ შენს ქვეყანას შემოესევა,
დაგიპყრობს ძალით, ტყვედ წაგიყვანს და შესარცხვენად
უბრალო მხევლად გარდაგაქცევს,—ხასად დაგისვამს!
აი ფირმანიც!
**ბექარ.** ამ სიტყვებით აინთება. მივარდება მოციქულს და სილას შემოჰკრავს. ფირმანს ჰხევს და პირში აყრის.
ხასად დაისვამს?..
აი პასუხი! წადი ბატონს ეს მოახსენე!

ლატავრას მუხლს მოუყრის.

გთხოვ პატიებას! წყენით ალსავსემ
ვერ გამოვნახე უკეთესი საშუალება!
**Inkubus.** ხა! ხააა! ომი დაიწყო! ომს გაუმარჯოს!
**გურამ.** წადით და ასე მოახსენეთ და დაუმატეთ:
რომ სამნი ძმანი მზად არიან შეგებრძოლონ-თქო!
**რატი.** ის კარგად გვიცნობს, უკეთესად უფრო გაგვიცნობს!

ელჩები გადიან

## VI

იგინივე ელჩების გარდა.

**მოურავი.** ....ომი უკვე დაწყობილია!
მოიტათ დროშა და იგი ხმალი!
ლატავრამ უნდა ერთ-ერთს გადასცეს!
მთავარსარდალი ამ სამს ძმაში იგი იქნება!

შემოაქვთ დაკეცილი დროშა და ხმალი. ლატავრას მოუტანენ

**ლატავრა.** უნდა გარდავცე ერთ-ერთ მათგანს? უნდა გარ-
დავცე?

ხმალს იღებს ხელში

ბასრო მახვილო!
შენ ხარ დიდება, ძლიერება, თავისუფლება!

სიჩუმე. სარდლებს ათვალიერებს, თითქოს ირჩევდეს მათ შორის, თუ რომელს გარდასცეს. შემდეგ გურამისკენ გაექანება და გატაცებით, მხურვალედ:

ო, ჩემო გურამ! შენი თვალნი რარიგ ბრწყინავენ!
შეყვარებული შენი სული სიღრმით გამოკრთის,
ხოლო იმ სულში იხატება ჩემივე სახე ..
ვამაყობ შენის ერთგულებით, ძვირფასო გურამ!

რატის მიუბრუნდება, ეგრევ გატაცებით

ძვირფასო რატი! გამჭრიახო, ჩემო რაინდო!
ვგრძნობ შენი გულის წმინდა ალერსს, ჩემდამი მოძღვნილს,

განუყრელი ვარ შენს ალერსთან და შენს ფიქრთაგან...
ვამაყობ, შენის ერთგულებით, ძვირფასო რატი!

*ბექარს მიუბრუნდება, ეგრევ გატაცებით*

ო, ჩემო ბექარ! რაინდო და ჩემო არწივო,
თვით სიზმარშიაც მე შენს მიჯნურს თავს რომ მევლები!
განა არ მამცნობს შენი ზრუნვა რარიგ გიყვარვარ?
ვამაყობ შენის ერთგულებით, ძვირფასო ბექარ!

*განზე გადგება და დროშას გაშლის*

სულზედ უტკბესნო!
ამ ხმალს და დროშას.... *შეჩერდება და შემდეგ უცბად*
მე ვიტოვებ!
თქვენ კი მოგიძღვნით ჩემს უსაზღვრო, წმინდა სიყვარულს!
წადით, იბრძოლეთ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ!

*აღტაცება*

**ხალხი:** დილეო ლატავრა!

ფ ა რ დ ა.

**სანდრო შანშიაშვილი.**

# ჩვენი კულტურული ფრონტის გარშემო.

**წერილი მეორე**

ჩვენს პირველ წერილში (იხ. „დროშა" № 8) აღვნიშნეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში ქართული ნაციონალური კულტურის ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად საბჭოთა ხელისუფლებამ მუდმივი ყოველთვიური პენსიის დანიშვნის სახით ნივთიერათ უზრუნველყო საზოგადო მოღვაწეები, რომლებიც სრულიად უანგაროდ ხალხში და ხალხისათვის იღვწოდნენ სამეცნიერო, სამწერლო, სახელოვნო და საპედაგოგიო ასპარეზზედ, მაგრამ ყოფილი რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობისაგან არა თუ ნივთიერ დახმარებას, პირიქით უკიდურესს შევიწროებას და დევნას განიცდიდნენ.

ამ წერილში კი ჩვენ გვსურს მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მეორე ღონისძიებაზე, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ დასახა ჩვენი ეროვნული კულტურის უფრო მკვიდრ ნიადაგზედ დასამყარებლად და ასაღორძინებლად.

თვითეული სახელმწიფოს გონებრივი წარმატება, მისი სოციალური და ეკონომიური კეთილდღეობა უეჭველია დამოკიდებულია იმაზედ, თუ რამდენად სწავლა-განათლება გავრცელებულია მშრომელ ფართე მასებში, თუ რამდენად ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლები ამ სახელმწიფოში ნორმალურ პირობებშია ჩაყენებული და რამდენად ეს სასწავლებლები შეფარდებულნი არიან ცხოვრების ნამდვილ მოთხოვნილებასთან.

ცხადია, ხალხის ფართო მასებში ჭეშმარიტი ცოდნისა და სწავლა განათლების შეტანას, სასწავლებლების ნორმალურად მოწყობას სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზედ, კულტურულ მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნას დიდი დრო, დიდი შრომა და ენერგია, დიდი ნივთიერი ღონისძიებანი სჭირია.

მაგრამ, თუ სახელმწიფო და მისი ხელისუფლება ხალხის მშრომელი ფართო მასების კეთილდღეობისათვის ზრუნავს, თუ მისი კულტურულად და ეკონომიურად განვითარების საქმე პირველხარისხოვან საგნად მიაჩნია, იგი ხელისუფლება არც შრომისა და ენერგიისა და არც ნივთიერი რესურსების დახარჯვას არ უნდა ერიდებოდეს და ის საშვილიშვილო და დიადი საქმე, რომელსაც მშრომელი მასების გათვითცნობიერების საქმეს ეძახიან, უეჭველად საღსა და ნორმალურ პირობებში ჩააყენოს.

აი ამ თვალსაზრისით რომ გავითვალისწინოთ ჩვენი ქვეყნის გონებრივად განვითარების საქმე წარსულში, სწორედ იმ წარსულში, როცა ჩვენი კულტურული ფრონტის კამერტონი ხელთ ეპყრათ რომანოვების გვარეულობის ბიუროკრატ მოხელეებს, მეტად უნუგეშო სურათი დაგვეხატება თვალთ წინ.

ამ ჟამად ყველასათვის ცხადზედ უცხადესია, რომ ყოფილი რუსეთის სასკოლო პოლიტიკა საერთოდ მთელს რუსეთში და განსაკუთრებით კი განაპირა ქვეყნებში ყოველ თავისუფალ აზრს, ყოველგვარ მისწრაფებას ჭეშმარიტ ცოდნის შესაძენად ახშობდა და ამრიგად ხელოვნურად უსპობდა მოსწავლე ახალგაზრდობას საშულებას საჭირო ცოდნა და განვითარება მიეღო.

რუსეთის სახალხო განათლების ცნობილი მინისტრები დელიანოვი, ბოგოლეპოვი, შვარცი, კასსო და ამიერ-კავკასიის მათი უახლოესი თანამშრომელნი და უსირცხვილო აგენტები ნევეროვი, იანოვსკი, ზავადსკი და რუდოლფები კულტურულ ფრონტზედ შეუბრალებელი ჯალათები იყვნენ ამ სიტყვების ნამდვილი მნიშვნელობით.

სწავლა-განათლების წყურვილი რომ ხალხში ჩაეკლათ ეს განათლების ჯალათები ჰქმნიდნენ ყოფილი მთელი რუსეთის იმპერიის საზღვრებში ხელოვნურად ისეთ პირობებს, რომ ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლების კარები ჩაკეტილი ყოფილიყვნენ მშრომელი მდაბიო მასის შვილებისთვის.

სასწავლებელთა სიმცირე, სწავლის ფულის გადასახადის სიდიდე, სასწავლებლების ბიუროკრატიული ხასიათი მშრომელ მასებს ყოველგვარ საშუალებას უსპობდნენ მიებარებინათ თავიანთი შვილები სასწავლებლებში და მცირედი განათლება მაინც მიეცათ.

ასეთი გამათახსირებელი სასკოლო პოლიტიკის შედეგიც ყველასათვის აშკარა იყო. რუსეთის თვალუწვდენელ სივრცეზედ ხელოვნურად შექმნილ პირობების გამო სწავლა-განათლებას იღებდნენ უმთავრესად დიდი ბობოლა ბიუროკრატ-მოხელეებისა, სპეკულიანტ-ვაჭრებისა და სასულიერო წოდების შვილები, რომლებიც სარგებლობდნენ ყოველგვარი შეღავათით.

მეტად საგულისხმიერო და დამახასიათებელია ამ მხრით კავკასიის სასწავლო ოლქის ყოფილი მზრუნველის იანოვსკის 1884 წლის ცირკულიარი, რომლითაც უკრძალავდა გიმნაზიის დირექტორებს მდაბიო ხალხის შვილების მიღებას, ვინაიდან „წარჩინებულთა" შვილები „დაბალი" წოდების შვილებისაგან მიიღებენ ცუდ ზნე-ჩვეულებას და ეს გარემოება კი პედაგოგიური თვალსაზრისით ყოვლად დაუშვებლად უნდა იქნეს მიჩნეული.

ამ უსირცხვილო ცირკულიარის დედა აზრი უეჭველია რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროში შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშავდა და „ნეტარხსენებულმა“ იანოვსკიმ თავის „სამფლობელოში“ მთელის სისასტიკით ცხოვრებაში გატარება მოისურვა და რამდენიმედ მაინც მიაღწია თავის საწადელს.

ვამბობთ „რამდენიმედ“, ვინაიდან მოხსენებულმა ცირკულიარმა იმ დროს დიდი აღშფოთება გამოიწვია მთელს საზოგადოებაში.

ცხოვრებას აქვს თავის ულმობელი კანონები, რომლის ჩარჩოებში არ თავსდებიან უსულო, უგულო და უნიადაგო ცირკულიარები.

მართლაც საზოგადოების აღშფოთებამ და სამართლიანმა პროტესტმა გასჭრა და მშრომელი მასების შვილებმა ნებითი იყო თუ უნებლიეთ თანდათანობით გზა მიაკვლიეს სკოლების კარებისაკენ.

რუსეთის დიდმა რევოლიუციამ სამუდამოდ ანდერძი აუგო იმ გამათახსირებელ საერთო პოლიტიკას, რომელიც სამასი წლის განმავლობაში გამეფებული იყო რუსეთისა და მის განაპირა ქვეყნების მთელს ტერიტორიაზედ, და კერძოდ სასკოლო პოლიტიკასაც.

საბჭოთა ხელისუფლების დღიდან დამყარებისა სასკოლო პოლიტიკა როგორც რუსეთში, ისე საქართველოს რესპუბლიკის მთელს ტერიტორიაზედ სულ სხვა ფარგლებით შემოიხაზა.

აგერ უკვე სამი წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა და ამ ხნის განმავლობაში ამ ხელისუფლების წარმომადგენელნი ყოველგვარ შესაძლებელ ღონისძიებას ღებულობენ იმისათვის, რომ სწავლა-განათლება მშრომელი ფართო მასებისათვის ხელმისაწვდომი და დასამხარი გახადონ, რომ სწავლა-განათლებისა და მეცნიერების ტაძარი, რომლის კედელთა შორის თანაბრად თავსდება ელლინიც და ისრაელიც, განკუთვნილ იყოს თვითეულ მშრომელ მოქალაქის შვილისათვის.

ამ აზრის განსამტკიცებლად, ამ აზრის ცხოვრებაში სავსებით გასატარებლად განათლების სახალხო კომისარიატი მთელი ამ სამი წლის განმავლობაში დიდ მუშაობას აწარმოებდა და კიდევაც მრავალ დადებით შედეგებს მიაღწია.

მიუხედავად ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური მძიმე მდგომარეობისა და მრავალი სხვა ობიექტიური პირობათა დაბრკოლებისა საბჭოთა ხელისუფლებამ სახალხო განათლების კომისარიატის საშუალებით მკვიდრი საძირკველი ჩაუყარა რესპუბლიკის ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებელს და მჭიდროდ დაუკავშირა იგი ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნილებას.

სოციალურ აღზრდის სფეროში კომისარიატი მეტის სიფხიზლით მიუდგა სასკოლო აღმშენებლობის საქმეს და ამ მხრით მიაღწია სკოლის ძირითად ცვლილებას.

სკოლას საფუძვლად დაედო შრომის პრინციპი და სკოლის ყველა საფეხურების მთლიანობა, ამ პრინციპზედ აგებული სკოლა უკვე მოხდენილ რეორგანიზაციის მიხედვით დანაწილდა ორი საფეხურის სკოლად.

პირველი საფეხურის სკოლა განისაზღვრება ოთხწლიანი შრომის სკოლის კურსით, ხოლო მეორე საფეხურისა — შვიდი და ცხრა წლიანი შრომის სკოლების კურსით.

მთლიანი შრომის სკოლების ნაყოფიერად მოქმედებისათვის განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომისარიატმა სკოლის გარეშე მუშაობას სასკოლო საკრებულოებისა და ბიბლიოთეკების სახით.

თანამედროვე პედაგოგიაში დღეს დღეობით უდავო ჭეშმარიტებადაა აღიარებული, რომ სოციალურ აღზრდის სისტემაში სკოლის ასაკამდე აღზრდას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

ამ აზრს განათლების კომისარიატმა სათანადო ანგარიში გაუწია და რესპუბლიკის მთელი ტერიტორია მოჰფინა შედარებით საკმაო რიცხვით სასკოლო ასაკამდე დაწესებულებებისა.

სოციალური აღზრდის სისტემის მთლიანობის დასაცავად კომისარიატი განსაკურებული ყურადღებით და მზრუნველობით მოეპყრო უპატრონო და დეფექტიანი ბავშვების აღზრდა-განათლების საქმეს.

მართალია ის დაწესებულებანი, რომელნიც ხელმძღვანელობენ ესეთი უპატრონო და დეფექტიან ბავშვების სწავლა აღზრდისა და მოვლა პატრონობის საქმეს, ჯერ-ჯერობით ტფილისისა და მისი მახლობელ ადგილების ფარგლებით შემოიხაზება, მაგრამ იმედია სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა როგორც კი გაუმჯობესდება, ეს ვიწრო ფარგალი უფრო გაფართოვდება და ჩვენი ქვეყნის შორეული კუთხეებიც შესძლებენ ამ ფრიად მნიშვნელოვან და საჭირო დაწესებულებებით სარგებლობას.

პროფესიონალურ ტეხნიკურ განათლების სისტემაშიაც საბჭოთა ხელისუფლების დროს დიდი ცვლილება მოხდა და ეს ცვლილება ბუნებრივად გამოწვეული იყო ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და ცხოვრების შეცვლილი პირობებისაგან.

ცხადია, საქართველო ისეთი ქვეყანაა, საცა მკვიდრთა არსებობის წყაროს შეადგენს სოფლის მეურნეობა. ჩვენი ქვეყნის წიაღში უდავოდ ჩამარხულია უამრავი ბუნებრივი სიმდიდრე, რომლის გამოტანა და დამუშავება აუცილებელი საჭიროა ჩვენი ერის ეკონომიურად მოღონიერებისათვის.

სასოფლო მეურნეობის რაციონალური ცოდნის ხალხში გავრცელების მიზნით განათლების კომისარიატმა გახსნა რესპუბლიკის სასოფლო სამეურეო რაიონებში ორწლიანი დაბალი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები, რომლებიც საშუალებას აძლევენ მშრომელი გლეხთა შვილებს შეითვისონ პრაქტიკულად ის დარგი მეურნეობისა, რომელიც ამა თუ იმ რაიონის სამეურნეო განვითარებას შეეფარდება.

ამ ხასიათის დაბალი ტიპის სამეურნეო სასწავლებლები მრავლად ხელს შეუწყობენ საქართველოს რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში მევენახეობის, მეღვინეობის, მებაღეობის, მესაქონლეობის, მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის და სხვა ასეთი სამეურნეო დარგების ცოდნის პრაქტიკულად შეთვისებას, რაიცა უეჭველად დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენში მეურნეობის რაციონალურად განვითარების საქმეს.

ცხადია, რომ გარდა პრაქტიკოს მეურნეებისა ჩვენი ქვეყნის სამრეწველო რაიონებისათვის აუცილებლად საჭირონი არიან აგრეთვე კვალიფიციური ოსტატ ხელოსნები და ამგვარი ოსტატი ხელოსნების მოსამზადებლად უკვე გახსნილია საკმაო რიცხვი სასწავლებლებისა.

საშუალო კვალიფიკაციის მომუშავეთა ხარისხის მისაღებად ყოფილი გიმნაზიები გადაკეთდა ისეთ სპეცი-

ბიბლიოთეკა

ალურ ტეხნიკუმებად, როგორიცაა მაგალითად სასოფლო სამეურნეო, ქიმიური, სატყეო, სამრეწველო და ეკონომიური ტეხნიკუმები, რომლებიც წარმატებით ამზადებენ პრაქტიკოს ინჟინერებს, ქიმიკოსებს, მექანიკოსებს და აგრონომებს.

სოციალური აღზრდისა, პროფესიონალური ტეხნიკური განათლების სასწავლებლები და საბჭოთა ხელისუფლების დროს პირველად დაარსებული მუშათა ფაკულტეტები შეცვლილ პირობების მიხედვით გზას უკვლევენ ჩვენ მოზარდ თაობას უმაღლეს სასწავლებლებისაკენ, რომელთა ორგანიზაციაში ამ სამი წლის განმავლობაში მეტად საგულისხმიერო ცვლილება მოხდა.

ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა მიღება სწარმოებს სოციალური მდგომარეობის მიხედვით და ამნაირად მუშურ გლეხურ ელემენტებს უპირატესობით უფლება მიენიჭა უმაღლესი ცოდნის შეძენისა.

უმაღლეს სასწავლებლების ცხოვრების მოწესრიგებაში უშუალო მონაწილეობის უფლება მიენიჭათ პროფესიონალურ ორგანიზაციებისა და სტუდენტების წარმომადგენლებს, რომლებიც პროფესორებთან ერთად მკვიდრ საძირკველს უყრიან ჩვენი კულტურის საშვილიშვილო ტაძარს.

განათლების კომისარიატმა ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლებში მოახდინა სრული ნაციონალიზაცია და ამრიგად საშუალება მიეცა ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზედ მობინადრე თვითეულს ეროვნებას სამშობლო ენაზედ განვითარებისა და სწავლა აღზრის მიღებისა.

ჩვენ ამ წერილში გაკვრით და მოკლეთ შევეხეთ სასკოლო რეორგანიზაციის კონტურებს, ვინაიდან განზრახვა გვაქვს შემდეგში უფრო დაწვრილებით დაუბრუნდეთ სასკოლო ამ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას და მის მნიშვნელობას ჩვენი კულტურული ფრონტის მკვიდრ ნიადაგზედ დასამყარებლად.

ამ ჟამად კი მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ ფრიად დიდმნიშვნელოვან და საგულისხმიერო საგანს, რომელიც მჭიდროდ დაკავშირებულია საბჭოთა ხელისუფლების სასკოლო პოლიტიკასთან და რომელსაც უეჭველად უაღრესი დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ნაციონალური კულტურის განსამტკიცებლად და ასაღორძინებლად.

ესეთ დიდ მნიშვნელოვან საგნად ჩვენ მიგვაჩნია საქართველოს საბჭოთა მთავრობის დადგენილება უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობისათვის **სტიპენდიების** დანიშვნის საკითხი.

მართალია, უმაღლეს სასწავლებლებში რუსეთში რომანოვების დროსაც არსებობდა მოსწავლე ახალგაზდობისათვის სათანადო სტიპენდიები, მაგრამ ეს სტიპენდიები, ფართო მშრომელი მასის შვილებისათვის იშვიათად ხელმისაწდომი იყო.

1868 წელს 12 ნოემბერს რუსეთის ხელმწიფე იმპერატორის მიერ უმაღლესად დამტკიცებულ დებულების პირველ მუხლში სიტყვათა სიტყვით ვკითხულობთ: „კავკასიისა და ამიერკავკასიის ახალგაზდობისათვის უმაღლესი და სპეციალური განათლების მისაღებად და აგრეთვე ამ ქვეყნების საადმინისტრაციო, საზოგადოებრივი და სამრეწველო დარგების სათანადოდ მომზადებული სპეციალისტებით უზრუნველსაყოფად კავკასიისა და ამიერკავკასიის მკვიდრთა შვილებისათვის სახელმწიფო ხაზინიდან გაღებულ იქმნას სათანადო საშუალებანი სტიპენდიების დასანიშნავად.“

ამ დებულების მიხედვით რუსეთის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში კავკასიისა და ამიერ-კავკასიის ძკვიდრთა შვილებისათვის დაწესებული იყო 126 სტიპენდია.

კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის მოხსენების თანახმად კავკასიაში მეფის მოადგილე თავისი შეხედულებით საბოლოვოდ ამტკიცებდა სტიპენდიანტთა სიას. სამწუხაროდ ეს სიები ყოველთვის ყალბ ნიადაგზედ იყო დამყარებული.

ზემოდ მოხსენებული დებულების მიხედვით სტიპენდიების მიღების უფლება ენიჭებოდათ საშუალო სასწავლებლების კურს დამთავრებულ იმ ახალგაზდებს, რომლებიც სწავლაში საუკეთესო წარმატებას იჩენდნენ კურსის დამთავრების დროს და ამასთანავე ღარიბად ითვლებოდნენ.

მეფის მოადგილემ და სასწავლო ოლქის მზრუნველმა დებულების ესეთი მუხლი ბოროტად გამოიყენეს და სტიპენდიებს წლითი წლობით ურიგებდნენ შეძლებულთა შვილებს.

ბობოლა მოხელეების, შეძლებული მემამულეების, ვაჭრების და სასულიერო პირთა შვილები, საშუალო სასწავლებლის მთელი კურსის დამთავრებამდე მასწავლებლებ გუვერნიორებით იყვნენ გარშემორტყმული და აბა რა გასაკვირველია, რომ წარჩინებით დაამთავრებდნენ კურს და მშრომელი მასების შვილებზედ წინ წარდგებოდნენ სწავლა განათლების მხრით.

ჩვენი ქვეყნის მაშინდელი ბატონ-პატრონნი კანონის ფორმალური მხარეთი სარგებლობდნენ და განზრახ, სისტემატიურად გზას უხშობდნენ მშრომელი ფართო მასების შვილებს, რომლებიც საშუალოდ და საშუალოზედ უფრო მეტის წარმატებით ამთავრებდნენ გიმნაზიებს, მაგრამ სტიპენდიების მიღების ღირსნი დროთა ვითარების გამო მაინც ვერა ხდებოდნენ.

საქართველოს ხელისუფლებამ, მიუხედავათ სახელმწიფოს აღმშენებლობითი დროს მძიმე ეკონომიური მდგომარეობისა, სწავლა განათლების მიღება ყველა ტიპისა და საფეხურის სასწავლებლებში უფასოდ გამოაცხადა.

მართალია, ამ უკანასკნელ დროს, როგორც დროებითი ზომა სწავლის ფასი შემოღებულ იქმნა უმაღლეს სასწავლებლებსა და ტეხნიკუმებში, მაგრამ, ვიმეორებთ, ეს ზომა დროებითია და, როგორც კი სახელმწიფო ეკონომიურად მოღონიერდება, ეს დროებითი ზომაც უეჭველია გაუქმებული იქნება.

სწავლების უფასოდ გამოცხადების გარდა საბჭოთა ხელისუფლებამ როგორც საქართველოსა, ისე რუსეთისა და საზღვარ გარეთის უმაღლეს სასწავლებლებში დაარსა საკმაო რიცხვი სტიპენდიებისა და მათი მიღების უფლება მიენიჭა ულარიბეს მშრომელთა შვილებს.

მთავრობის განკარგულებით სტიპენდიანტების რიცხვი ასეა განაწილებული: საზღვარ გარეთ—28, რუსეთში—99, ტფილისში სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ლენინის სახელობის ინსტიტუტში—200, მუშათა ფაკულტეტებზედ—265, სამხატვრო აკადემიაში—15, კონსერვატო-

რიაში—15 და სახელმწიფო უნივერსიტეტთან საპროფესოროდ მოსამზადებლად—7 კაცი.

თვითოეულ სტიპენდიანტს რუსეთში და საზღვარგარედ ეძლევა თვიურად 50 მანეთი ჩერვონცით, ხოლო ტფილისელებს კი—20 მანეთი ჩერვონცით თვიურად.

ამნაირად, თუ ბიუროკრატიული ყოფილი რუსეთის მთავრობა მთელს კავკასიისა და ამიერ-კავკასიის სტიპენდიანტებზედ წლიურად ხარჯავდა არა უმეტეს 38,800 მანეთისა, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა დღევანდელ სახელმწიფოს მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის დროს სტიპენდიანტების შესანახავად წლიურად ხარჯავს არა ნაკლებ 240.000 მანეთისა.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ყოფილი რუსეთის მთავრობა ზემოდაღნიშნულ თანხას მხოლოდ შეძლებულ კლასთა შვილების სასტიპენდიოთ იხმარებდა, ჩვენთვის ცხადზედ უცხადესი იქნება, თუ რამდენათ საქართველოს რესპუბლიკის საბჭოთა მთავრობა ყურადღებით ეპყრობა ჩვენი ნაციონალური კულტურის აღორძინების საქმეს, როცა იგი აწინდელ აღმაშენებლობითი ხანაში მხოლოდ და მხოლოდ მშრომელი მასის შვილების უმაღლესი და სპეციალური სწავლის მისაცემად სტიპენდიების სახით ხარჯავს ოთხჯერ და ხუთჯერ მეტ თანხას, სანამ ყოფილი ბუმბერაზი რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობა ხარჯავდა მთელი კავკასიისა და ამიერ-კავკასიის მკვიდრთა შვილების უმაღლეს სასწავლებლებში აღსაზრდელად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება უმაღლეს სასწავლებლებში სტიპენდიების დაარსების შესახებ ყოველ ეჭვს გარეშეა დიდმნიშვნელოვანი საქმეა და თავის დროზედ შესაფერის ნაყოფსაც გამოიღებს, რაიცა უდავო ჭეშმარიტებად უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ მხოლოდ ამ წერილში გვსურს აღვნიშნოთ ერთი ნაკლი, რომლის გამოსწორება ერთგვარ მთლიანობას შეიტანს სასტიპენდიო საკითხის საქმეში.

რამდენადაც ჩვენ ვიცით არც მთავრობას და არც განათლების კომისარიატს ჯერჯერობით არა აქვს გამომუშავებული და სათანადოდ დამტკიცებული დებულება უმაღლეს სასწაგლებლებში სტიპენდიების დაარსების შესახებ, ხოლო ასეთი დებულების შემუშავება და დამტკიცება აუცილებლად საჭიროა ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

ჩვენის შეხედულობით ამ დებულებას საფუძვლად უნდა დაედვას სხვათაშორის შემდეგი მთავარი მოსაზრებანი. 1) სტიპენდია უნდა ენიშნებოდეს საქართველოს რესპუბლიკის მშრომელ მკვიდრთა ულარიბეს შვილებს, რომლებიც წარმატებით დაამთავრებენ საშუალო სასწავლებლის კურს; 2) უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებული სტიპენდიანტი აუცილებლივ უნდა დაბრუნდეს სამოღვაწეოთ საქართველოში და 3) სტიპენდიანტი კურსის დამთავრების შემდეგ ვალდებულია იმსახუროს დაახლოვებით ხუთი ან ექვსი წლის განმავლობაში ჩვენი ქვეყნის იმ კუთხეში, საცა ამას მთავრობა საჭიროდ დაინახავს მოთხოვნილების მიხედვით.

ამ ჟამად, ვფიქრობთ, არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ ჩვენი რესპუბლიკის სოფლებში და განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში კულტურული ძალების ძლიერი დიდი ნაკლებობაა. ყველანი ინერციულად ქალაქ ტფილისისა და სამაზრო ქალაქებისაკენ მიისწრაფიან და ამნაირად პროვინციის მდგომარეობა დღითი დღე უფრო უარესდება კულტურულ ძალების ნაკლებობის გამო.

თუ ზემოდ დასახელებულ დებულებაში ჩვენ მიერ მესამე მუხლში წამოყენებული მოსაზრება შეტანილ და დადასტურებულ იქმნა კანონმდებლობის სახით, მთავრობას სრული შესაძლებლობა მიეცემა თანაბრად უზრუნველყოს როგორც ქალაქები, ისე ჩვენი ქვეყნის განაპირა კუთხეები კულტურული ძალების საკმარისი რიცხვით.

ვფიქრობთ მოხსენებული დებულების შემუშავება მეტად საჭირო და დროულია და, რაც უფრო ადრე იქნება იგი შემუშავებული და სათანადოდ დამტკიცებული, მით უფრო მეტ სამართლიანობასა, მეტ გარკვეულობას შევიტანთ სასტიპენდიო საკითხის რესპუბლიკანური მასშტაბით გადაჭრის საქმეში და ამრიგად ჩვენს კულტურულ ფრონტზედ უფრო ღრმა კვალს გავავლებთ ჩვენი ერის და მისი მშრომელი მასების საბედნიეროდ და საკეთილდღეოდ.

**ალექსანდრე მიქაბერიძე.**



ნახატი დავით ქუთათელაძისა



ა. ი. რიკოვი.

# ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს ახალი თავმჯდომარე.

ალექსი ივანეს ძე რიკოვი დ. 6 (19) მარტს 1881 წლის სარატოვში, გლეხის ოჯახში. წინეთ მამა მისი გლეხურ მეურნეობას ეწეოდა ვიატკის გუბერნიაში, ხოლო შემდეგ სარატოვში გადასახლდა.

ოჯახში ყველაზე უმცროსი ალექსი რვა წლისა იყო, როდესაც მამა ხოლერისაგან გარდაიცვალა. უფროსი დის, მასწავლებლის, ხარჯით ა ი. რიკოვი მოათავსეს გიმნაზიაში, და დაწყებული თექვსმეტი წლიდან ის იძულებული იყო პირადი შრომით ეშოვნა ლუკმა პური.

გიმნაზიელობის დროს არალეგალურ წრეებში ის გაეცნო თავის სამშობლოს რევოლიუციონურ მოძრაობას და მონაწილეობას იღებდა არალეგალურ ჟურნალის გამოცემაში.

გიმნაზიის დასრულების შემდეგ ის შევიდა ყაზანის უნივერსიტეტში, სადაც იმ თავითვე ჩაება მუშათა ორგანიზაციებში, არჩეულ იქმნა კომიტეტში და ნახევარი წლის მუშაობის შემდეგ დაპატიმრებულიც იქმნა; ცხრა თვის განცალკევებულად პატიმრობის შემდეგ იგი სასამართლოს განაჩენის გამოცხადებამდე გაანთავისუფლეს ციხიდან და გაგზავნეს სარატოვში პოლიციის თვალყურის ქვეშ. სარატოვში იგი პროფესიონალ და რევოლიუციურ მუშაობას აწარმოებდა რკინის გზის, წისქვილების და მექანიკურ ქარხნის მუშათა შორის. იგი უმთავრესი ორგანიზატორი იყო პირველ მაისის დემონსტრაციისა, პირველად აშკარად რომ გაიმართა სარატოვში, და ამ დროს პოლიციასთან შეტაკებაში ძლიერაც სცემეს.

ამ დროიდან ამხ. რიკოვი არალეგალურ მდგომარეობაზე გადადის და მუშაობას ეწევა რუსეთის მრავალ ქალაქის მუშათა რევოლიუციურ და პროფესიონალ ორგანიზაციებში. (ამ დროს ის ვიდრე 1917 წლის რევოლიუციამდე სხვისი პასპორტით სცხოვრობს).

1902—1905 წლებში ამხ. რიკოვი („ალექსის" სახელით) გამოჩენილი წევრია იაროსლავის, ნიჟეგოროდის, მოსკოვის და სხვ. ს.-დ. ორგანიზაციებისა. პარტიის გათიშვის დროს იგი ბოლშევიკურ ფრაქციის წევრია.

1905 წლის გაზაფხულზე, მე-3 ყრილობაზე, ლონდონში, იგი არჩეულ იქმნა ს.-დ. პარტიის ცეკაში, რომლის წევრად იგი თითქმის უცვლელად იყო დღევანდლამდე. მე-3 ყრილობის შემდეგ ამხ. რიკოვი შეიპყრეს პეტროგრადში ცეკას არალეგალურ კრების დროს. 1906 წლის დასაწყისში იგი ფერშალ სუხორუჩენკოს პასპორტით არალეგალურად სცხოვრობდა მოსკოვში.

ამხ. რიკოვი მოსკოვის საოლქო მუშათა ორგანიზაციის ორგანიზატორი იყო და რსდმპ ცეკას რუსულ ბიუროს შემადგენლობაში შედიოდა, ე. ი. ბიუროს წევრთა იმ ნაწილისა, რომელიც სცხოვრობდა და მუშაობდა რუსეთში, და პარიზში, ლონდონში და ჟენევაში მყოფ რუსულ ემიგრაციას ნახულობდა იშვიათად, როდესაც ამას რევოლიუციურ მოძრაობის მორიგი საკითხები მოითხოვდა.

სოც.-დემ. პარტიაში ის ყოველთვის მის რევოლიუციურ ფრთას ეკუთვნოდა, ე. ი. ბოლშევიკურს, და შედიოდა კომუნისტურ პარტიაში მისი დაარსებიდან.

1907 წლის 1 მაისს შეპყრობილი, იგი, 1908 წლის 28 ივნისის შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილების თანახმად, ორი წლის ვადით 1909 წლის 26 მარტიდან პოლიციის აშკარა თვალყურის ქვეშ იქმნა მოქცეული და ნება მიეცა ეცხოვრნა ყველგან, გარდა სატახტო ქალაქებისა; გადასახლება მას შეუცვალეს საზღვარ გარედ გასვლის ნებართვით.

საზღვარ გარეთიდან იგი არალეგალურ პასპორტით ისევ რუსეთში დაბრუნდა. შემდეგ მეთვალყურეობია ქვეშ გაგზავნილ იქმნა არხანგელის გუბერნიაში 3 წლით (1910 წლის 1 თებერვლიდან); 8 დეკემბერს 1910 წ. მიიმალა პინეგიდან გადავიდა რა საზღვარზე, ალექსი ივანეს ძე ჩავიდა პარიზს, სადაც დაუბრუნდა ცეკას წევრის მოვალეობის აღსრულებას. 1911 წლის ზაფხულზე იგი შედის პარტიის ყრილობის მომწვევ საზღვარგარეთელ საორგანიზაციო კომისიაში და ბრუნდება რუსეთში რუსეთის საორგანიზაციო კომისსიის მოსაწყობად იმავე მიზნით. იგი გასცა პროვოკატორ ბრიანდინსკიმ და ჩაუგდო ხელში ჟანდარმერიას, რის გამო 1911 წლის მარიამობისთვეში იგი შეიპყრეს მოსკოვში მისამართებით და სხვ. ქაღალდებით და 9 თვის ციხეში ყოფნის შემდეგ კვლავ გაგზავნეს პინეგაში, სადაც მან 1913 წლის თებერვლამდე დაჰყო.

1913 წლის ოქტომბერში, მოსკოვში რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ, შინაგან საქმეთა მინისტრის დადგენილებით, იგი კვლავ გადაგზავნეს თვალყურის ქვეშ სამყოფელად ციმბირში, შორეულ ნარიმის მხარეში, 4 წლის ვადით, საიდანაც 1914 წლის 20 სექტემბერს დაუდგრომელი ამხ. რიკოვი ხელახლა გაიქცა სამარაში, აქ ერთი თვის შემდეგ იგი ისევ შეიპყრეს და უკანვე, ნარიმის მხარეში, გადაგზავნეს. იქედან დაბრუნების შემდეგ იგი აირჩიეს მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმის წევრად, და მისი მოხსენების გამო პირველად მოსკოვის საბჭოს პლენუმმა მიიღო კერენსკის და მენშევიკების პარტიის პოლიტიკის საწინააღმდეგო რეზოლიუცია.

ოქტომბრის რევოლიუციიდან მიყოლებული ამხ. რიკოვი იღებდა მონაწილეობას სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობაში, როგორც წევრი, როგორც სრულიად რუსეთის აღმასრულებელ კომიტეტის და პარტიის ცეკას წევრი და სახალხო კომისართა საბჭოს დაარსების შემდეგ შევიდა მის შემადგენლობაში როგორც შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი.

1921 წელს, ვ. ი. ლენინის ავადმყოფობის გამო, ამხ. რიკოვი, ვლადიმირ ილიჩის წინადადებით, დანიშნული იყო მის მოადგილეთ სახალხო კომისართა საბჭოში და შრომისა და თავდაცვის საბჭოში.





პ. მელიქიშვილი.

# პეტრე მელიქიშვილი

დამსახურებული პროფ. პეტრე გრიგოლისძე მელიქიშვილი დ. 1850 წ. ტფილისში. პირველ დაწყებითი სწავლა პირველ გიმნაზიაში მიიღო. დასრულების შემდეგ 18 წლისა სწავლის გასაგრძელებლად ოდესას გაემგზავრა.

1872 წ. ოდესის უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგი დაასრულა.

1873 წ. მელიქიშვილის პირველი მეცნიერული ნაშრომი „ოდესის ბუნებისმეტყველთა მოამბეში“ დაიბეჭდა.

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ იგი დაუბრუნდა ტფილისს, სადაც ერთ წელს ყოფ. ფაბრის დედათა კერძო გიმნაზიაში ბოტანიკას ასწავლიდა.

ტფილისი და მასწავლებლის პროფესია მალე დასტოვა და გაემგზავრა გერმანიას, სადაც კარლსრუეში უსმენდა აგრონომიულ ქიმიაში პროფ. იუსტის და მუშაობდა ტიუბინგენში ლოტარ მაიერის ლაბორატორიაში.

1876 წ. მელიქიშვილი აირჩიეს ოდესის უნ-ის ლაბორატორიის ასისტენტად.

1881 წ. „აკრილის მჟავების ნაწარმთა შესახებ“ დისერტაციისათვის ქიმიის მაგისტრის ხარისხი მიიღო.

1882 წ. უნ-ის დავალებით პატივცემული პეტრე კიდევ მიემგზავრება უცხოეთს და უსმენს ორ წელს პარიზში სწავლულს ბერტელლოს და მიუნხენში ბაიერის ლაბორატორიაში მუშაობს.

1884 წ. ოდესის უნ-ის აგრონომიულ ქიმიის კათედრაზე პრივატ-დოცენტად აირჩიეს.

1885 წ. დაიცვა დისერტაცია „იზოკროტონ მჟავის ნაწარმთა შესახებ“ და ქიმიის დოქტორის ხარისხი მიიღო.

1889 წ. მელიქიშვილი ოდესის უნ-ის ორდინარ პროფესორად აირჩიეს და აგრონომიულ ქიმიის შემდეგ წმინდა ქიმიაში დაიწყო ლექციების კითხვა.

ამ ხანებში ის აქვეყნებს გამოკვლევას „ჟარბ ჟანგების შესახებ“, რომელიც სამეცნიერო აკადემიამ დაბეჭდა და ავტორსაც ლომონოსოვის სახელობის დიდი პრემია მიუსაჯეს.

ამავე ხანებში მელიქიშვილი ეწევა ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას და აქვეყნებს მთელ რიგს გამოკვლევებისას რუსულსა და ევროპიულ ენებზე.

1907 წ. უკვე სახელმოხვეჭილ მეცნიერს პ. მელიქიშვილს ოდესის უნივერსიტეტმა დამსახურებულ პროფესორის წოდება უძღვნა.

ამგვარად პ. მელიქიშვილის მეცნიერული მუშაობის ერთი ორმოცდახუთწლიანი ციკლი დასრულდება ოდესაში. მას აქვს 80-ზე მეტი მეცნიერული გამოკვლევა და შრომა, რომელიც დაბეჭდილი იყო რუსულ, გერმანულ, ფრანგულსა და ინგლისურ ენებზე.

დადგა 1916 წელი. პატივცემული პეტრე ტფ. პოლიტეხნიკურმა ინსტიტუტმა მიიწვია ქიმიის კათედრის ჩასაბარებლად, ხოლო

1918 წლის 13 იანვარს დამსახ. პროფ. პ. მელიქიშვილი აირჩიეს ქართულ უნივერსიტეტის რექტორად, რასაც ის უყოყმანოდ დაეთანხმა.

პ. მელიქიშვილმა იკისრა მძიმე საქმე უნივერსიტეტის ორგანიზაციისა და სწორედ უბადლო იყო უნივერსიტეტისათვის პ. მელიქიშვილის მაგარი ავტორიტეტი, რათა ახლად დაარსებულ მეცნიერების ტაძრის პრესტიჟი მტკიცე ყოფილიყო გარეშეთათვის, ხოლო ძვირფასი და საყვარელი სწავლისათვის მოსულ ახალთაობისათვის.

პ. მელიქიშვილი გმირულად შეუდგა საპასუხიმგებლო და მძიმე ტვირთს და უნივერსიტეტისათვის მეორე თავდადებულ პროფ. ივანე ჯავახიშვილთან ერთად საიმედო საძირკველზე მშვენიერი შენობა დადგა.

მელიქიშვილის მეცნიერული სახელი მსოფლიო მაშტაბით ცნობილია; მას ნახავთ ყველა ენციკლოპედიაში; მას ტკბილის სიყვარულით იგონებენ მისივე, უკვე სწავლულებად ცნობილნი მოწაფენი, რომელთაც პეტრეს მზრუნველი ხელმძღვანელობით გაიკვლიეს გზა და იღვწიან მეცნიერების ასპარეზზე.

დღესაც 74 წლით დამძიმებული პროფესორი პირვანდელი თავდადებით და ხალისით განაგრძობს ახალთაობის წვრთნას მეცნიერებაში და ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა და ქვეყნისათვის საჭირო მუშაკთა კადრს ამზადებს საკუთარ ლაბორატორიაში.

პ. მელიქიშვილი დღესაც აწარმოებს მეცნიერულ მუშაობას. უკანასკნელ ხანებში ქართულ მეცნიერულ ჟურნალებში „უნივერსიტეტის მოამბე“სა და „ჩვენი მეცნიერება“-ში დაიბეჭდა მისი საინტერესო გამოკვლევანი: „ჩვენი საჭმელ-სასმელის შემადგენლობა,“ „ჩვენი ღვინის ქიმიური შემადგენლობა“, „ვაზი და ღვინო“, „ჩვენებური ყველი“ და რამდენიმე სხვა, რომელთაც თეორიულ მნიშვნელობას გარდა აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა.

ამგვარად დიდი თეორეტიკოსი პრაქტიციზმს არაა დაშორებული. იგი საქ. მეღვინეობა-მევენახეობის ყრილობის ძვირფასი წევრი და საპატიო თავმჯდომარე იყო.

ვუსურვებთ დაგვიანებით საამაყო მეცნიერს და ღირსეულ მოქალაქეს ხანგრძლივ სიცოცხლეს.

სტუდენტი.

## პროფ. მელიქიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წ. იუბილე.

კვირას, 17 თებერვალს, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში შესდგა პროფ. **პეტრე მელიქიშვილის** სამეცნიერო მოღვაწეობის აღსანიშნავად 50 წლის იუბილე. უნივერსიტეტის შენობას მრავალი ხალხი მოაწყდა იუბილიარის პატივისაცემად.

უნივერსიტეტის აუდიტორიამ ვერ დაიტია ყველა მსურველი: საზეიმო სხდომა გაიხსნა დილის 11 საათზედ. დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხცოვან იუბილიარს. პროფ. **ივანე ჯავახიშვილმა** თავის სიტყვაში გაკვრით დაახასიათა პრ. მელიქიშვილი როგორც მეცნიერი და განსაკუთრებით აღნიშნა მისი დიდი ღვაწლი უნივერსიტეტის დაარსების საქმეში. საქართველოს კომისართა საბჭოს სახელით სიტყვა წარმოსთქვა განათლების კომისარმა დავ. კანდელაკმა, მან გადასცა კომისართა საბჭოს დადგენილება, რომლის ძალითაც ბებუთოვის ქუჩაზე არსებულ ქიმიურ ლაბორატორიას ამიერიდან დაერქმევა პროფ. მელიქიშვილის სახელობის ქიმიური ლაბორატორია, ამასთანავე დაწესდება ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთათვის 5 სტიპენდია. ამას გარდა იუბილიარს მიესალმნენ სხვა და სხვა კულტურულ—საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი. იუბილიარს მიართვეს დაფნის გვირგვინი და მრავალი საჩუქრები. მიწადმოქმედების კომისარიატმა მის სახელობაზედ დანიშნა 2 სტიპენდია. ღვინის ამხანაგობა „საერო"-ს მიერ დაარსებული იქმნა 2 სტიპენდია. დასასრულს თვით იუბილიარმა წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც დამსწრეთ მადლობა გადაუხადა. ზეიმი დამთავრდა შუადღის 3 საათზედ.

# მაკდონალდი.

ჯემს რამზაი მაკდონალდი, ინგლისში პირველ მუშათა მთავრობის პირველი პრემიერი ამ ჟამად 58 წლისაა. ის შოტლანდიის ერთ მიყრუებულ კუთხის სახალხო მასწავლებლის შვილია. მაკდონალდი ქვრივია, ყავს სამი ქალი და ორი ვაჟი.

34 წლის იყო მაკდონალდი, როდესაც მიემხრო მუშათა მოძრაობას. 40 წლიდან ის პარლამენტის წევრია და მუშათა პარტიის თავმჯდომარე.

ათიოდე წიგნი აქვს დაწერილი, რომელთაგან ექვსი სოციალიზმის საკითხისადმია მიძღვნილი.

შესანიშნავი ორატორია, ხმა სასიამოვნო ტემბრის აქვს. მაღალი ტანისაა, მის ენერგიულ ტიპის სახეს ამშვენებს სქელი და უფრო ენერგიული, სკანდინაველ ვიკინგის ულვაშები.

სპორტში გოლფი უყვარს. თავისუფალ დროს უყვარს ქვევითად ქალაქს გარედ გასეირნება.

მუშათა პარტიის თავმჯდომარე მორწმუნეცაა.

რამზაი მაკდონალდის, ღვთისნიერ შოტლანდიელის, საუკუნის მეოთხედის სიგრძეზე სოციალისტის სიტყვები, რომელსაც აქვს კელტის მჭერმეტყველება და ვიკინგის გარეგნობა, ყოველთვის აღსავსეა ციტატებით ბიბლიიდან; მისი სიტყვები გამთბარია გრძნობიერი ბიბლიური პათოსით.

შოტლანდიელები სამართლიანად ამაყობენ, რომ ინგლისის სახელმწიფო მოღვაწეების უმრავლესობა შთამომავლობით შოტლანდიიდან არის და ამიტომაც ინგლისის პოლიტიკას შოტლანდიის საქმიანობას ბეჭედი აზის.

საქმიანმა შოტლანდიელმა რ. მაკდონალდმაც მშვენივრად იცის შოტლანდიური საქმიანობის საიდუმლოება, რომლის სიბრძნე გამოიხატება იმაში, რომ მწვავე კრიზისზე ათასჯერ ხელსაყრელია ფრთხილი კომპრომისი.

ის არ გასცემს განკარგულებას გაფიცულ მუშების დახვრეტის შესახებ. მან იცის, რომ დიდი მოხერხებით ცოტა სისხლიც-კი არ დაიღვრება და არც მოუხდება კერენსკის მზგავსად დედაკაცის ტანისამოსის გადაცმა და გაპარვა.

მაკდონალდი თავის თავს იდეალისტს უწოდებს, რომელიც „მოწოდებულია თავისი წვლილი შეიტანოს კაცობრიობის სიკეთის და ბედნიერების საქმეში", მაგრამ მას ეს იდეალიზმი ინგლისურ ტრადიციულ პრაქტიციზმთან მშვენივრად აქვს შეთანხმებული. ის პოლიტიკოსია—ბიბლიური ფრაზითა და ვაჭრის ანგარიშიანობით.

მაკდონალდის ფსიქოლოგიური რაობა ინგლისის ლიბერალური პოლიტიკოსის ნაციონალურ ტიპს მშვენივრად ეგუება.

უეჭველია მაკდონალდის სულიერი ნათესაობა შოტლანდიელ გლადსტონსა და ასკვიტთან. ის ბოლოს და ბოლოს „გადასხვაფერებული" გლადსტონია და გაუმჯობესებული ასკვიტი.

შეიძლება ეს იყო მთავარი მიზეზი, რომ ლიბერალებმა მხარი დაუჭირეს მუშათა მთავრობას მაკდონალდის მეთაურობით. შეიძლება ითქვას, რომ მუშათა პარტიას არ ყოლოდა მაკდონალდი, ინგლისში მუშათა მთავრობაც არც შესდგებოდა.

დღეს ამ მუშათა მთავრობისადმი გულისყური აქვს მიქცეული ევროპის ათეულ მუშათა მილიონებს, და მშრომელი ხალხის ასეულ მილიონებს.

მომავალი დაგვანახებს, რის გაკეთებას შესძლებს ეს პრაქტიკული იდეალისტი და საქმიანი პასტორი ამ „არასაქმიან", მღელვარე და მატერიალისტურ ეპოქაში.

# სახელმწიფო სამხატვრო აკადემია.

ამ ორი წლის წინად, ტფილისში არსებული სამხატვრო სკოლა გადაკეთებულ იქმნა სამხატვრო აკადემიად, სადაც რამოდენიმე ფაკულტეტია თავისი განყოფილებებით.

სამხატვრო, ქანდაკების, ხუროთ-მოძღვრების, და ხატვის ფაკულტეტი. აკადემიაში ბლომად მოიყარა თავი ახალგაზდობამ, მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა შესდგება მშრომელ კლასის ელემენტებისაგან. რომელნიც ალბათ შემდეგში თავიანთ ნიჭს და შემოქმედებას მოანდომებენ იმ კლასის კულტურულს ამაღლებას, საიდანაც თვით არიან გამოსულნი.

ფერებით ხატვას ასწავლიან პროფესორი ხატვისა გ. გაბაშვილი, ლანსერე და თათევოსიანი. მეცადინეობა არის ყოველ დღე დილით. არის საერთო მეცადინეობა ცოცხალი ნატურიდან, საღამოობითაც, რომელი სამუშაოც სავალდებულოა ყველა განყოფილებებისათვის. ქანდაკების ფაკულტეტს განაგებს მოქანდაკე ი. ნიკოლაძე. აქაც მეცადინეობა იყოფა სამ ნაწილად. მთავარი ნაწილი არის ძერწვა, შემდეგ ქვებზედ მუშაობა და ყალიბის აღება; მეცადინეობა წარმოებს ყოველ დღე დილით, ძერწვა წარმოებს ცოცხალი ნატურიდან. ხუროთმოძღვრების ფაკულტეტი აბარია ხუროთ-მოძღვარს კალგინს. ასწავლიან მასთან ხუროთმოძღვარნი: მაჭავარიანი და სევეროვი. აკადემიაში არის განსაკუთრებული ფანქარით ხატვის ფაკულტეტიც, რომელსაც განაგებს მხატვარი შარლემანი. კვირაში ორჯელ იკითხება ლექციები ხელოვნების ისტორიიდან: საქართველოს ძველი ხელოვნების ისტორია და საზოგადო მსოფლიო ხელოვნების შესახებ. ლექციებს კითხულობს სახელ. უნივერსიტეტის ლექტორი გ. ჩუბინაშვილი, რომელიც ამასთანავე არის სამხ. აკადემიის დირექტორიც. აკადემიის მოწაფენი კვირაში ერთს დღეს კლინიკაში მეცადინეობენ ანატომიაზედ პროფ. ნათიშვილის ხელმძღვანელობით. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თვით აკადემიის შენობა მეტად ძველია და შეუფერებელის ბნელი ოთახებით. ძერწვის კლასი ისეა დაზიანებული, რომ ავდრიან დღეს იქ მეცადინეობა შეუძლებელია, რადგანაც ჭერიდგან წვიმა საგრძნობათ სწვეთავს. ამას—კი უსათუოდ ყურადღების მიქცევა უნდა ვისგანაც ჯერ-არს.

ვან-დერ-ბან.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინგლისის და იტალიის მიერ
საბ. კავ. ცნობის გამო.



ს. ს რ. კ საგარეო საქმეთა კომისარი
**ჩიჩერინი.**

## ვ ი ლ ს ო ნ ი

ვუდრო ვილსონი, ამერიკის შეერთებულ შტატების ყოფილი პრეზიდენტი, შტატ ნიუ-ჯერსეის გუბერნატორი, რომელიც მოესწრო თავის გეგმებისა და იდეების სრულ გაკოტრებას, ამას წინად მშვიდათ გარდაიცვალა.

ერთ დროს მასზე მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა, როდესაც აბსტრაქტიული და უტოპიური „14 პუნკტი" შექმნა და ომისაგან დაქანცული გერმანია და მასთან მთელი ქვეყანა დააჯერა მოკავშირეთა დიდსულოვნების და კეთილშობილების შესაძლოებაში.

ვერსალის სხდომების პირველ დღეებშივე გამოირკვა საფრანგეთის ზრახვები, რომელიც 50 წლის განმავლობაში რევანშზე ოცნებობდა, ინგლისის ზღვაზე ჰეგემონიის დაკარგვის შიში და თვითონ ვილსონის სრული უძლურება. ვილსონმა ამერიკას ევროპის ომში მიაღებინა მონაწილეობა, მიუხედავად ხალხის სრული გულგრილობის ამ საქმისადმი და იმავე დროს დამარცხდა ლოიდ-ჯორჯისა და კლემანსოს დიპლომატიური სიბრძნის წყალობით, უთმობდა რა მათ თავის სამშვიდობო მოთხოვნილებებში.

ამერიკელ პრეზიდენტს, როდესაც ის ოკეანეს გადაღმა დაბრუნდა თავზე არავინ დაადგა დაფნის გვირგვინი. ხალხი, რომელიც ხსნიდა ცხენებს ვილსონის ეტლიდან, ქვრივებისა და სანგრებში დროდაკარგულ ხალხის ჯგუფები, რომელთაც ირწმუნეს ვილსონი, როგორც „მაცხოვარი", არ ილებდენ მონაწილეობას გამასხარავებულ და მთელ ქვეყნის მიერ ყბად აღებულ უნივერსიტეტის ჩვეულებრივ პროფესორის შეხვედრაში.

ომის წყალობით გამდიდრებულ ბირჟებს და ბანკირებს ლაპარაკიც არ სურდათ ამერიკის მიერ ევროპის ავანტიურების მხარის დაჭერის შესახებ. როგორც კი საკითხი დადგა ვილსონის მიერ აღიარებულ კაცთმოყვარეობის პრინციპების განაღდებისა, გამდიდრებულ ამერიკისაგან ევროპისათვის დახმარებისა. ერთა ლიგაში შესვლის, სიტყვიდან საქმეზე გადასვლისა და სხვათა შესახებ, ვილსონის ზურგის გამმაგრებელი და დამცველი ძალიან ცოტა აღმოჩნდა.

ფინალი ყველასთვის ცნობილია. ამერიკა ერთა ლიგაში არ შევიდა, ვილსონი ხალხმაც და ბანკებმაც უარყვეს და მის ქადაგებას, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია შეაკავშიროს კაპიტალიზმი, არ დაუჭირეს მხარი, ხოლო მან მიიღო ღირსეული პასუხი საბჭოთა ლენინისებურ ნოტაში ვილსონისადმი. ხელმეორედ ის პრეზიდენტად არ აირჩიეს. „ბურჟუაზიის უკანასკნელმა მოციქულმა", როგორც კარლ რადეკმა მოსწრებულად უწოდა ვილსონს, ასე არაღირსეულად დაათავა სიცოცხლე.

## ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება.

1922 წლის მიწურულს ტფილისში დაარსდა მუსიკის ქართველ მოსწავლე ახალგაზრდათაგან მუსიკალური საზოგადოება, რომლის წესდება მთავრობის მიერ იქნა დამტკიცებული, ახალგაზრდობა შეუდგა მუშაობას. საზოგადოებას არ ქონდა ბინა. მათ შუამდგომლობა აღძრეს ქართველ ხელოვანთა კავშირის წინაშე, რათა მათთვის დაეთმოთ ხელოვანთა სასახლეში ერთი ოთახი. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქმნა. საზოგადოების გამგეობას გადაეცა ერთი ოთახი და ამასთანავე იმის უფლება, რომ მათ შეეძლოთ ისარგებლონ ხელოვანთა სასახლეში დარბაზით, როდესაც კი ეს საზოგადოებისთვის საჭირო იქნება. საზოგადოებას დაარსების პირველ დღეიდანვე არ გააჩნდა არავითარი ნივთიერი სახსარი. მიმართეს სახალხო განათლების კომისარს დახმარებისათვის, რომელმაც საზოგადოებას მისცა მცირე ნივთიერი დახმარება და ამით დაიწყო საზოგადოებამ თვისი მოქმედება. საზოგადოების უმთავრესს მიზანს შეადგენს: შეკრება და შესწავლა საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერების, მისი დამუშავება ნოტებზედ და ამ სახით ფართე მასსაში მისი გავრცელება, ამასთანავე ხელის შეწყობა და ყოველმხრივი დახმარება თვით საზოგადოების ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოს წევრთათვის, მათი ნაწარმოებთა გაცნობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოებისთვის, საჯარო კონცერტების მოწყობა და სხვა. ჯერ-ჯერობით ნივთიერ ხელმოკლეობის გამო მათი მუშაობა განისაზღვრა შემდეგით: გასულ წელს საზოგადოებამ მოაწყო ორი კონცერტი, რომელმაც ხალხის ყურადღება მიიქცია და ორივე კონცერტს აუარებელი საზოგადოება დაესწრო. პირველი კონცერტი შესდგა მეორე კონსერვატორიაში, რომელზეც შესრულებული იქმნა უმთავრესად ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი. მეორე კონცერტი გაიმართა წარსულ წლის 1-ლ აპრილს 1-ლ სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც სხვა ნომრებს შორის შესრულებულ იქმნა თვით ახალგაზრდა მუსიკოსთა ნაწარმოებნიც: საზოგადოებას ჰყავს თავისი წევრებიდანვე შემდგარი საკუთარი სიმებიანი ორკესტრი. ამასთანავე განზრახულია, რომ თავიანთივე წევრთაგან შეადგინონ მომღერალთა გუნდი. ამ ჟამად საზოგადოებაში მუშაობა სწარმოებს მთელ რიგ კონცერტების მოწყობისათვის. განზრახვა აქვთ რომ კონცერტები გამართონ ყველა მუშათა კლუბებში, განაპირა უბნებში, რათა ფართო მასსას მოასმენინონ ქართული სიმღერა-ჰანგების საუკეთესო ნიმუშები. საზოგადოებას აქვს საკუთარი ნოტების წიგნთ-საცავი, რომელიც ჯერ-ჯერობით ღარიბია, მაგრამ იმედია რომ ახალგაზრდათა საქმისადმი დიდი სიყვარული და გატაცება სძლევს ყველა ამ დაბრკოლებებს და მათ სასახელოთ გამარჯვებულნი გამოვლენ. როგორც ზევითაც ვსთქვით, საზოგადოებას ნივთიერ ხელმოკლეობისა გამო არა აქვს სახსარი რომ უფრო დადებითი იყოს მისი მუშაობა. ამას ყურადღების მიქცევა უნდა.

ფორტუნა.

# ქრონიკა.

**პროფესორ მელიქიშვილის ქუჩა.** ქალაქის აღმასკომის დადგენილებით წყნეთის ქუჩას დაერქვა პროფ. მელიქიშვილის ქუჩა მისი 50 წლის სამეცნიერო მოღვაწეობის აღსანიშნავად.

**ზ. ფალიაშვილის იუბილე.** კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის სამუსიკო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის შესრულების გამო, მიმდინარე წელს საოპერო თეატრში გაიმართება მისი იუბილე.

**ხარკოვის რუსული დასის წარმოდგენები.** მარტის თვეში ტფილისში დაიწყება ხარკოვის თეატრის მსახობთა დასის წარმოდგენები სახელ. რუსულ თეატრში. დასის რეჟისორი და ხელმძღვანელია ნ. სინელნიკოვი.

**ახალი კინო-სურათი.** სახელმწიფო კინო-მრეწველობა ამზადებს ახალ კინო-სურათს, რომლის შინაარსიც აღებული იქნება მუშათა ფაკულტეტის ცხოვრებიდან.

**სურათების გამოფენა,** რომელიც უნდა გამართულიყო სომეხთა ხელოვნების სახლში, „ჰაიარტუნში“ ტეხნიკურ მიზეზის გამო გადადებულ იქმნა ერთი თვით.

**ბელეტრისტი ქალის. ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას იუბილე.** დამსახურებული მწერალი ქალის ან ერისთავ—ხოშტარიას სამწერლო მოღვაწეობის აღსანიშნავი იუბილე გაიმართება 9 მარტს რუსთაველის თეატრში.

**წიგნი ლენინზე.** საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის გამგეობამ დაადგინა ახლო მომავალში გამოსცეს კრებული მიძღვნილი ლენინის ხსოვნისადმი. კრებულში მოთავსებული იქნება ლენინის სიკვდილის შემდეგ გამოქვეყნებული საუკეთესო ხელოვნური ნაწარმოებნი, როგორც ჩვენში, აგრეთვე რუსეთში.

**ქართული ლიტერატურის ისტორია.** გამოვიდა პროფესორ კ. კეკელიძის მიერ შედგენილი წიგნი: „ქართული ლიტერატურის ისტორია უძველეს დროიდან“. წიგნი შეიცავს 700-მდე გვერდს. გამოცემა ეკუთვნის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

**სახელმწიფო კონსერვატორიაში.** კვირას 24 თებერვალს სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ამავე კონსერვატორიის მოწაფეთა კონცერტი კომპოზიტორის მ. იპოლიტოვ-ივანოვის ლოტბარობით. მოწაფეთაგან შესრულებული იქმნა სიმფონიური ორკესტრით: შუბერტის, „დაუმთავრებელი სიმფონია“ აგრეთვე ნაწარმოებნი: რახმანინოვის, ვაგნერის, „რომანსი ტანჰეიზერ“-იდან, ჩაიკოვსკის და სხვათა. კონცერტი მეტად საინტერესო იყო, აუარებელი საზოგადოება დაესწრო და მოწაფე-ამსრულებელნი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს.

**„ხელოვნების დროშა“.** გამოვიდა ხელოვნების მუშაკთა კავშირის ჟურნალი „ხელოვნების დროშა“ № 1. ჟურნალში მონაწილეობენ მწერლები და რეჟისორები. ჟურნალი დასურათებულია.

**ნიკო გოცირიძის იუბილე.** მარტის პირველს რიცხვებში გაიმართება ნიკო გოცირიძის 30 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

**დრამატიულ ინსტიტუტის საღამო.** რომელიც უნდა გამართულიყო 18 თებერვალს გადატანილია 10 მარტისთვის. საღამო გაიმართება საინტერესო პროგრამით რუსთაველის თეატრის სარკის დარბაზში და თვით თეატრშიც. საღამოს შემოსავალი მოხმარდება დრამატიულ ინსტიტუტის საჭიროებას.

**საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის** გამგეობის დადგენილების თანახმად, გამოცხადებულია პროლეტარულ მწერალთა კავშირის წევრთა ხელ-ახალი აღრიცხვა.

**„წითელი თეატრი“** პროლეტ-კულტის გამგეობამ დაადგინა პირველ მარტისათვის გახსნას.

**პროლეტარული დრამატიული სკოლა.** პროლეტკულტის გამგეობამ დაადგინა გადათარგმნილ იქნას ქართულ ენაზე რამოდენიმე რევოლიუციონური პიესა პროლეტ-კულტის თეატრში წარმოსადგენად. პიესების თარგმნა უკვე დაწყებულია.

**საბავშვო წიგნი.** სოც. აღზრდის მთავარ-მმართველობამ გამოსცა: „რას გვიამბობს ოთახი“, გადმოკეთებული რუსულიდან. წიგნი დასურათებულია.

**პროლეტარულ მწერალთა კავშირის** გამგეობის დადგენილებით სარედაქციო-საგამომცემლო კომისია შეუდგა პროლეტარულ მწერალთა კრებულის გამოცემის თადარიგს.

**„თეატრი და არენა“** გამოვიდა ახალი სათეატრო ჟურნალი რუსულ ენაზე.

# საქართველოს წითელი



საქარ. წ. ჯ. საზ. აჭარის წით. მთვარის კომიტეტი.



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. საშრობი.



სამალარიო ექსპედიცია ალაზან-გაღმა.



წ. ჯ. ტფილისის ცენტრ. ამბულატორია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯვრის საზოგადოება



სამხედრო რაზმი გარე-კახეთში.



სამხედრო ექსპედიცია ალაზან-გაღმა



სამხედრო რაზმი სართიჭალის რაიონში.



წ. ჯ. აბანო-მატარებელი. საუთოო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლი.** მოქანდაკე ი. ნიკოლაძე აკეთებს ძეგლს ბრინჯაოსაგან.

**ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ“** განათლების კომისარიატმა გამოსცა ორთვიური პედაგოგიური ჟურნალი. ჟურნალი არის განათლების კომისარიატის ორგანო და მიზნად ისახავს, ახალ სკოლის სისტემის, ფორმის, შინაარსის და მუშაობის ახსნა განმარტებას. ჟურნალი განსაკუთრებით გავრცელდება პროვინციაში. იგი შეიცავს 395 გვერდს და ღირს ერთი მანეთი ჩერვონცით.

**ოპერა მუშებისათვის.** ნაძალადევის მუშათა თეატრში, უკვე დაიწყო საოპერო წარმოდგენები მუშათათვის. პირველი წარმოდგენა გაიმართა 19 თებერვალს. ამ საღამოს წარმოდგენილი იქმნა ბიზეს ცნობილი ოპერა „კარმენი“ სახელმწიფო ოპერის მომღერალთა მიერ. უმთავრეს პარტიებს მღეროდენ მომღერალი ქალი მუხტაროვა და ვ. სარაჯიშვილი. წარმოდგენას მრავალი ხალხი დაესწრო.

**აკაკის რჩეულ ნაწერების ბეჭვდას** სახელგამი დაიწყებს პირველ მარტიდან. ნაწერები გამოვა 10 ტომად.

**„აბესალომ და ეთერი“** ზ. ფალიაშვილის ოპერა ამ ჟამად ითარგმნება რუსულად. ოპერა დაიდგმება მოსკოვის სახელმწიფო ოპერის სცენაზე.

**ქართ. ახალგაზრდა მუსიკოსთა სიმფონიური კონცერტი.** ამ მოკლე ხანში ტფილისში გაიმართება, ქართ. ახალგაზრდა მუსიკოსთა სიმფონიური კონცერტი. საზოგადოება უკვე შეუდგა სამისო სამზადისს. ხუთშაბათს 28 თებერვალს შესდგა პირველი რეპეტიცია გაძლიერებული სიმფონიური ორკესტრისა კონსერვატორიის დარბაზში. ამ კონცერტზედ შესრულებული იქნება უმთავრესად ქართული მელოდიები და აგრედვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი.

**„დურუჯი“** ახლო მომავალში ქართველ მსახიობთა კორპორაციის მიერ დროგამოშვებით გამოიცემა გაზეთი „დურუჯი“.

**„აბესალომ და ეთერი“-ს განახლება.** რამდენადაც ვიცით წლევანდელს სეზონში ჯერ არ დადგმულა ოპერა „აბესალომ და ეთერი“. ამიტომ ეხლა გაცხოველებული რეპეტიციებია ამ ოპერისა, დადგმული იქნება სრულიად ახალს დეკორაციებსა და კოსტიუმებში. ოპერას დგამს რეჟისორი კ. მარჯანიშვილი.

**„მალშტრემ“.** რუსთაველის თეატრში დაიწყო რეპეტიციები გრ. რობაქიძის ახალი პიესა „მალშტრემ“-ის, რომლის პირველი წარმოდგენაც განზრახულია მარტის 13-ს.

**„სპარტაკი“** სახალხო სახლის, ქართული დრამის სამხატვრო-სარეპერტუარო კოლეგიამ მიიღო დასადგმელად, სახალხო თეატრის სცენაზედ სანდრო შანშიაშვილის ახალი ისტორიული დრამა, „სპარტაკი“. როლები უკვე განაწილებულია საუკეთესო ძალების შორის, რეპეტიციები იწყება 3 მარტს. იხატება ახალი დეკორაციები. პიესას სდგამენ მ. ღვამიჩავა და ი. ბარველი.

**მოხსენება თეატრზე.** ამ მოკლე ხანში კონსერვატორიის დარბაზში რეჟისორი ალ. ახმეტელი წაიკითხავს მოხსენებას ახალ თეატრზე.

**გ. ქუჩიშვილის ავადმყოფობის გამო.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა მიეცეს ავადმყოფ პოეტს გ. ქუჩიშვილს ერთდროულად დახმარება და სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილ იქმნას აბასთუმნის სანატორიუმში.

**იუმორისტიული ჟურნალი.** კვირას მარტის 2 გამოვიდა სახუმარო ჟურნალი „აბრამის ბატკანი“-ს პირველი №. მხატვარ ვლ. სიდამონ-ერისთავის და თაგუნას მონაწილეობით.

**ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და გამოვიდა გასასყიდათ ს. თავაძის (ობოლი მუშა) ლექსების წიგნი. „შორი ნათელი“ წიგნი შეიცავს 144 გვერდს, წიგნი გამოცემულია ლამაზად, კარგს ქაღალდზედ და ღირს სამი აბაზი.

**სრულიად საქართველოს ხელოვნების მუშაკთა პროფკავშირის ყრილობა** დასრულდა. ყრილობამ მიიღო მთელი რიგი რეზოლიუციებისა საქართველოში ხელოვნების მოწყობის შესახებ, უცხოეთის ოპერების თარგმნისა ქართულად, სიტყვის ინსტიტუტის დაარსებისა და ტარიფების შესახებ. ყრილობამ აირჩია ცენტრალური გამგეობა. პრეზიდიუმში არჩეულ იქმნენ: კ. მარჯანიშვილი, ტ. ტაბიძე, ს. ქურიძე, ა. პოკროვსკი, კაპელნიცკი და ხორავა. ქუთაისიდან არჩეული იქმნა ნიკოლო ორთქიფანიძე.

**ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოებაში.** ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების გამგეობამ, თავის უახლოეს კრებაზედ დაადგინა აღძრას სადაც ჯერ არს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ საზოგადოებამ შეიძინოს სტამბა, სადაც დაიბეჭდება ნოტები და აგრეთვე სამუსიკო სახელმძღვანელოები.

**მარო მდივნის იუბილე.** დღეს 2 მარტს ბათომის აკადემიურ თეატრში შესდგება ქართული სცენის ნიჭიერი მსახიობი ქალის მ. მდივნის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის იუბილე. იუბილეს მოსაწყობად შემდგარი იყო საგანგებო საიუბილეო კომისია, რომლის საპატიო თავმჯდომარეა ხიმშიაშვილი და ო. ვარშანიძე.

**პოეტები და მხატვარნი პარიზის კომუნისა.** პოეტმა ვ. გაფრინდაშვილმა მოამზადა დასაბეჭდათ ახალი წიგნი, „პოეტები და მხატვარნი პარიზის კომუნისა“.

**მომღერალ ა. მოსინის 25 იუბილე.** სახელმწიფო ოპერის თეატრში პარასკევს 29 თებერ. შესდგა საიუბილეო წარმოდგენა მომღერალის ა. მოსინის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის გამო. წარმოდგენილი იქმნა პირველად ამ სეზონში ოპერა „ოტელო“, რომელშიც უმთავრეს პარტიას მღეროდა იუბილიარი.

საჯარო ბიბლიოთეკა

**პასუხისმგებელი რედაქტორი: მ. კახიანი.**

გამომცემელი: **სახელმწიფო გამომცემლობა.**

ს. ს. მ. უ. ს. 1-ლი სტამბა, პოლიგ. განყოფილ. პლეხ. პრ. 91. ტირაჟი 1000 ც.

შავი ქვის მრეწველობის საქმეთა განსაკუთრებულ

# მმართველობას

# სჭირდება შემდეგი საგნები:

1. **ერთი მამოძრავებელი** შინაწვის (სასურველია დიზელი) 35-40 ძალის.
2. **ერთი ავტომობილი** „ფორდ“ მსუბუქი ან ნახევარ-სატვირთი.
3. **მალაროების რელსები** 5 ვერსტამდის და ვაგონეტკები 10—20 ცალი.
4. КЛУБИК с плашками и метчиками от 3/8 до 1.
5. **რკინა ფურცლოვანი** 3 – 4 მ. მ. სისქით 15 ფუთამდის.
6. **საქაჩავი** საზეინკლო 3 ფუთამდის.
7. **ქლიბები** პირიანი 12—18 დ. 30 ცალი.
8. **კუთხედები** და ზაკლიოპკები 35 ფუთამდის.
9. **რკინის ბალკები** (коробчатых или двутавровых) 3 ნახ.—4 დიუმამდე 40 ფ.
10. **რკინა** (сортовое) 15 ფუთი.
11. ТАЛИ 3—5 ტონნით 1 ცალი.
12. **სასწორი** (десятичные) 30 ფ. და **სავაჭრო** 1 ფ.
13. **მილები რკინის** (оцинкованные) და შავი ნახ.—1 მ. მ., ზომით 850×675 მ. მ. 60 ც.
14. **მესრები** (решета) ფურცლოვანი რკინისაგან, სისქით 3—5 მ. მ., ზომით 850×675 მ. მ. ოთხკუთხიანი ან მრგვალი ჭრუჭუტანებით 3—30 მ. მ. 60 ცალი.
15. **მავთულები** ტელეფონის (оцинкованные) 60 ფუთამდე.
16. **მავთული** სპილენძის 35 და 10 კვ. მ. მ. 80 ფუთამდე.
17. Бор-машина ერთი ცალი.
18. **სვეტები** მუხის ან აკაციების, სისქით 3 – 3 ნახ. ვერ. სამ-არშინიანი 5000 ცალამდე.
19. **სპეციალ-ტანისამოსი** სამთო-მადნო მუშებისათვის 500 კომპლექტი. **ფეხსაცმელები** მათთვისვე 500 წყვილი.
20. **ფანელი** ჭერების შემოსაფენად 1500 არშინი.
21. **საწყო ცენტრალურ სათბოებისათვის**
22. **ფანჯრებისა და კარების საწყო და რაზები.**

წერილობითი წინადადებებით მოწოდების შესახებ და ცნობების მისაღებად უნდა მიმართონ განსაკუთრებულ მმართველობის კანცელარიას (ტროცკის ქუჩა № 20)

12—3 საათამდე ყოველ დღე გარდა უქმეებისა.

ფასი 20 კაპ. ჩერვ.

1924 წლის 1-ლ იანვრიდან საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალურმა კომიტეტმა გახსნა

# საკუთარი სტამბა,

სადაც სწრაფად, ფაქიზად და ზომიერ ფასებში სრულდება ყოველგვარი სასტამბო საქმეები.
**სტამბასთან გამართულია აგრეთვე წიგნთ-ასაკინძი სახელოსნო.**
შეკვეთების მიღება შეიძლება ყოველ დღე სტამბაში—ლ. დუმბაძის ქ. № 3 (ყოფ. ველიამინოვისა).
ტელეფ. № 16—47 და 13—63.

წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი.

---

1924 წლის იანვრიდან გამოდის

## საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების პერიოდული გამოცემა

# „ბიულეტენი"

შემდეგის შინაარსით: მთავრობის განკარგულებანი წით. ჯვრის შესახებ; წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრ. კომიტეტის საქმიანობა; ავტონომიური ერთეულების წითელ ჯვართა და ცენტრალური კომიტეტის ფილიალების მოღვაწეობა; საკავშირო რესპუბლიკებისა და საერთაშორისო წით. ჯვრების ქრონიკა: წერილები საექიმო-სასანიტარო დარგიდან და სხვ.

რედაქტორი: **სარედაქციო კოლეგია.**

**მისამართი: ცენტრ. კომიტეტი, თაიროვის შესახვევი № 5. (ლენინის ქუჩიდან).**

---

დაიბეჭდა და გამოვიდა

საქ. წ. ჯვრის მიერ გამოცემული
ექ. ბეს. ოქროპირიძის წიგნი

# „მალარია".

**ფასი 20 კ. ჩერვ.** მთავარი საწყობი წ. ჯვრ. ცენტრ. კომიტეტში, თაიროვის შეს.

---

# მზად არის დასაბეჭდად:

ა) ექ. ბეს. ოქროპირიძის მიერ გერმანულიდან ნათარგმნი, ჰამბურგის ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის პროფესორების ნოხტისა და მაიერის წიგნი: „მ ა ლ ა რ ი ა", რომელსაც უძღვის ქართული გამოცემისთვის ავტორების მიერ საგანგებოდ დაწერილი წინასიტყვაობა.
ბ) წით. ჯვრის საზოგადოების გადამუშავებული წესდების პროექტი.
გ) საზოგადოების წლიური ანგარიში.
დ) ჟენევის 1906 წლის გადასინჯული კონვენცია.

---

**კირკის ქუჩაზე, (по кирочной) გრუენდზიცის ყოფილ აფთიაქში, გაიხსნა**

# საქართველოს წითელი ჯვრის აფთიაქი,

საიდანაც ღარიბებს შეღავათიანს პირობებში ეძლევათ წამლეულობა.

---

# საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებაში

წევრად ჩაწერა და შემოწირულებათა მიღება სწარმოებს მთავარ სამმართველოში (თაიროვის შესახვევი № 5, ლენინის ქუჩიდან, ყოფ. ოლოლას ქ.) ყოველდღე 10—3 საათამდე, კვირა უქმეებს გარდა.